

# ბიომრავალფეროვნების დაცვა და მართვა საქართველოსა და ევროკავშირის მიღზომები

თბილისი, 2007



**მეპანა**

აღწერისა და მართვის  
სამსახური

კვლევა ჩატარდა "მწვანე ალტერნატივა"-ს პროექტის "დიალოგი პოლიტიკაზე უკეთესი გარემოსდაცვითი მმართველობისთვის" ფარგლებში.

მწვანე ალტერნატივა მადლობას უხდის ჰოლანდიის განსახლების, სივრცითი დაგეგმვისა და გარემოს სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერისთვის.

გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები წარმოადგენს მისი ავტორის მოსაზრებებს, გამოხატავს "მწვანე ალტერნატივა"-ს პოზიციას და არ შეიძლება განხილულ იქნეს ჰოლანდიის განსახლების, სივრცითი დაგეგმვისა და გარემოს სამინისტროს შეხედულებათა ამსახველად.

© მწვანე ალტერნატივა, 2007

ავტორი: ირაკლი მაჭარაშვილი

## სარჩევი

შესავალი.....	2
1. ევროკავშირი და ბიომრავალფეროვნების დაცვა.....	3
2. ბიომრავალფეროვნების დაცვა და მართვა საქართველოში.....	5
2.1 საკანონმდებლო საფუძვლები.....	5
2.2 პასუხისმგებელი სახელმწიფო სტრუქტურები.....	8
3. ეკოსისტემები.....	9
3.1 ტყე.....	9
3.1.1 არსებული მდგომარეობა.....	9
3.1.2 ტყის მართვის ინსტიტუციური ასპექტები.....	10
3.1.3 სატყეო სექტორის რეფორმა ესტონეთში .....	13
3.1.4 მდგრადი სატყეო მეურნეობა — საერთაშორისო გამოცდილება.....	16
3.1.5 საქართველოს სატყეო სექტორის რეფორმა: ტენდენციები და საფრთხეები.....	20
3.1.6 რეკომენდაციები .....	26
3.2 დაცული ტერიტორიები.....	28
3.2.1 არსებული მდგომარეობა .....	28
3.2.2 საერთაშორისო გამოცდილება .....	35
3.2.3 რეკომენდაციები .....	37
4. სახეობები.....	39
4.1 არსებული მდგომარეობა.....	39
4.2 პრობლემები.....	41
4.3 რეკომენდაციები.....	43
5. ბიოუსაფრთხოება.....	44
7. დასკვნა.....	47

## შესავალი

ბიოლოგიური მრავალფეროვნება (ბიომრავალფეროვნება) არის ლანდშაფტების, ეკოსისტემების, სახეობების ბუნებრივი მრავალფეროვნება, ასევე შიდასახეობრივი გენეტიკური მრავალფეროვნება გარკვეული ტერიტორიის ფარგლებში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბიომრავალფეროვნება არის დედამიწაზე არსებული სიცოცხლის ფორმების მრავალფეროვნება ეკოსისტემების, სახეობების და გენების დონეზე. ამ მრავალფეროვნების შენარჩუნება მნიშვნელოვანია ეკონომიკური კეთილდღეობის, უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და მრავალი სხვა თვალსაზრისით.

საქართველო, როგორც კავკასიის შემადგენელი ნაწილი, შედის ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის 200 გლობალურ ეკორეგიონში. ამავდროულად, ამ ბიომრავალფეროვნებას დეგრადაციისა და განადგურების საფრთხე ემუქრება, რის გამოც კავკასია შეტანილია მსოფლიოს ბიომრავალფეროვნების 34 ცხელ წერტილს შორის (ბიომრავალფეროვნების ცხელი წერტილების გამოყოფა ხდება ბიომრავალფეროვნების ფასეულობისა და მასთან დაკავშირებული საფრთხეების გათვალისწინებით).

ბიომრავალფეროვნების დაკარგვის საფრთხე დღეს საგანგაშოა მსოფლიოს მასშტაბით. 1970 წლის შემდეგ ტროპიკული წვიმის ტყეები განადგურდა ფართობზე, რომელიც ბევრად აღემატება ევროკავშირის ტერიტორიას. ყოველი სამი-ოთხი წლის მანძილზე ნადგურდება საფრანგეთის ტერიტორიის ტოლი ტროპიკული ტყის ეკოსისტემები. მსოფლიოს სხვა ეკოსისტემებიც - ზომიერი სარტყლის ტყეები, მარჯნის რიფები, წყალჭარბი ტერიტორიები, მანგროს ტყეები ანალოგიურ ზენოლას განიცდიან. გადაშენების სიჩქარე დღეს 100-ჯერ მეტია, ვიდრე ოდესმე დედამიწის ისტორიაში. გაეროს მიერ 2005 წელს გამოქვეყნებულ დოკუმენტში "ეკოსისტემების შეფასება ათასწლეულების მიჯნაზე" (Millennium Ecosystem Assessment) ნათქვამია, რომ ადამიანის მიერ გამოწვეული ჰაბიტატების ფრაგმენტაციას ყველაზე დიდი მასშტაბით ადგილი აქვს ევროპის კონტინენტზე. დასავლეთ ევროპის ტყეების მხოლოდ 1-3% მიეკუთვნება ადამიანების მიერ ხელუხებლის კატეგორიას; 1950 წლის შემდეგ ევროპამ დაკარგა წყალჭარბი ტერიტორიების ნახევარზე მეტი; სახეობების დონეზე ევროპაში გადაშენების პირას დგას ძუძუმწოვრების 42%, ფრინველების 43%, პეპლების 45%, ამფიბიების 30%, ქვეწარმავლების 45% და მტკნარი წყლის თევზების 52%. ევროპის მცენარეთა 800 სახეობა გლობალური გადაშენების საფრთხის წინაშე დგას. სახეობათა და ეკოსისტემების ასეთი დაკარგვა შესაბამისად აისახება გენეტიკური მრავალფეროვნების დაკარგვაში.

ბიომრავალფეროვნების მთავარი საფრთხეებია ჰაბიტატების დეგრადაცია, ფრაგმენტაცია და ნგრევა, ასევე ჭარბი მოპოვება, უცხო სახეობების შემოყვანა და გარემოს დაბინძურება. გამოყოფენ ასევე ბიომრავალფეროვნების გადაშენების "დანყველილ კვარტეტს" (The Evil Quartet), რომელშიც იგულისხმება ჰაბიტატის განადგურება/დეგრადაცია, ჭარბი მოპოვება, უცხო სახეობების შემოყვანა და გადაშენების ჯაჭვები (როცა ერთი სახეობის გადაშენება იწვევს ცვლილებების ჯაჭვს ეკოსისტემაში) (იხ. კოპალიანი, 2002).

მრავალი გამოკვლევისა და ანგარიშის თანახმად, გარემოს დეგრადაციის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ქვეყნების მთავრობების შეცდომები და გარემოსდაცვითი რეგულაციების სისუსტე. მთავრობები არ აქცევენ სათანადო ყურადღებას, ან საერთოდ უგულებელყოფენ გარემოს დაცვის პრობლემებს და არ ასახავენ მათ კანონმდებლობაში. ხშირ შემთხვევაში, კანონი არსებობს, მაგრამ კანონალსრულების დონე ძალზე დაბალია (Millennium Ecosystem Assessment, 2005).

ბიომრავალფეროვნების დაკარგვასთან ერთად რისკის ქვეშ დგება ეკოსისტემის მრავალი ფუნქციაც. გლობალური ეკოსისტემების ფუნქციონირების შედეგად მიღებული სარგებელი და პროდუქტი შეფასებულია 26 ტრილიონ ევროდ წელიწადში, რაც ორჯერ აღემატება ადამიანის მიერ გამოიმუშავებული პროდუქციის საერთო ღირებულებას. ეკოსისტემების მიერ შესრულებულ ფუნქციებს მიეკუთვნება ჟანგბადის გამოიმუშავება, კლიმატის რეგულირება, წყალდიდობების

შეჩერება, წყლის ხარისხისა და დაავადებათა კონტროლი, ნიადაგის წარმოქმნა, და სხვა, ხოლო პროდუქტებში იგულისხმება საკვები, ბოჭკო, სანვავი, მტკნარი წყალი და სამკურნალო ნედლეული. გარდა ამისა, ეკოსისტემების ფუნქციონირება დაკავშირებულია ესთეტიურ, კულტურულ, რეკრეაციულ, ფსიქოლოგიურ და სულიერ ღირებულებებთან.

ბიომრავალფეროვნების განადგურება მჭიდროდაა დაკავშირებული კლიმატის გლობალურ ცვლილებასთან და ეს გავლენა სავსებით გაზომვადია. კლიმატის ცვლილება დადასტურებული მოვლენა და ყველა მისი უარყოფითი შედეგის სრული განეიტრალება შეუძლებელია. მაგრამ გარკვეულმა კონსერვაციული ღონისძიებები, მაგალითად, ხმელეთზე და ზღვის აკვატორიაში დიდი ფართობის მქონე და მაღალი ხარისხის დაცული ტერიტორიების ქსელის შექმნა, გარკვეულწილად შეამსუბუქებს ბიომრავალფეროვნებაზე კლიმატის ცვლილების უარყოფით გავლენას. თავის მხრივ, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებამ შეიძლება წვლილი შეიტანოს კლიმატის ცვლილების შედეგების დაძლევაში. მაგალითად: ჯანსაღმა ეკოსისტემებმა შეიძლება მოახდინონ სათბური აირების ლიმიტირება, რადგან ტყეები, ტორფიანი ჭაობები და სხვა ჰაბიტატები ახდენენ ნახშირბადის დაგროვებას. ჯანსაღმა ეკოსისტემებმა ასევე შეიძლება შეაჩერონ უარყოფითი კატასტროფული მოვლენების გავლენა. მაგ. სანაპირო წყალჭარბ ეკოსისტემებს შეუძლიათ ტაიფუნით გამოწვეული ტალღებისგან დაიცვან სანაპიროები, ხოლო წყალგამყოფებისა და ჭალის ეკოსისტემებს - შეაჩერონ მდინარის დატბორვა.

## 1. ევროკავშირი და ბიომრავალფეროვნების დაცვა

ევროკავშირის ბიომრავალფეროვნებისა და გარემოს დაცვის კანონმდებლობა სათავეს იღებს გასული საუკუნის 70-იან წლებში, როდესაც ძალაში შევიდა **”ფრინველების შესახებ დირექტივა”** (1979). ამ დოკუმენტით აღიარებული იყო, რომ ფრინველთა 192 სახეობა და ქვესახეობა საფრთხის წინაშეა და საჭიროებს განსაკუთრებულ კონსერვაციულ ქმედებებს.

1992 წელს ხელი მოეწერა **”ჰაბიტატების შესახებ დირექტივას”**. დირექტივა მოიცავს ენდემურ, იშვიათ და საფრთხის წინაშე მყოფ ცხოველთა 450 და მცენარეთა 500 სახეობას, ასევე დაახლოებით 200 იშვიათ და დამახასიათებელ ჰაბიტატს.

1998 წელს ევროკავშირმა დაამტკიცა **ბიომრავალფეროვნების სტრატეგია**. ამ სტრატეგიის შესაბამისად 2001 წელს დამტკიცდა კიდევ ოთხი სტრატეგია (კონსერვაცია და ბუნებრივი რესურსები, სოფლის მეურნეობა, თევზჭერა, თანამშრომლობა ეკონომიკური და განვითარების სფეროში). დღეისათვის ბუნება და ბიომრავალფეროვნება წარმოადგენენ ევროსაბჭოს 2002-2012 წლების მეექვსე გარემოსდაცვითი პროგრამის ოთხი პრიორიტეტიდან ერთ-ერთს.

ევროგაერთიანების ქვეყნების გარემოს დაცვის უწყებების მეთაურები 2001 წელს შეთანხმდნენ შეეჩერებინათ ბიომრავალფეროვნების შემცირება ევროკავშირის ტერიტორიაზე 2010 წლისათვის და აღედგინათ ჰაბიტატები და ბუნებრივი სისტემები. 2002 წელს მსოფლიოს დაახლოებით 130 ქვეყანა შეუერთდა ინიციატივას - მსოფლიოში ბიომრავალფეროვნების დაკარგვის შესამჩნევად შემცირება 2010 წლამდე.

გარდა დირექტივებისა, ევროგაერთიანების ქვეყნები არიან ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებასთან დაკავშირებული გაერო-ს სხვადასხვა კონვენციის წევრები. უპირველესად, ესაა **”კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ”**, რომელსაც ხელი მოეწერა 1992 წელს და რატიფიცირებული იქნა 1993 წელს. ევროკავშირი აქტიურად ასრულებს ამ კონვენციის მოთხოვნებს. ასევე, აღსანიშნავია სხვა კონვენციები და შეთანხმებები: **”კონვენცია საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი, განსაკუთრებით წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი ტერიტორიების შესახებ”** (რამსარის კონვენცია), **”კლიმატის ცვლილების ჩარჩო-კონვენცია”**, **”კონვენცია საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფაუნითა და ფლორით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ”** (CITES) **”კონვენცია ველური ცხოველების მიგრირებადი სახეობების დაცვის შესახებ”** (ბონის კონვენცია), **”კონვენცია ევროპის სახეობებისა და**

ჰაბიტატების დაცვის შესახებ” (ბერნის კონვენცია), ”აფრიკა-ევრაზიის გადამფრენი ფრინველების შესახებ შეთანხმება” (AEWA). გარდა ამისა, ევროპაში არსებობს რამდენიმე მნიშვნელოვანი რეგიონული კონვენცია.

ევროკავშირის ქვეყნებმა შექმნეს **დაცული ტერიტორიების ეკოლოგიური ქსელი ”ნატურა 2000” (NATURA 2000)**, რომლის მიზანია საფრთხის წინაშე მყოფი ცხოველებისა და მცენარეების სახეობებისა და მათი საბინადრო გარემოს დაცვა. იგი მოიცავს ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ ”ჰაბიტატების შესახებ დირექტივითა” და ”ფრინველთა შესახებ დირექტივით” დაცულ ტერიტორიებს. დღემდე ამ ქსელში ჩართულია 25.000-ზე მეტი ტერიტორია ანუ საიტი, რომელთა საერთო ფართობი მეტია, ვიდრე ერთად აღებული გერმანიისა და იტალიის ტერიტორია.

ქვეყნები ვალდებული არიან შეასრულონ აუცილებელი ღონისძიებები ამ საიტების კონსერვაციისათვის და არ დაუშვან მათი მდგომარეობის გაუარესება. პრაქტიკულად ეს ნიშნავს, რომ ყველა ქვეყანა ვალდებულია ერთნაირი სქემით მოახდინოს ფაუნისა და ფლორის კონსერვაციული სტატუსის შესახებ ინფორმაციის შეგროვება ქსელში ჩასართველად განსაზღვრულ ტერიტორიებზე და განახორციელოს ადექვატური დაცვითი ღონისძიებები.

გარდა “ნატურა 2000”-სა, შექმნილია ე.წ. “ზურმუხტოვანი ქსელი” (Emerald Network). ეს ქსელი “ნატურა 2000”-ის ქსელთან თავსებადია (ტერიტორიების შერჩევა ხდება ანალოგიური კრიტერიუმებით), მაგრამ მასში მონაწილეობა შეუძლიათ იმ ქვეყნებსაც, რომლებიც არ შედიან ევროკავშირის ქსელში და ჯერჯერობით არ არიან ბერნის კონვენციის წევრები. ქსელში ჩართვისათვის ქვეყანამ ბერნის კონვენციის სამდივნოში უნდა წარადგინოს განაცხადი იმ კანდიდატი ტერიტორიებისა, რომლებიც აკმაყოფილებენ კონვენციით დადგენილ პირობებს. სამდივნოს მიერ ამ ტერიტორიების დამტკიცების შემდგომ ქვეყანამ უნდა მიიღოს ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ “ზურმუხტოვან ქსელში” ჩართული ტერიტორიების დაცვასა და ადექვატურ მართვას. ასეთ ქმედებებზე მიჩნეულია: ეკოლოგიური კვლევების ჩატარება ამ ტერიტორიებზე მიმდინარე კრიტიკული ცვლილებების დასადგენად; მართვის გეგმების შედგენა მოკლე და გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად; მაქსიმალური სიზუსტით ტერიტორიების საზღვრების განსაზღვრა და სხვ. მაგრამ ცხოველებისეული რეალობიდან გამომდინარე, ნათელია, რომ ასეთი ტერიტორიების ეფექტური დაცვა შესაძლებელია მხოლოდ მათთვის დაცული სტატუსის მინიჭებით, ან რაიმე გარემოსდაცვითი პროექტების ფარგლებში მოქცევით.

ევროკავშირის გააჩნია ბიომრავალფეროვნების დაცვის პოლიტიკური (policy) და სამართლებრივი ინსტრუმენტები. ასე მაგალითად, ბიომრავალფეროვნების დაცვის საკითხები შეტანილია ევროკავშირის პილიტიკის განმსაზღვრელ ისეთ დოკუმენტებში, როგორებიცაა ”მდგრადი განვითარების სტრატეგია”, ”ლისაბონის პარტნიორობა ზრდისა და სამუშაო ადგილებისათვის”, ”სოფლის მეურნეობის ზოგადი სტრატეგია”, ”მეთევზეობის ზოგადი სტრატეგია”.

რაც შეეხება სამართლებრივ ინსტრუმენტებს, ზემოთ ნახსენები ”ფრინველების შესახებ დირექტივისა” და ”ჰაბიტატების შესახებ დირექტივის” გარდა, მიღებულია ”გარემოზე ზემოქმედების შეფასების დირექტივა”, ”სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების დირექტივა”, ”გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დირექტივა” და სხვ.

ბიომრავალფეროვნების დაცვის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს ევროკავშირის ქვეყნებისათვის ასევე წარმოადგენს ”კონვენცია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადანაცვლების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ” (ორჰუსის კონვენცია).

გარდა ზემოაღნიშნულისა, ბიომრავალფეროვნების დასაცავად ევროკავშირს გააჩნია გარკვეული ფინანსური მექანიზმებიც. NATURA 2000 საიტების ინვესტირება ხდება ევროკავშირის სხვადასხვა ფონდების მიერ, მათ შორის ამისათვის სპეციალურად შექმნილი

ფონდებითაც. ეს უპირველეს ყოვლისა არის Life Programme - აფინანსებს გარემოსა და ბუნების კონსერვაციის პროექტებს ევროკავშირის წევრ, წევრობის კანდიდატ და მეზობელ ქვეყნებში. 1992 წლიდან თანადაფინანსებულია 2750 პროექტი, თანადაფინანსების თანხამ შეადგინა 1.35 მილიარდი ევრო.

მიუხედავად გარკვეული წარმატებისა, ევროპის ქვეყნების მთავრობები მაინც თვლიან, რომ ბიომრავალფეროვნების დაცვა არ დგას სათანადო დონეზე და ევროკავშირის კანონმდებლობის ბიომრავალფეროვნების დაცვის კუთხით აღსრულება არაადაამაკმაყოფილებელია.

2004 წლის მაისში ირლანდიაში (მალაჰიდე) დამტკიცებულ იქნა ევროკომისიის შეტყობინება „ბიომრავალფეროვნების კარგვის შეჩერება 2010 წლისათვის და შემდგომ პერიოდში: ეკოსისტემების მდგრადი ფუნქციონირება ადამიანების საკეთილდღეოდ“.

2004 წლის ივლისში ევროკომისიის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ "ნატურა 2000"-ის დასაფინანსებლად აღარ შეიქმნება ახალი ფონდი და დაფინანსება მოხდება არსებული ინსტრუმენტების მეშვეობით. იქვე ნათქვამია, რომ "ნატურა 2000" პროექტების ღირებულება იქნება 6 მილიარდი ევრო წელიწადში. ევროკომისიამ "ნატურა 2000" ქსელის ფინანსური საჭიროებების ინტეგრირება მოახდინა 2007-2013 წლების ფინანსურ პერსპექტივებში, რომლის დაფინანსება მოხდება ევროკავშირის სხვადასხვა სტრუქტურების ფონდებისა და ინიციატივების მიერ.

## 2. ბიომრავალფეროვნების დაცვა და მართვა საქართველოში

### 2.1 საკანონმდებლო საფუძვლები

საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის საფუძველს საქართველოს კონსტიტუცია ქმნის, რომლის 37-ე მუხლის თანახმად: „ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი. ყველა ვალდებულია გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს“ (პუნქტი 3); „ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად, საზოგადოების ეკოლოგიური და ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად, ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით სახელმწიფო უზრუნველყოფს გარემოს დაცვას და რაციონალურ ბუნებათსარგებლობას“ (პუნქტი 4).

საქართველოში ბიომრავალფეროვნების დაცვასა და გამოყენებასთან დაკავშირებით მიღებულია შემდეგი კანონები: „გარემოს დაცვის შესახებ“, „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“, „ცხოველთა სამყაროს შესახებ“, „საქართველოს "ნითელი ნუსხისა" და "ნითელი წიგნის" შესახებ“, საქართველოს ტყის კოდექსი, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ და სხვა ნორმატიული აქტები.

1996 წელს საქართველოს კონსტიტუციის ზემოთ აღნიშნული დებულებების განხორციელების მიზნით მიღებული იქნა საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“, რომელიც მოიცავს შემდეგ საკითხებს: გარემოს დაცვა მავნე ზემოქმედებისაგან; გარემოს ხარისხის გაუმჯობესება; მდგრადი განვითარება და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება; ბიოლოგიური მრავალფეროვნებისა და ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება; უნიკალური ლანდშაფტებისა და ეკოსისტემების დაცვა; გლობალური გარემოსდაცვითი პრობლემების გადასაჭრელად გარკვეული ძალისხმევის წარმართვა; გარემოს დაცვის სფეროში მოქალაქეთა უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრა; გარემოსდაცვითი განათლება.

საქართველოს კანონი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ (1996 წ.) განსაზღვრავს დაცული ტერიტორიების დაარსების, განვითარებისა და ფუნქციონირების ასპექტებს; აყალიბებს მართვაზე პასუხისმგებელი ორგანოების სისტემას სხვადასხვა დონეზე და

განსაზღვრავს სხვადასხვა კატეგორიის დაცული ტერიტორიის ფარგლებში დასაშვებ საქმიანობებს.

**საქართველოს კანონი „ცხოველთა სამყაროს შესახებ“ (1996 წ.)** არეგულირებს სამართლებრივ ურთიერთობებს ცხოველთა სამყაროს ობიექტების დაცვისა და სარგებლობის მიმართულებით. კანონი, უშუალოდ ველური ფაუნის სახეობების დაცვის გარდა, ითვალისწინებს მათი ჰაბიტატების, სამიგრაციო გზების, გამრავლების ადგილების დაცვას, უზრუნველყოფს ველური ფაუნის მდგრად გამოყენებას და ქმნის სამართლებრივ საფუძველს მისი in-situ და ex-situ კონსერვაციისთვის.

**საქართველოს ტყის კოდექსი (1999 წ.)** არეგულირებს საქართველოს ტყის ფონდისა და მისი რესურსების მოვლასთან, დაცვასთან, აღდგენასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს. ტყის კოდექსის მიხედვით განსაზღვრულია სახელმწიფო ტყის ფონდის ცნება, რომლის ქვეშაც იგულისხმება კანონმდებლობის საფუძველზე მისთვის მიკუთვნებული მიწებისა და მისი რესურსების (ტყეები) ერთობლიობა. კოდექსი ასევე არეგულირებს ტყის ფონდზე საკუთრების უფლებას. აღსანიშნავია, რომ დაშვებულია კერძო საკუთრებაში ტყის გადაცემა. კოდექსის მიღების მომენტში ტყის ფონდი მთლიანად გამოცხადებულია სახელმწიფო საკუთრებად, ხოლო განსახელმწიფოებრიობის პროცესი უნდა დარეგულირდეს შესაბამისი კანონმდებლობით, რომლის შექმნის აუცილებლობასაც ითვალისწინებს კოდექსის მე-9 მუხლი. კოდექსის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს საქართველოს ტყის ფონდის დაცვა, ხელუხლებელი ტყეების თვითმყოფადობის შენარჩუნება, მცენარეთა რელიქტური, ენდემური და სხვა ძვირფასი სახეობების დაცვა.

2003 წლის ივნისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი **„საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ“**. კანონით სამართლებრივად განისაზღვრა გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველებისა და ველური მცენარეების სახეობების საქართველოს „წითელი ნუსხისა“ ასევე, „წითელი წიგნის“ (რომელსაც ენიჭება სარეკომენდაციო და მეთოდური ხასიათის მნიშვნელობა) იურიდიული დეფინიციები. კანონით ასევე განისაზღვრა, „წითელი ნუსხის“ სტრუქტურა, ნუსხაში შესატანი სახეობების განსაზღვრის, ნუსხის პროექტის შემუშავების, მიღებისა და განახლების (გადასინჯვის) პროცედურები. აღნიშნული კანონი ასევე არეგულირებს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების „წითელ წიგნთან“, საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების დაცვასთან, მოპოვებასთან, მათი აღდგენისა და შენარჩუნების ღონისძიებათა დაგეგმვასა და დაფინანსებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

**საქართველოს კანონი “ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ”** ძალაში შევიდა 2005 წლის 4 აგვისტოდან. ამ კანონის მიხედვით, ბიომრავალფეროვნებასთან უშუალოდ დაკავშირებულია რამდენიმე ლიცენზია და ნებართვა: ტყით სარგებლობის გენერალური ლიცენზია, ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზია და სამონადირეო მეურნეობის მოწყობის სპეციალური ლიცენზია, თევზჭერის ლიცენზია, სოჭის გირჩისა და გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენციის დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზია, ნადირობის ნებართვა, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობების, მათი ნაწილებისა და დერივატების ექსპორტის, იმპორტის, რექსპორტისა და ზღვიდან ინტროდუქციის ნებართვა”.

ამ კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მასთან შესაბამისობაში უნდა მოვიდნენ საქართველოს სხვა ნორმატიული აქტები. გარდამავალ პერიოდში საკითხები რეგულირდება მთავრობის დადგენილებებით.

**ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა** — ეს დოკუმენტი ძალაში შევიდა 2005 წლის 19 თებერვლის მთავრობის დადგენილებით.



კონვენცია ბიომრავალფეროვნების შესახებ თითოთეულ მხარეს (ქვეყანას) ავალებს შესაბამისი ეროვნული დოკუმენტის შემუშავებას, რომელმაც უნდა განსაზღვროს სახელმწიფოში ბიომრავალფეროვნების დაცვის პოლიტიკა და კონკრეტული გეგმა. ამგვარი დოკუმენტის არსებობა ქვეყნის ბიომრავალფეროვნების დაცვისა და გონივრული გამოყენებისთვის ერთ-ერთ აუცილებელ პირობად არის მიჩნეული. შესაბამისად, ბიომრავალფეროვნების დაცვის ეროვნული სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის დამტკიცება საქართველოს მიერ კონვენციით განსაზღვრულ ვალდებულებათა განხორციელების უმნიშვნელოვანეს ეტაპი და მდგრადი განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა. მისი განხორციელება მოითხოვს ქვეყანაში არსებული სამეცნიერო პოტენციალის მობილიზებას და მჭიდრო თანამშრომლობას სამთავრობო, არასამთავრობო და ბიზნესის სექტორებს შორის. წარმატების მიღწევა შეუძლებელი იქნება საყოველთაო საზოგადოებრივი მხარდაჭერის გარეშე. ასევე აუცილებელი იქნება აქტიური თანამშრომლობა ისეთ სექტორებთან, როგორცაა: სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, ენერჯეტიკა, ურბანიზაცია და სხვ.

დოკუმენტი განსაზღვრავს ქვეყნის (შავი ზღვის აკვატორიის გარდა) ბიომრავალფეროვნების დაცვისა და გონივრული გამოყენების სტრატეგიას მომავალი 10 წლისათვის და კონკრეტულ მოქმედებებს ხუთწლიანი პერიოდისათვის. იგი არის ჩარჩო-დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც საქართველოში უნდა წარიმართოს კოორდინირებული საქმიანობა ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის სფეროში.

საქართველოს ბიომრავალფეროვნების არსებული მდგომარეობის, პრობლემებისა და მასზე მოქმედი საფრთხეების გათვალისწინებით გამოიყო ცხრა ძირითადი საკითხი, რომლებიც მოიცავენ ბიოლოგიური რესურსების დაცვისა და გონივრული გამოყენების პრაქტიკულად ყველა ასპექტს. თუმცა, მხედველობაში იქნა მიღებული ისიც, რომ თითოეული მათგანი მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს და შესაბამისად, არსებობს გარკვეული გადაფარვები შედარებით უფრო კომპლექსურ კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში. ზემოხსენებული ძირითადი საკითხებია: დაცული ტერიტორიები; სახეობები და ჰაბიტატები; აგრობიომრავალფეროვნება; ნადირობა და მეთევზეობა; ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი; ბიოუსაფრთხოება; გარემოსდაცვითი განათლება, საზოგადოებრივი ცნობიერება და საზოგადოების მონაწილეობა; ფინანსურ-ეკონომიკური პროგრამა; მდგრადი სატყეო მეურნეობა; საკანონმდებლო ასპექტები.

საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია გათვლილია ათწლიან, ხოლო მოქმედებები — ხუთწლიან პერიოდზე. ნაგულისხმებია, რომ ხუთი წლის შემდეგ საჭირო იქნება ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავება კონკრეტული სიტუაციისა და იმ დროისათვის მიღწეული შედეგების გათვალისწინებით.

საქართველოს ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის სტრატეგია ეფუძნება პანევროპული ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნების სტრატეგიის პრინციპებს. გარდა ამისა, ამ დოკუმენტის შემუშავებისას განისაზღვრა დამატებითი პრინციპები.

დოკუმენტში ჩამოყალიბებულია სამომავლო ხედვა: 10 წლის შემდეგ საქართველო იქნება ქვეყანა მდგრადი ბიოლოგიური მრავალფეროვნებით; შეიქმნება ისეთი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური პირობები, რომ უპირატესობა მიენიჭება ბუნებრივი რესურსების მართებულად გამოყენებას და მიღებული სარგებლის სამართლიან განაწილებას,

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, ამ სფეროს არეგულირებენ სხვადასხვა წლებში გამოცემული ნორმატიული აქტები (პრეზიდენტის ბრძანებულებები, პარლამენტისა და მთავრობის დადგენილებები, მინისტრისა და დეპარტამენტების თავმჯდომარეების (დაცული ტერიტორიებისა და სატყეო დეპარტამენტის ბრძანებები).

## 2.2 პასუხისმგებელი სახელმწიფო სტრუქტურები

სახელმწიფო პოლიტიკას ბიომრავალფეროვნების დაცვისა და გამოყენების სფეროში ახორციელებს საქართველოს **გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო**. კანონმდებლობის მიხედვით, ეს არის საქართველოს საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების სამთავრობო დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო მმართველობას გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების, აგრეთვე მოსახლეობის ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში.

სამინისტროს ჰყავს **ტერიტორიული ორგანოები**, რომლებიც შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში თავისი ამოცანების განხორციელებისას წარმოადგენენ სამინისტროს.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ცენტრალურ აპარატში არის სტრუქტურული ერთეული **ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახური**. სამსახურის ამოცანებსა ბიომრავალფეროვნების კომპონენტების დაცვისა მართვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და რეალიზაციის პროცესში მონაწილეობის მიღება; “საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით” განსაზღვრული ღონისძიებების შესრულების კოორდინაცია და მონიტორინგი; ბიომრავალფეროვნების სფეროში რატიფიცირებული და მიერთებული კონვენციებით და შეთანხმებებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების ორგანიზება და კოორდინაცია;

**საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სატყეო დეპარტამენტი** — არის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულება, რომლის მეშვეობითაც გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი ახორციელებს აღმასრულებელ ხელისუფლებას სატყეო მეურნეობის სფეროში. დეპარტამენტის დაქვემდებარებაში შედიან რეგიონალური სატყეო სამმართველოები (რომლებიც 2007 წელს ჩამოყალიბდნენ სატყეო მეურნეობების რეორგანიზაციის შედეგად).

**საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება დაცული ტერიტორიების დეპარტამენტი** - დეპარტამენტის დაქვემდებარებაში შედიან დაცული ტერიტორიები (ეროვნული პარკები, ნაკრძალები, აღკვეთილები, ბუნების ძეგლები).

**გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოს დაცვის ინსპექცია** - არის გარემოს დაცვის სფეროში სახელმწიფო კონტროლის ერთიანი ცენტრალიზებული ორგანო. მისი ძირითადი ამოცანებია: სახელმწიფო კონტროლის განხორციელება გარემოს დაცვის სფეროში; ბუნებრივი რესურსებით უკანონო სარგებლობის ფაქტების გამოვლენა და აღკვეთა; სამინისტროს მიერ გაცემული ლიცენზიების /ნებართვების პირობების შესრულების კონტროლი.

**გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტი** - დეპარტამენტის კომპეტენციაა სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის განხორციელების უზრუნველყოფა, ლიმიტების დამტკიცების ორგანიზება, სარგებლობის ლიცენზიებთან დაკავშირებით აუქციონების მოწყობის ორგანიზება, სალიცენზიო და სანებართვო მოწმობების გაცემა.

თავის სამოქმედო ტერიტორიებზე კომპეტენციის ფარგლებში ფიზიკური დაცვის ფუნქციას ახორციელებენ დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციები და რეგიონალური სატყეო სამმართველოები.

### 3. ეკოსისტემა

საქართველოში გვხვდება შემდეგი მთავარი ბიომები: ტყეები, ჭალის ტყეები, ნახევარუდაბნოები, სტეპები, არიდული ნათელი ტყეები და ჰემი-ქსეროფილური ბუჩქნარები, წყალჭარბი ტერიტორიები (ტბები, ჭაობები, ჭანჭრობები და სხვ.), სუბ-ალპური, ალპური და სუბნივალური ზონები. ამათგან ყველაზე დიდი ფართობი ტყეებს უკავიათ. კოლხეთის რეფუგიუმი, დასავლეთ კავკასიონის კირქვიანებისა და მალაღმის მცენარეული კომპლექსები განსაკუთრებით გამორჩეულია ეკოლოგიური და ბიოგეოგრაფიული თვალსაზრისით, სახეობების მრავალფეროვნებითა და ენდემიზმის მაღალი დონით.

ეკოსისტემურ დონეზე ბიომრავალფეროვნების კომპონენტების მართვა ხორციელდება სატყეო მეურნეობის წარმოებისა და დაცული ტერიტორიების მეშვეობით. ამის გამო, ამ თავში საუბარი გვექნება სატყეო სექტორსა და დაცულ ტერიტორიებზე.

#### 3.1 ტყე

##### 3.1.1 არსებული მდგომარეობა

საქართველო ტყით მდიდარ ქვეყანად ითვლება. ოფიციალური მონაცემებით, ტყითაა დაფარული ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით 40%. ამასთანავე ტყის საშუალო სიხშირე კრიტიკულ ზღვრამდეა მისული და შეადგენს 0,52-ს. ამასთან, კრიტიკულ ზღვარზე (0,5) დაბალი სიხშირის კორომები ტყით დაფარული საერთო ფართობის ნახევარზე მეტს (55%) შეადგენს. ასეთ ტყეებს მკვეთრად აქვთ დაქვეითებული დაცვითი ფუნქციები (ნიადაგდაცვითი, წყალშემნახველი, წყალმარეგულირებელი, სანიტარულ-ჰიგიენური და სხვ.) და თვითაღდგენა-თვითგანახლების უნარი, რაც საბოლოო ჯამში უარყოფით გავლენას ახდენს საერთო ეკოლოგიურ ვითარებაზე საქართველოში (საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა, 2005) მიუხედავად ამისა, საქართველოში ჯერ კიდევ შემორჩენილია თითქმის ხელუხლებელი ტყის კორომები, რომლებიც ჩვენი ბიოგეოგრაფიული ერთეულის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენენ და ამის გამო, დიდი კონსერვაციული მნიშვნელობა გააჩნიათ.

საქართველოს ტყის კოდექსის მიხედვით, საქართველოს ტყის ფონდი მოიცავს სახელმწიფო ტყის ფონდსა და საქართველოში საკუთრების სხვა ფორმით არსებულ ტყეებსა და მათ რესურსებს. სახელმწიფო ტყის ფონდი - საქართველოს ტყეების უდიდესი ნაწილი, დღეისათვის არის საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გამგებლობაში, მათ შორის: სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის გამგებლობაშია საქართველოს ტყეების - 82%, დაცული ტერიტორიების დეპარტამენტის გამგებლობაში — დაახლოებით - 8%. ტყეების მცირე ნაწილი - 2% ეკუთვნის ვასილ გულისაშვილის სახელობის სატყეო ინსტიტუტს, ხოლო დანარჩენის (8%) კუთვნილება გაურკვეველია<sup>1</sup>. ძირითადად ესაა ყოფილი ე.წ. საკოლმეურნეო ტყეები, რომელთა ფიზიკურად გადაცემა არ განხორციელებულა - ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებზე. ამ თავში არ მიმოვიხილავთ დაცულ ტერიტორიებს, რომელთაც ცალკე თავი ექნებათ მიძღვნილი.

ამრიგად, დღეისათვის საქართველოს ტყეები მთლიანად სახელმწიფო საკუთრებშია. ამასთანავე, კერძო საკუთრების საფუძვლები ჩადებულია საქართველოს კანონმდებლობაში. საქართველოს ტყის კოდექსში (მუხლი 9) ნათქვამია, რომ საქართველოს ტყის ფონდის მესაკუთრე შეიძლება იყოს სახელმწიფო, საქართველოს საპატრიარქო, აგრეთვე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირები. ამასთანავე ნათქვამია, რომ სახელმწიფო ტყის

<sup>1</sup> ეს არის სამინისტროს 2005 წლის ოფიციალური მონაცემები. ამ დროიდან გარკვეული ფართობები სატყეო დეპარტამენტიდან გადაეცა დაცული ტერიტორიების დეპარტამენტს: შეიქმნა თბილისის ეროვნული პარკი, მტირალას ეროვნული პარკი, ნეძვის ალკვეთის ტყის ფართობები (11000 ჰა) გადაეცა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციას.

ფონდი არის სახელმწიფო საკუთრება და მისი განსახელმწიფოებრიობის წესი დგინდება “საქართველოს ტყეების განსახელმწიფოებრიობის შესახებ” საქართველოს კანონით. ტყეების განსახელმწიფოებრიობა, ანუ პრივატიზება შესაძლებელია მხოლოდ ამ ზემოხსენებული კანონის ამოქმედების შემდეგ (მუხლი 120).

### 3.1.2 ტყის მართვის ინსტიტუციური ასპექტები

სამეურნეო ტყის ფონდთან<sup>2</sup> დაკავშირებული საქმიანობა მოიცავს რამდენიმე ასპექტს, ესენია:

- პოლიტიკის წარმოება (კანონმდებლობა და სხვ.);
- ტყითსარგებლობა (ლიცენზირება, ხელშეკრულებები);
- ტყის მართვა: (მოვლა, ბიოლოგიური დაცვა, გაშენება, სატყეო ფონდის ტყის მიწებით სარგებლობა, მონიტორინგი, კადასტრი, აღრიცხვა);
- ტყის ფიზიკური დაცვა (უკანონო ტყითსარგებლობის წინააღმდეგ ბრძოლა).

#### პოლიტიკის წარმოება

პოლიტიკას სატყეო სექტორში წარმართავს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. სამეურნეო ტყეებთან დაკავშირებით ძირითადი პასუხისმგებელია სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სატყეო დეპარტამენტი. იგი მუშაობს საკუთარი დებულების, საქართველოს ტყის კოდექსისა და სხვა ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე.

#### ტყითსარგებლობა

ტყითსარგებლობის ლიცენზიების გაცემას აწარმოებს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, კერძოდ ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტი. ლიცენზიის გაცემის უფლებამოსილება სამინისტრომ შეიძლება მიანიჭოს თავის ტერიტორიულ ორგანოებს. დღეისათვის ასეთი გადაბარება გაკეთებულია მხოლოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამმართველოზე.

ლიცენზიების გაცემა ხდება აუქციონის წესით. დღევანდელი კანონმდებლობით, საქართველოს ტყის კოდექსის შესაბამისად, დაშვებულია მოკლევადიანი - ერთ წლამდე და გრძელვადიანი - 20 წლამდე ლიცენზიები. დღეისათვის არ არსებობს საკანონმდებლო ბაზა ტყის იჯარით გაცემისათვის ან პრივატიზებისათვის. კონსტიტუციის მიხედვით, ამ საკითხის გადაწყვეტა პარლამენტის პრეროგატივაა.

ტყით სარგებლობისათვის ლიცენზიები გაიცემა “ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად. ტყით სარგებლობის ლიცენზიები მიეკუთვნება სარგებლობის<sup>3</sup> ლიცენზიის სახეობას. არსებობს შემდეგი სახის ტყითსარგებლობის ლიცენზიები: ტყით სარგებლობის გენერალური ლიცენზია, ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზია, სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზია. ამასთანავე, ტყით სარგებლობის გენერალური ლიცენზია არის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს სამონადირეო მეურნეობისა და ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიებს. მხოლოდ ერთი სპეციალური ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობის განსახორციელებლად გენერალური ლიცენზიის მოპოვება სავალდებულო არ არის.

ტყით სარგებლობის გენერალური და სპეციალური ლიცენზიები გაიცემა აუქციონის წესით. აუქციონში მონაწილეობის მიღების წესი, პირობები და საწყისი ფასის დადგენის წესი ასევე განსაზღვრულია კანონმდებლობაში. ლიცენზიის მაძიებელმა განაცხადი უნდა შეიტანოს

<sup>2</sup> სახელმწიფო ტყის ფონდი დაცული ტერიტორიების გარდა

<sup>3</sup> “ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონის მიხედვით (2005 წ.) ბუნებრივი რესურსების მოპოვებისათვის გაიცემა სარგებლობის ლიცენზია, რომლის ერთ-ერთი სახეა ტყით სარგებლობის ლიცენზიები

აუქციონის გამართვამდე არაუგვიანეს 15 დღისა. აუქციონი ტარდება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში, ან მის მიერ მითითებულ სხვა მისამართზე. ლიცენზიის მფლობელს შეუძლია დაყოს ლიცენზია, ან გადასცეს სხვა პირს, მათ შორის მემკვიდრეობით.

ლიცენზიის მიღება დაკავშირებულია გარკვეულ მოსაკრებლებთან. აუქციონის გამართვამდე ლიცენზიის მაძიებელი სამინისტროს მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით იხდის "ბე"-ს, რომელიც შეადგენს სანყისი ფასის 20%-ს. აუქციონში ვერგამარჯვების შემთხვევაში "ბე" უკან ბრუნდება, ხოლო გამარჯვების შემთხვევაში, ჩაითვლება აუქციონის საბოლოო ფასში. ლიცენზიანტი ასევე იხდის სალიცენზიო მოსაკრებელს.

ტყითსარგებლობის გენერალური ლიცენზიის, ან ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის მისაღებად გამართულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა უნდა უზრუნველყოს ხე-ტყის შესაბამისი მოცულობის ტყეკაფების გამოყოფის მიზნით სახელმწიფოს მიერ განუული ხარჯების ანაზღაურება.

ლიცენზიის მოპოვების შემდეგ მფლობელმა ტყითსარგებლემ მოპოვებული რესურსის ოდენობის მიხედვით უნდა გადაიხადოს რესურსის მოსაკრებელი ადგილობრივ ბიუჯეტში.

ამრიგად, აუქციონს ატარებს სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტი, ხოლო აუქციონის გამართვისათვის მასალებს ამზადებს სატყეო დეპარტამენტი.

2005 წელს ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ კანონით შეიცვალა ლიცენზიების გაცემის წესები ქვეყანაში, მათ შორის ტყით სარგებლობის ლიცენზიების. ამ კანონიდან გამომდინარე, სხვადასხვა საკითხები დროებით რეგულირდება მთავრობის დადგენილებების და მინისტრის ბრძანებებით. მიუხედავად ამისა, ტყებთან დაკავშირებული მრავალი ასპექტი მაინც რეგულირდება "საქართველოს ტყის კოდექსით" და მისგან გამომდინარე დებულებებით: მაგ. ტყეკაფის გამოყოფის წესები, და სხვ. სამწუხაროდ, არსებობს მრავალი შეუსაბამობა ახალ და ძველ კანონებს შორის, რაც აუცილებელს ხდის ახალი ტყის კოდექსის მიღებას. ასევე აუცილებელია ტყის კოდექსში უფრო მეტად იყოს ჩადებული ტყის მდგრადი მართვის საფუძვლები და გამოიკვეთოს ტყის, როგორც ბიოლოგიური მრავალფეროვნების კომპონენტის როლი. ზემოთ ხსენებული კანონის მიღებამდე ლიცენზიების გაცემისათვის სამინისტროსთან არსებობდნენ საუნყებათშორისო ექსპერტთა საბჭოები, რომელშიც შედიოდნენ სხვადასხვა დაიტერესებული უწყებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ამ საბჭოების მიერ ხდებოდა ლიცენზიის მიღების მსურველთა განაცხადების მიღება და ტენდერის საფუძველზე გამარჯვებულის გამოვლინება (ანუ განაცხადების ექსპერტული შეფასება). გაურკვეველი იყო, ვინ იყო პასუხისმგებელი გადანყვეტილების მიღებაზე: სამინისტრო თუ ექსპერტი. ტენდერი, აუქციონთან შედარებით ნაკლებად ობიექტური პროცედურაა და ამ თვალსაზრისით, დღევანდელი სისტემა უკეთესია წინამორბედზე. მაგრამ, მეორეს მხრივ, აღარ ხდება ლიცენზიის მაძიებელთა განაცხადების არანაირი წინასწარი შეფასება და, ფაქტიურად, ლიცენზიის გაცემის ერთადერთი კრიტერიუმი არის ყველაზე მაღალი ფასის შემოთავაზება.

### **ტყის მართვა**

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სატყეო სექტორთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებში წარმოადგენს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სატყეო დეპარტამენტი. დეპარტამენტის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის მართვა (როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს სახელმწიფო ტყის ფონდი შედგება სამეურნეო ტყის ფონდისა და დაცული ტერიტორიების ფონდისაგან). დებულების მიხედვით, დეპარტამენტის ამოცანებია: ტყის დაცვა უკანონო ქრებისგან, ხანძრებისგან და მავნებლებისგან, ტყის რესურსების სახელმწიფო აღრიცხვა და მონიტორინგი, სატყეო პოლიტიკაში და საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბებში მონაწილეობა, ტყეების ეკოლოგიური

ფუნქციების შენარჩუნების ღონისძიებების შემუშავება, ტყის ფონდის მიწებზე დაშვებული საქმიანობის მონიტორინგი და ზედამხედველობა, თანამშრომლობა საერთაშორისო, ადგილობრივ, სამეცნიერო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.

სატყეო დეპარტამენტის შემადგენლობაში შედიან მისი ტერიტორიული ორგანოები: 9 რეგიონალური სატყეო სამმართველო და საბაზისო სანერგე მეურნეობა. ესენია: ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, სამცხე-ჯავახეთის, იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის და კახეთის რეგიონალური სატყეო სამმართველოები, ასევე შედის საბაზისო სანერგე მეურნეობა. სატყეო სამმართველოებში შედიან სატყეო უბნები. ეს სატყეო უბნები პრაქტიკულად წარმოადგენენ ყოფილ სატყეო მეურნეობებს.

სამმართველოს უფლებები და მოვალეობებია: ტყის ფონდის ტერიტორიაზე არსებული რესურსების აღრიცხვა, კონტროლი ტყის დაცვასა და ტყითსარგებლობის წესების დაცვაზე, კანონმდებლობის დარღვევათა აღკვეთა, ოქმის შედგენა, ხე-ტყის კანონიერების, ხე-ტყის წარმოშობისა და საშეშე მერქნის კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემა<sup>4</sup>; უკანონოდ მოპოვებული რესურსის ჩამორთმევა, სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებიდან სახელმწიფოებრივი და საზოგადო ინტერესისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფასთან დაკავშირებული წინადადებების მომზადება, დეპარტამენტის უზრუნველყოფა ინფორმაციით.

ამრიგად, დებულების მიხედვით, უშუალოდ კონტროლისა და მონიტორინგის ფუნქციას ასრულებენ სატყეო დეპარტამენტის ადგილობრივი (ტერიტორიული) ორგანოები, მონაცემების შეგროვება და თავმოყრა კი უნდა ხდებოდეს საკუთრივ დეპარტამენტში. ამ მონაცემებს დეპარტამენტი აწვდის სამინისტროს. რამდენად ეფექტურია ეს სისტემა, ჯერ-ჯერობით ძნელი სათქმელია, ვინაიდან სატყეო დეპარტამენტის ახალი სისტემა (სტრუქტურული ცვლილებები) მხოლოდ 2007 წლის 1 მარტს შევიდა ძალაში, ხოლო ბოლომდე დაკომპლექტება დღესაც არ დამთავრებულა. შტატების სრულად დაკომპლექტების შემთხვევაში ერთ ტყის მცველზე საშუალოდ გაპიროვნებული უნდა იყოს 4500 ჰა ტერიტორია.

ამდენად, სამეურნეო ტყის ფონდის მართვის ყველა ასპექტი, გარდა უშუალოდ ლიცენზიების გაცემისა, ეხება სატყეო დეპარტამენტს. ლიცენზიების კონტროლისა და უკანონო მოპოვებასთან ბრძოლის ფუნქცია ასევე აკისრია გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოს დაცვის ინსპექციას. გარდა უშუალოდ ე.წ. სწრაფი რეაგირების ფუნქციისა, ანუ სავლელ გასვლებისას უკანონო ქმედებების აღმოჩენისა, ინსპექციამ უნდა მოახდინოს ლიცენზიის პირობების კონტროლი<sup>5</sup>. ჯერჯერობით არ არის დაზუსტებული, როგორ ითანამშრომლებენ სატყეო მეურნეობის დეპარტამენტი და გარემოს დაცვის ინსპექცია უკანონო ჭრებთან ბრძოლაში და რამდენად გამიჯნულია მათი კომპეტენციები.

<sup>4</sup> ეს დოკუმენტები გამოიყენება მოპოვებული ხე-ტყის ტრანსპორტირებისას და კანონმდებლობის შესაბამისად მოთხოვნისას წარედგინება საბაჟო, სამართალდამცავ ორგანოებს, გარემოს დაცვის ინსპექციისა და სატყეო დეპარტამენტის წამომადგენლებს.

<sup>5</sup> 2006-07 წლებში 500-ზე მეტი გაცემული ერთწლიანი ლიცენზიიდან არცერთს არ აქვს შევსებული ლიცენზიის პირობები და ამდენად გაუგებარია, როგორ ახდენენ კანონის ამ მოთხოვნის შესრულებას. პირობების შესრულების შემონმება შესაძლოა გაართულოს იმ გარემოებამაც, რომ გაცემულ ლიცენზიებში არასწორადაა შევსებული გრაფა “მოსაჭრელი რესურსის სახეობა”. იმის ნაცვლად, რომ მითითებული იყოს მერქნიანი რესურსის რაოდენობა მცენარის სახეობრივი სახელწოდებების მიხედვით, ხშირ შემთხვევაში აღნიშნულია “წიწვოვანი” და “ფოთლოვანი”. ასეთმა ჩანაწერმა შესაძლებელია ხელი შეუწყოს უკანონოდ მოპოვებული ხე-ტყის ტრანსპორტირებას და ვაჭრობასაც.

### 3.1.3 სატყეო სექტორის რეფორმა ესტონეთში

საქართველოს ხელისუფლების განცხადებით, რეფორმირების პროცესში ჩვენთვის ერთ-ერთი მთავარი სამაგალითო ქვეყანა ესტონეთია, მათ შორის ევროკავშირში განწევრიანებისა და გარემოს დაცვის საკითხებთან მიმართებაში. ამდენად, ამ ქვეთავში საჭიროდ ჩავთვალეთ წარმოგვედგინა ესტონეთის სატყეო სექტორის რეფორმისა და დღევანდელი მონაცემების მოკლე მიმოხილვა.

ესტონეთის ტერიტორიის 51% ტყითაა დაფარული - ესაა 2,3 მილიონი ჰექტარი. ამ მაჩვენებლით ესტონეთი მეორეა ევროპაში და მას უსწრებს მხოლოდ ფინეთი, შვედეთი და სლოვენია. 65% ანუ 1,5 მილიონი ჰექტარი წარმოადგენს კომერციულ ტყეებს ანუ კლასიკურ სამეურნეო ტყეებს. ესტონეთის ტყეების მესამედი დაცული ან დაცვითი ტყეებია. დაცული და დაცვითი ტყეების ხვედრითი წილის მიხედვით, ესტონეთს მეათე ადგილი უკავია ევროპაში. მას ძირითადად უსწრებენ ცენტრალური ევროპის ის ქვეყნები, სადაც ტყეებს მცირე ფართობი უკავიათ და სამეურნეო დანიშნულება არ გააჩნიათ. ესტონეთი უსწრებს თავის მეზობელ ქვეყნებს, მაგალითად, ლატვიაში კონსერვაციული სტატუსი (დაცული და დაცვითი) აქვს ტყეების 19.5, ლიტვაში - 18.7, შვედეთში - 12.3, რუსეთში - 10.7 და ფინეთში - 7.2 პროცენტს.

ესტონეთის ხელისუფლებას მიაჩნია, რომ ესტონეთის ტყეების მნიშვნელობა გამოხატულია ოთხ ფუნქციაში: ეკონომიკური — ტყეები არის შემოსავლის წყარო, (შეადგენენ მშპ-ს 6%-ს), სოციალური — ტყეები იძლევა დასაქმების საშუალებასა და რეკრეაციის შესაძლებლობას, ეკოლოგიური — ტყეები იცავენ ბიომრავალფეროვნებას, კულტურული — ტყეები არიან ესტონეთის კულტურის ნაწილი<sup>6</sup>. ამგვარი მიდგომა ჩამოყალიბდა სატყეო სექტორის რეფორმის განხორციელების შედეგად, რომელიც დაიწყო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. რეფორმის პროცესში დაშვებული იყო მძიმე შეცდომებიც, რასაც ტყეებისათვის სავალალო შედეგი მოჰყვა, თუმცა გარკვეული პერიოდის შემდეგ ანალიზი გაუკეთდა რეფორმირების პროცესს და განხორციელდა შესაბამისი სტრუქტურული და საკანონმდებლო ცვლილებები.

საბჭოთა ოკუპაციიდან გათავისუფლების შემდეგ, ისტორიული სამართლიანობის აღსადგენად, აუცილებელი გახდა მიწის რეფორმის გატარება. 1991 წლის აგვისტოდან დაიწყო მიწისა და საკუთრების რესტიტუციის (ქონებრივი უფლებების აღდგენა) პროგრამა. მიწის რეფორმის აქტმა (1991 წ.) დაადგინა, რომ ყველა ყოფილმა მესაკუთრემ უკან უნდა დაიბრუნოს საკუთარი ქონება. ესტონეთის მიწის ნახევარი ტყეა და ამ აქტით სატყეო მიწების 60% უნდა დაქვემდებარებოდა რესტიტუციას, რადგან ის 1940 წლამდე კერძო საკუთრებაში იყო.

პრაქტიკულად, ტყის მიწების მესამედი დაუბრუნდა მის ისტორიულ მესაკუთრეს, მესამედი დარჩა მესაკუთრის გარეშე. ტყის ფართობების ნახევარზე მეტი უკონტროლო ჭრების შედეგად განადგურდა. ეს იყო სოფლად სოციალური ქაოსის პერიოდი. სოფლის მოსახლეობამ დაიწყო ტყის ჭრა არსებობის მიზნით, ხოლო ხე-ტყეზე მოსახლეობის მოთხოვნის სულ უფრო იზრდებოდა. მხოლოდ მესაკუთრეთა მეოთხედი თუ ცდილობდა შეენარჩუნებინა და დაეცვა საკუთარი ტყე და შეემუშავებინა ტყის მართვის გრძელვადიანი გეგმა. ასეთმა სატყეო პოლიტიკამ გამოიწვია ჭრის ბუმი. ტყით სარგებლობის რეგულირების სისტემის შექმნის ნაცვლად არჩეული იქნა ულტრა-ლიბერალური განვითარება, რის გამოც ტყე პრაქტიკულად უკონტროლოდ დარჩა. არასამთავრობოების პროტესტის მიუხედავად პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა “ტყის აქტი” (1998 წ.), რომელმაც დააკანონა “თავისუფალი მეტყევეობა”. ესტონეთის ტყისათვის დაიწყო ყველაზე დამანგრეველი ერა და შეუზღუდავი ჭრები დაკანონდა ყველგან. გაუმჭირვალე საკანონმდებლო გარემომ და მიწის რეფორმამ ერთად შექმნეს საუკეთესო პირობები უკანონო ტყითსარგებლობისათვის. ექსპერტების გათვლით, ესტონეთის ხე-ტყის 40%-მდე წარმოებული იყო კანონის დარღვევით.

<sup>6</sup> ესტონეთის ეკონომიკისათვის ტყეებს ძალზე მნიშვნელოვანი შემოსავალი მოაქვთ, რაც შეადგენს მშპ — 6%-ს. სატყეო სექტორში დასაქმებულია 45 ათასი ადამიანი

მოგვიანებით, შესწავლილ იქნა რეფორმის პირველი ეტაპი (1991-1998 წლები) და აღიარებულ იქნა შემდეგი შეცდომები:

- რესტიტუცია და პრივატიზაცია დაიწყო საზოგადოებრივი ინტერესების ანალიზის გარეშე;
- მინის რეფორმამ მესაკუთრეებს არ განუსაზღვრა ვალდებულებები, რამაც ტყე დაუცველი დატოვა;
- ახალი მესაკუთრეები არ აიძულეს დაეცვათ ტყის მართვის გეგმის მოთხოვნები;
- სატყეო კანონმდებლობის რეფორმა დაიწყო მინის რეფორმასთან ერთად, რამაც გამოიწვია ქაოსი;
- ფინეთის განვითარების პროგრამის კონსულტანტები არ ითვალისწინებდნენ ესტონელების ინტერესებს;
- პოლიტიკოსებმა აირჩიეს ულტრა-ლიბერალური სატყეო რეფორმა, რამაც ტყის მართვის სისტემა ვოლუნტარისტული და არა გამჭვირვალე გახადა;
- არა გამჭვირვალე მეტყევეობა ბადებს დაუსჯელობის გრძობას ტყის მესაკუთრეებში, არ არსებობს საჭირო ინფორმაცია, რაც იწვევს უკანონო მეტყევეობას;
- რეფორმის განმავლობაში მაკონტროლებელი ორგანოების უმეტესობა დაიშალა;

ამდენად, რეფორმის განხორციელების გზა არ იყო კარგად გააზრებული და დაბალანსებული. მინისა და სატყეო რეფორმისადმი რადიკალურმა ლიბერალურმა მიდგომამ შექმნა არაგამჭვირვალე სამართლებრივი და ადმინისტრაციული გარემო და იმპულსი მისცა სამრეწველო ხე-ტყის უკანონო მოპოვებას.

1999 წელს სატყეო რეფორმის ჩავარდნა უკვე ნათელი გახდა. გარემოსდამცველებმა, მეცნიერებმა, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა და ბევრმა მეტყევემ მთავრობის წინაშე დასვეს საკითხი ტყითსარგებლობის რეგულირების და გამჭვირვალე მეტყევეობის აღდგენის შესახებ. სამინისტრომ ცნო ტყის სექტორის პრობლემების ნაწილი და გაკეთდა გარკვეული ცვლილებები. ესტონეთის მემარჯვენე ულტრა-ლიბერალურ პოლიტიკოსებს არ ჰქონდათ მნიშვნელოვანი ცვლილებების ნება.

1999 წელს შეიქმნა სახელმწიფო ტყეების მართვის ცენტრი (Riigimetsa Majandamise Keskus -RMK), რომელსაც დაეკისრა სახელმწიფო ტყეების მართვა (ტყეები, რომლებიც არ იყვნენ რესტიტუციის შედეგად პრივატიზებული).

2002 წელს გადაწყდა, რომ “უპატრონო” ტყეების მართვას თავის თავზე სახელმწიფო ტყის მართვის ცენტრი აიღებდა. ის ზედამხედველობას გაუწევდა ამ მიწებს, ჩაატარებდა ინვენტარიზაციას მოსახლეობის სტრატეგიული ინტერესების (ინფრასტრუქტურა, გარემო, ბუნების კონსერვაცია და მინის ოპტიმიზაცია) გათვალისწინებით. მოგვიანებით, შეთანხმდებოდა პირობები ამ მიწების ეროვნული პრივატიზაციისთვის.

2003 წელს ახალი მემარჯვენე მთავრობის მოსვლასთან ერთად დაიწყო ახალი პოლიტიკა ტყეებთან მიმართებაში. ევროკავშირის წევრობა უკვე რეალური გახდა და ევროკავშირის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსვლის გამო სატყეო პოლიტიკა უფრო დაცვასა და კონსერვაციაზე ორიენტირებული გახდა.

დღეისათვის ტყეების 38% პრივატიზებულია, 38% არის სახელმწიფო საკუთრებაში, დანარჩენის კუთვნილება და მომავალი გაურკვეველია.

სატყეო სექტორის მართვა და ზედამხედველობა ხორციელდება ესტონეთის გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ, დაქვემდებარებული ორგანოების მეშვეობით და იყოფა შემდეგ ძირითად



პროცესებად: დაგეგმვა, მეტყვეობა, წარმოება, მარკეტინგი, ტყის დაცვა და ზედამხედველობა, ტყის გაუმჯობესება. ესტონეთის ტყეების მართვაში მონაწილეობენ შემდეგი უწყებები: სახელმწიფო ტყეების მართვის ცენტრი (RMK, [www.rmk.ee](http://www.rmk.ee)) ეს არის სახელმწიფო მომგებიანი სანარმო, ერთადერთი ასეთი ტიპისა ესტონეთში. ცენტრმა ერთი მხრივ ტყის ჭრისა და ტყის რესურსების გაყიდვით სახელმწიფოს უნდა მოუტანოს შემოსავალი. მეორეს მხრივ, ცენტრის ამოცანებია იზრუნოს უნიკალური ტყის გარემოს შენარჩუნებაზე, გარემოსდაცვითი სატყეო სამუშაოების წარმოებასა და უფასო რეკრეაციული შესაძლებლობების შექმნაზე. სახელმწიფო ტყის მართვის ცენტრი მოქმედებს შემდეგი ძირითადი მიმართულებებით: ტყის მართვა, მცენარეთა კულტივაცია და რეკრეაციის მართვა, სანადირო მეურნეობები. ორგანიზაციაში დასაქმებულია 1100 ადამიანი, უმეტესობა პროფესიონალი მეტყვევა.

ტყის დაცვისა და მეტყვეობის ცენტრი არის ესტონეთის გარემოს დაცვის სამინისტროს იურისდიქციის ქვეშ მყოფი სააგენტო. ცენტრის საქმიანობა დაკავშირებულია ყველა სახის საკუთრებისა და კატეგორიის ტყესთან. მისი ძირითადი ფუნქციებია:

- ტყის მდგრადი და მრავალფუნქციური მართვის კანონმდებლობის შექმნაში მონაწილეობის მიღება, ტყის დაცვა და მისი მართვა, კანონმდებლობის შესრულების ანალიზი, მონიტორინგი და სხვა;

- ტყის დაცვისა და მდგრადი მართვის შესახებ ესტონეთის რესპუბლიკის მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო შეთანხმებების შესრულების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და მომზადება;

- გამოყენებული კვლევების ორგანიზება, საკონსულტაციო მომსახურება და საქმიანობა მეტყვეობისა და ტყის დაცვის სფეროში;

- მეტყვეობასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი;

- მცენარეთა თესლის წარმოებასა და იმპორტზე ნებართვის გაცემა.

ესტონეთის ტყეზე მეთვალყურეობის ცენტრი არის კომპანია, რომლის წილობრივი მესაკუთრეა გარემოს დაცვის სამინისტრო. მის ფუნქციებში შედის ტყის ინვენტარიზაცია, ტყის მართვის გეგმის მომზადება, სატყეო მიწების საგადასახადო ფასის დათვლა, ტყის მარაგის ანალიზის მომზადება და სხვა.

ტყის მართვასა და კონტროლში მონაწილეობენ აგრეთვე ესტონეთის გარემოსდაცვითი დეპარტამენტი და გარემოსდაცვითი ინსპექტორატი.

ესტონეთის გარემოსდაცვითი დეპარტამენტი, შედის სამინისტროს შემადგენლობაში — აწარმოებს სატყეო ოპერაციების ყოველდღიურ მონიტორინგს საველე მუშაკების მეშვეობით (ერთ მუშაკზე მოდის სატყეო მიწის 30 000 ჰა). ეს სამსახური ახდენს ადგილობრივი დონის ნებართვებს ადმინისტრირებას.

გარემოსდაცვითი ინსპექტორატი, შედის სამინისტროს შემადგენლობაში - აქვს მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე უზრუნველყოფს კანონებისა და ინსტრუქციების (ნესების) შესრულებას (ერთ ინსპექტორზე მოდის 43 000 ჰა ტყის ფართობი).

2007 წლის 1 იანვრიდან შევიდა ცვლილებები სატყეო კანონმდებლობაში. ცვლილებები ეხება ტყეების განახლებას, კერძო ტყეების დახმარებას, უკანონო ჭრების შემცირებას, მდგრადი მეტყვეობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას.

ესტონეთში მდგრადი მეტყვეობის ხელშეწყობისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება კერძო სექტორისათვის დახმარების გაწევას. სახელმწიფო აფინანსებს კერძო ტყის მფობელების განათლებას სატყეო მეურნეობის წარმოებაში, ასევე გამოყოფს კომპენსაციებს კერძო მესაკუთრეებისათვის.

ესტონეთის ტყეებისათვის დადებითი როლი ითამაშა ევროკავშირში განეწიანებამ და Natura

2000-ის ქსელში ჩართვამ<sup>7</sup>. ამის შედეგად ევროკავშირის „ჰაბიტატების შესახებ დირექტივის“ შესაბამისად დაცვითი რეჟიმი გავრცელდა დამატებით ტყეების დიდ ფართობზე. ქსელი მოიცავს ესტონეთის გადაბერებული ტყის კორომების 10%-ს. ყოველწლიურად იზრდება იმ ტერიტორიების რაოდენობა, სადაც აკრძალულია მერქნის მოპოვება. თუმცა, გარკვეული პრობლემები მაინც რჩება, რომელთა გადაწყვეტისკენაც არის მიმართული ბოლო ცვლილებები. პრობლემატურად რჩება უკანონო ტყეთსარგებლობა: ითვლება, რომ მოპოვებული მერქნის 10% კანონდარღვევითაა მოპოვებული. ჭარბი მოპოვების შედეგად გრძელდება კომერციული (სამეურნეო) ტყეების დეგრადაცია. ესტონელები თვლიან, რომ მათი სატყეო სექტორი ჯერ კიდევ გარდაქმნის ეტაპზეა და ეს პრობლემები უნდა გამოსწოდეს გარემოსდაცვით და სოციალურ პრობლემებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების, ხე-ტყის მრეწველობისა და მთავრობის ერთობლივი მუშაობით.

მიუხედავად ამა-თუ იმ ქვეყნის დადებითი ან უარყოფითი გამოცდილებისა, რეფორმის მთლიანად გადმოღება არ მოიტანს დადებით შედეგებს. თუ ავიღებთ ესტონეთის მაგალითს, უნდა გავითვალისწინოთ ტყეების ეკოლოგიური და ბიოგეოგრაფიული თავისებურებები და ტყეების ზომა. (ესტონეთში ტყეები ერთგვაროვანია, ძირითადად განლაგებულია ცალკეულ მცირე, ერთმანეთთან დაკავშირებულ კორომებად; მხოლოდ 2 მეტ-ნაკლებად დიდი ტყე არის ესტონეთში: 10-20 კმ სიგანისა და 200 კმ ტყის ზოლი სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროდან - ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპირომდე და 200 ჰა ტბა პეიპუსთან).

### 3.1.4 მდგრადი სატყეო მეურნეობა — საერთაშორისო გამოცდილება

ტყეების მდგრადი მართვა ნიშნავს ტყეების მართვას (მენეჯმენტს) მდგრადი განვითარების პრინციპების შესაბამისად. ეს მიდგომა გულისხმობს ძალზე ფართო სოციალური ეკონომიკური და გარემოსდაცვითი ამოცანების შესრულებას.

1992 წელს რიო-დე-ჟანეიროში ჩატარებულ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონცერენციაზე “გარემო და განვითარება” დადგენილი იქნა სატყეო პრინციპები. მასში ასახული იყო საერთაშორისო საზოგადოებრიობის მაშინდელი მიდგომა ტყეების მდგრადი მართვისადმი. მას შემდეგ, გარკვეულწილად შეიცვალა და განვითარდა ამ ცნების განმსაზღვრელი კრიტერიუმები და ინდიკატორები.

ტყეების მდგრადი მართვის დღევანდელი განსაზღვრება შემუშავებულ იქნა ევროპის ტყეების დაცვის მინისტრთა კონფერენციის მიერ (MCPFE) და შემდეგ დამტკიცებულ იქნა გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მიერ (FAO). ტყეების მდგრადი მართვა განიმარტება შემდეგნაირად: ტყეებისა და სატყეო მიწების მართვა და გამოყენება ისეთი გზითა და მოცულობით, რომ შენარჩუნებული იქნეს მათი ბიომრავალფეროვნება, პროდუქტიულობა, რეგენერაციის შესაძლებლობა, სიცოცხლისუნარიანობა და მათი პოტენციალი, რათა ახლაც და მომავალშიც შესრულებულ იქნას ტყის შესაბამისი ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური ფუნქციები ადგილობრივ, ეროვნულ და გლობალურ დონეზე და არ გამოიწვიოს სხვა ეკოსისტემების დაზიანება.

MCPFE ექსპერტთა შეხვედრის მიერ მიღებულ იქნა დოკუმენტი “ტყის მდგრადი მართვის პანევროპული ინდიკატორები”, რომელიც 2003 წელს შევიდა ვენის დეკლარაციის<sup>8</sup> ტექსტში დანართის სახით.

ტყეების მდგრადი მართვის კრიტერიუმები და ინდიკატორები ფართოდ გამოიყენება მრავალი ქვეყნის მიერ ეროვნული ანგარიშების შედგენისას. არსებობს 9 საერთაშორისო და

<sup>7</sup> თავის დროზე, ევროკავშირში განვერიანებისას, მისი მოთხოვნების შესრულებისა და Natura 2000 განვერიანების შედეგად, გადარჩა უნგრეთის ტყეების დიდი ნაწილი. ამ ქვეყანაში პოსტკომუნისტური სატყეო რეფორმის შედეგად “უპატრონოდ დარჩა” ტყეების 20%.

<sup>8</sup> ვენის დეკლარაცია - ევროპის ტყეების დაცვის მინისტრთა კონფერენციის მიერ (MCPFE) ვენაში 2003 წელს მიღებული დეკლარაცია

რეგიონული ინიციატივა, რომელშიც კოლექტიურად ჩაბმულია 150-ზე მეტი ქვეყანა და რომელსაც გააჩნია ტყეების მდგრადი მართვა კრიტერიუმები და ინდიკატორები. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია 3 ინიციატივა: 1) Working Group on Criteria and Indicators for the Conservation and Sustainable Management of Temperate and Boreal Forests (Montreal Process), 2) Ministerial Conference for the Protection of Forests in Europe და 3) International Tropical Timber Organization. ამ ინიციატივების წვერი ქვეყნები, როგორც წესი, თანხმდებიან იმაზე, რომ ანგარიშგებას მოახდენენ ერთი და იგივე ინდიკატორების გამოყენებით. ქვეყნების შიგნით განმარტებული მმართველი სტრუქტურის დონეზე ძალისხმევა ასევე მიმართულია მდგრადი ტყის მართვის ადგილობრივი კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შემუშავებისკენ. ორგანიზაციებმა Center for International Forestry Research და The International Model Forest Network შეიმუშავეს მეთოდები, რათა დაეხმარონ ადგილობრივ ტყეზე დამოკიდებულ თემებს საკუთარი ადგილობრივი ტყის მდგრადი მართვის კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შემუშავებაში.

ზემოთ დასახელებული ცხრა ინიციატივის კრიტერიუმები და ინდიკატორები, შეიძლება, გაერთიანდეს შვიდ თემატურ ჯგუფში:

- ტყის რესურსების ზომა (უნყვეტობა);
- ბიოლოგიური მრავალფეროვნება;
- ტყის სიჯანსაღე და სიცოცხლისუნარიანობა;
- პროდუქტიულობა და ტყის რესურსები;
- ტყის რესურსების დაცვითი ფუნქცია;
- სოციო-ეკონომიკური ფუნქცია;
- სამართლებრივი, პოლიტიკური და ინსტიტუციური სტრუქტურა.

ეს შვიდი თემატური ჯგუფი კარგად გამოხატავს ტყის მდგრადი მართვისადმი არსებულ მიდგომას. ეს თემატური ჯგუფები მიღებული იქნა საერთაშორისო სატყეო საზოგადოების მიერ გაერთიანებული ერების მეოთხე სატყეო ფორუმზე და სატყეო მეურნეობის კომიტეტის მეთექვსმეტე სესიაზე.

ეკოსისტემური მიდგომა 1995 წლიდან შეტანილი იყო "ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენციის" დღის წესრიგში. კონვენციისეული განმარტებით, ეკოსისტემური მიდგომა არის მიწის, წყლისა და ცოცხალი რესურსების ინტეგრირებული მართვის სტრატეგია, რომელიც ხელს უწყობს კონსერვაციასა და მდგრად გამოყენებას სამართლიანი გზით. ეკოსისტემური მიდგომის მეშვეობით შესაძლებელია დაცული იქნეს ბალანსი კონვენციის სამ კომპონენტს შორის. ეკოსისტემური მიდგომის მიხედვით, ადამიანები, თავისი კულტურული მრავალფეროვნებით წარმოადგენენ მრავალი ეკოსისტემის შემადგენელ ნაწილს.

ბიომრავალფეროვნების კონვენციის მხარეთა კონფერენციამ ტყეების მდგრადი მართვა აღიარა, როგორც ტყის ეკოსისტემების მართვის ეკოსისტემური მიდგომის კონკრეტული მეთოდი.

ორი კონცეფცია — ტყეების მდგრადი მართვა და ეკოსისტემური მიდგომა, გულისხმობენ კონსერვაციისა და მენეჯმენტის ისეთი მეთოდების გამოყენებას, რომლებიც არიან გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისით მდგრადი და სარგებელს მოუტანენ დღევანდელ და მომავალ თაობებს.

ევროპის ორმა ავტორიტეტულმა ორგანომ - ევროპის მინისტრთა კონფერენციამ და ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნების პანევროპულმა საბჭომ ერთობლივად შეიმუშავეს დოკუმენტი, რომლითაც ცნეს, რომ ტყეების მდგრადი მართვა განუყოფელია ეკოსისტემური მიდგომისგან<sup>9</sup>.

<sup>9</sup> Joint Position Of The MCPFE And The Efe/PEBLDS On The Pan-European Understanding of the Linkage Between the Ecosystem Approach And Sustainable Forest Management

მზარდმა გარემოსდაცვითმა ცნობიერებამ და ხე-ტყის გადამამუშავებელთა მოთხოვნამ ენარმოებინათ სოციალური პასუხისმგებლობის მატარებელი ბიზნესი ხელი შეუწყო დამოუკიდებელი სერტიფიცირების დანერგვას.

სერტიფიცირების პოტენციური მომხმარებლები არიან: ტყის მენეჯერები, ინვესტორები, გარემოსდაცვითი ადვოკატები, ქალაქისა და მერქნის მომხმარებელი ბიზნესმენები და კერძო პირები.

ტყის სერტიფიცირების მეშვეობით დამოუკიდებელი ორგანიზაცია ამკვიდრებს ტყის მართვის “კარგ” სტანდარტებს. დამოუკიდებელი აუდიტორები გასცემენ სერტიფიკატებს მისი სტანდარტების შესაბამისად. სერტიფიცირებული ტყეები ნიშნავს, რომ ისინი მართული არიან სტანდარტების შესაბამისად, რაც გარანტიას იძლევა, რომ იქიდან მოპოვებული მერქანი, ქალაქი და სხვა პროდუქტები მიღებულია გარემოსდაცვითი მოთხოვნების შესაბამისად. ამრიგად, დამოუკიდებელი სერტიფიცირება მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია მათთვის, ვისაც უნდა, რომ დარწმუნებული იყოს იმაში, რომ მის მიერ შეძენილი ტყის პროდუქცია მოპოვებულია კანონის დაცვით და მდგრადი მეთოდებით მართულ ტყეში.

სერტიფიკაციის გაზრდამ გამოიწვია რამდენიმე სხვადასხვა სისტემის გაჩენა მსოფლიოს მასშტაბით. შედეგად, არ არსებობს ერთი რომელიმე მსოფლიოში საყოველთაოდ მიღებული ტყის მართვის სტანდარტი და ყველა სისტემას გააჩნია რალაცით განსხვავებული მიდგომა ტყის მდგრადი მენეჯმენტის განმსაზღვრელი სტანდარტებისადმი. სერტიფიცირების ზოგიერთი ძირითადი სტანდარტია:

- კანადის სტანდარტების ასოციაცია (Canadian Standards Association - CSA)
- საერთაშორისო სატყეო სამეურვეო საბჭო (Forest Stewardship Council - FSC)
- მდგრადი მეტყევეობის ინიციატივა (Sustainable Forestry Initiative - SFI)
- ტყის სერტიფიცირების სქემების მხარდაჭერის პროგრამა (Programme for the Endorsement of Forest Certification schemes - PEFC).

მსოფლიოში სერტიფიცირებული ტყეების ფართობის სწრაფი ტემპით იზრდება. 2006 წლის დეკემბერში 2 444 000 კვადრატული კილომეტრი ფართობის ტყე იყო სერტიფიცირებული CSA, FSC, SFI სტანდარტების შესაბამისად, რომელთაგან მხოლოდ კანადაში სერტიფიცირებულია 1237000 კვადრატული კილომეტრი.

ყველაზე მეტი რაოდენობით სერტიფიცირებული ტყეებია ევროპასა და ჩრდილო ამერიკაში. განვითარებად ქვეყნებში ეს ინსტრუმენტი ფართოდ არ გამოიყენება სერტიფიცირებული აუდიტისა და სერტიფიცირების სტანდარტების არქონის გამო.

როგორც აღვნიშნეთ, ტყის მდგრადი მართვის საკითხებში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინიციატივა არის ტყის საკითხებზე მომუშავე ევროპის მინისტრთა კონფერენცია. დღემდე გაიმართა ოთხი კონფერენცია, ხოლო ბოლო მათგანი 2003 წელს ვენაში (ავსტრია). მასში მონაწილეობას იღებდა ტყის მართვის საკითხებთან დაკავშირებული 40 ევროპული ქვეყნის უწყების ხელმძღვანელი (მათ შორის საქართველო).

2003 წლის ვენის მინისტრთა კონფერენციის მიერ მიღებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელთა რეკომენდაციების შესრულებაც ივალდებულეს მონაწილე ქვეყნებმა. ეს არის ვენის მინისტრთა დეკლარაცია (ვენის ცოცხალი ტყეების სამიტის დეკლარაცია: ევროპის ტყეები — საერთო სარგებელი, განაწილებული პასუხისმგებლობა (Vienna Living Forest Summit Declaration European Forests: Common Benefits, Shared Responsibilities) და ხუთი რეზოლუცია.

პირველი რეზოლუცია არის თანამშრომლობის გაძლიერება ევროპაში ტყის მდგრადი მართვის საკითხებში სექტორებს შორის თანამშრომლობისა და ტყის ეროვნული პროგრამების

მეშვეობით<sup>10</sup>. ამ რეზოლუციის მიხედვით აღიარებულია, რომ ტყეების მდგრადი მართვა შეუძლებელია ტყეების მართვის პოლიტიკისა და სხვა სფეროების პოლიტიკებისა და სტრატეგიების ინტეგრაციისა და კოორდინაციის გარეშე.

ამ რეზოლუციის მიხედვით, ხელმომწერი მხარეები ვალდებულია იღებენ შეიმუშაონ და შეასრულონ ტყეების ეროვნული პროგრამები, რაშიც შესაძლებლობის ფარგლებში გამოიყენებენ ამ რეზოლუციის დანართში მოცემულ პრინციპებს<sup>11</sup>:

- თანამონაწილეობა;
- ერთიანი და ინტერ-სექტორული მიდგომა;
- იტერატიული (მრავალჯერადი) და ხანგრძლივი პასუხისმგებლობა;
- შესაძლებლობათა გაძლიერება;
- ეროვნული კანონმდებლობისა და პოლიტიკის ჰარმონიზაცია;
- ეროვნული მდგრადი განვითარების სტრატეგიებთან ინტეგრაცია;
- საერთაშორისო ვალდებულებებთან შესაბამისობა;
- ინსტიტუციური და პოლიტიკური რეფორმა;
- პარტნიორობა განხორციელების პროცესში;
- ცნობიერების ამაღლება.

მეორე რეზოლუცია ეხება ტყეების მდგრადი მართვის ეკონომიკურ ასპექტებს და ეწოდება “ტყეების მდგრადი მართვის ეკონომიკური ეფექტურობის გაზრდა”. მასში ნათქვამია, რომ ეკონომიკური ეფექტურობა წარმოადგენს ტყეების მდგრადი მართვის ძირითად პრინციპს და გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ტყეების დაცვისა და მათი მრავალმხივი გამოყენებისათვის, რათა ხელი შეუწყოს ტყეების მდგრად გამოყენებას და ადამიანების უზრუნველყოფას სასიცოცხლო აუცილებლობებით, განსაკუთრებით სოფლად მცხოვრები მოსახლეობის. ხელმომწერი ქვეყნები ვალდებულია იღებენ შექმნან სამართლებრივი და სხვა ინსტრუმენტები ტყეების მდგრადი მართვის სტაბილური პირობების შესაქმნელად, რომლებიც მოახდენენ სატყეო სექტორში ინვესტირებისა და ეკონომიკური საქმიანობის სტიმულირებას, მათ შორის სატყეო კანონმდებლობის გამკაცრებას, უკანონოდ მოპოვებული ხე-ტყის მოპოვებისა და მასთან დაკავშირებული ვაჭრობის აღსაკვეთად.

მესამე რეზოლუცია არის ევროპაში ტყეების მდგრადი მართვის სოციალური და კულტურული ასპექტების შენარჩუნება და გაძლიერება. იგი ეფუძნება იმის აღიარებას, რომ ტყეების ღირებულება ასახულია ადამიანის ხალხთა კულტურაში, ენაში, ხელოვნებაში, ტრადიციებში და სხვა სულიერ ღირებულებებში. ამის გამო, ქვეყნები ვალდებულია იღებენ ტყეების მდგრადი მართვის სოციალური და კულტურული ასპექტები ასახონ სატყეო და სხვა შესაბამის ეროვნულ პოლიტიკებში.

განსაკუთრებით საინტერესოა მეოთხე რეზოლუცია - “ევროპაში ტყის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება და გაზრდა”. ამ რეზოლუციაში მოცემულია ევროპის ტყეების კლასიფიკაციის სისტემა. ამ სისტემის მიხედვით, ტყეები იყოფა დაცულ, დაცვით და სხვა ტყით დაფარული ტერიტორიებად და მათზე წესდება მდგრადი განვითარების შესატყვისი რეჟიმი.

დაცული და დაცვითი ტყეები დაყოფილია ხუთ კლასად. რაც ძალზე მნიშვნელოვანია, ამ დაყოფაში მოცემულია ურთიერთკავშირი ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირის (IUCN) კატეგორიებსა და ევროპის გარემოს დაცვის სააგენტოს კატეგორიებს შორის. (პირველის მიხედვით ხდება დაცული კატეგორიების დანესება, ხოლო მეორე წარმოადგენს, NATURA 2000 და “ზურმუხტოვანი ქსელის” კრიტერიუმებს). ამ რეზოლუციის ძირითადი პრინციპები

<sup>10</sup> Strengthen synergies for sustainable forest management in Europe through cross-sectoral co-operation and national forest programmes.

<sup>11</sup> The Annex to Vienna Resolution 1: “Strengthen Synergies for Sustainable Forest Management in Europe Through Cross-Sectoral Co-operation and National Forest Programmes” embraced the MCPFE Approach to National Forest Programmes in Europe

უნდა იქცნენ მნიშვნელოვან ინსტრუმენტად ტყეების დაცვის საქმეში.

სხვა ინიციატივა, რომელიც დაკავშირებულია ტყეებთან და რომლის ნევრიცაა საქართველო, არის “კანონის აღსრულება, მმართველობა და ვაჭრობა სატყეო სექტორში”<sup>12</sup> (FLEGT). ევროკომისიამ დამტკიცა მისი სამოქმედო გეგმა 2003 წლის 21 მაისს. ეს ინიციატივა არის პოლიტიკური პროცესი, რომლის მიზანია ტყის უკანონო ჭრასთან და ვაჭრობასთან ბრძოლა. FLEGT ინიციატივით ევროკავშირი, როგორც მერქნის ერთ-ერთი მსხვილი მომხმარებელი, ინანილებს პასუხისმგებლობას მერქნის მწარმოებელ ქვეყნებთან უკანონო მოპოვებასთან და ვაჭრობასთან ბრძოლაში. მოქმედებათა გეგმა გულისხმობს ნებაყოფლობითი შეთანხმების შემუშავებას ხე-ტყის მწარმოებელ ქვეყნებსა და ევროკავშირს შორის. ევროკავშირში ექსპორტირებული და პარტნიორ ქვეყნებში წარმოებული მერქნის კანონიერება უნდა განისაზღვროს ლიცენზიებით, რომელსაც გასცემენ პარტნიორ-ქვეყნებში. ასეთი საბუთის გარეშე აიკრძალება ევროკავშირში მერქნის შეტანა. იმისათვის, რომ საბაჟო სამსახურებმა მოახდინონ უკანონო ხე-ტყის შეტანის შეჩერება, საჭირო გახდება ევროკავშირის ახალი დირექტივის მიღება.

2005 წელს სანკტ-პეტერბურგში, აღნიშნული თემისადმი მიძღვნილ მინისტრთა მესამე კონფერენციაზე, მსოფლიოს ორმოცდახუთმა ქვეყანამ (საქართველოს ჩათვლით) ხელი მოაწერა “ევროპისა და ჩრდილოეთ აზიის სატყეო სექტორში კანონალსრულებისა და მმართველობის” (ENA FLEG) დეკლარაციას. დეკლარაციაზე ხელმომწერმა ქვეყნებმა აიღეს პოლიტიკური ვალდებულება, ყველა დაინტერესებულ მხარესთან შეთანხმებით, შეიმუშაონ და განახორციელონ ეროვნული გეგმა სექტორის მართვის გასაუმჯობესებლად, არალეგალური ჭრებისა და ვაჭრობის აღსაკვეთად. ასევე, მთელმა რიგმა დონორმა ორგანიზაციებმა გამოთქვეს დეკლარაციის მიზნების მისაღწევად ხელმომწერი ქვეყნებისათვის დახმარების აღმოჩენის სურვილი. უნდა აღინიშნოს, რომ ფორმალურად, საქართველოს მიერ დეკლარაციაზე ხელმომწერის ფაქტი მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია, რადგან აღნიშნულით საქართველოს მთავრობამ დააფიქსირა სატყეო სექტორში მმართველობის გაუმჯობესებისა და კორუფციასთან ბრძოლის პოლიტიკური ნება. სამწუხაროდ, ამ დეკლარაციით (ისევე როგორც სხვა მრავალი საერთაშორისო შეთანხმებით, კონვენციითა თუ ხელშეკრულებით) აღებული ვალდებულებები მხოლოდ ქალაქში რჩება<sup>13</sup>.

### 3.1.5 საქართველოს სატყეო სექტორის რეფორმა: ტენდენციები და საფრთხეები

სატყეო სექტორის რეფორმის აუცილებლობაზე თანხმდება ყველა სამთავრობო უწყება, ორგანიზაცია და დამოუკიდებელი ექსპერტი, თუმცა ამ რეფორმის განხორციელების გზებთან დაკავშირებით არსებობს გარკვეული შეუთანხმებლობა სხვადასხვა პოზიციას შორის. წლების განმავლობაში მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები წინააღმდეგობაში მოდის ერთმანეთთან და არ იგრძნობა თანამიმდევრულობა. ამის მთავარი მიზეზია ეროვნული სატყეო პოლიტიკის არარსებობა.

მსოფლიოში არსებულმა პრაქტიკამ გვაჩვენა, რომ ტყის მდგრადი მენეჯმენტის განსახორციელებლად სახელმწიფომ შემდეგი თანამიმდევრობით უნდა განახორციელოს ქმედებები:

- შეიმუშაოს და დაამტკიცოს ეროვნული სატყეო პოლიტიკა;
- ეროვნულ სატყეო პოლიტიკაზე დაყრდნობით შეიმუშაოს სატყეო სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა;
- ეროვნული სატყეო პოლიტიკიდან და სტრატეგიის შესაბამისად დაამტკიცოს სატყეო კანონმდებლობა და განახორციელოს ინსტიტუციური რეფორმა;

<sup>12</sup> FLEGT - Forest Law Enforcement, Governance and Trade

<sup>13</sup> დღემდე აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში არ განხორციელებულა არც ერთი ქმედება, არ შექმნილა არც ერთი დოკუმენტი; თავად დეკლარაციაზე ხელმომწერის ფაქტიც კი არ არის დაფიქსირებული არც სამინისტროს ინტერნეტ-გვერდზე და არც წლიურ ანგარიშში, რაც ნიშნავს, რომ ვერ აცნობიერებენ მის მნიშვნელობას.

ტყე მთელი ერის საკუთრება და ცხოველი ინტერესის საგანია, ვინაიდან მასთან მჭიდროდაა გადაჯაჭვული გარემოსდაცვითი, ეკონომიკური და სოციალური საკითხები. ამიტომ ტყეებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება უნდა ხდებოდეს საზოგადოების ფართო მონაწილეობითა და ეროვნული კონსენსუსის გზით.

ასეთი ქმედებების განხორციელებას საქართველოს ხელისუფლებას ავალდებულებს მონაწილეობასხვადასხვა კონვენციებში დაინიციატივებში, რომელთა მიერაც დეკლარირებულია მდგრადი მეტყევეობის პრინციპები (მაგალითად, კონვენცია ბიომრავალფეროვნების შესახებ, MCPFE და ENA-FLEG და სხვ.).

მეორე ფაქტორი, რომელიც აუცილებელია მდგრადი ტყის მენეჯმენტისათვის, არის ზუსტი ინვენტარიზაციის, ანუ ტყეთმონყოფის მონაცემების არსებობა. ეს მნიშვნელოვანია, როგორც ტყის მდგრადი მართვის უზრუნველსაყოფად, ანუ კონსერვაციული თვალსაზრისით, ასევე პოტენციური ინვესტორისათვის სწორი ინფორმაციის მისაწოდებლად.

დღეს მოქმედი ერთადერთი სტრატეგიული დოკუმენტი, რომელიც სატყეო სექტორს ეხება, არის “საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა”, რომელიც დამტკიცებულია მთავრობის დადგენილებით (საქართველოს მთავრობის 2005 წლის 19 თებერვლის №27 დადგენილება).

ამ დოკუმენტში საკმაოდ დეტალურად არის აღწერილი სატყეო სექტორში არსებული პრობლემები, განსაზღვრულია ზოგადი სტრატეგიული მიზნები და ამოცანები და ნათქვამია, რომ “სატყეო სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა ამ დოკუმენტში<sup>14</sup> განსაზღვრულ შესაბამის მიზნებსა და ამოცანებზე დაყრდნობით შემუშავდება ცალკე დოკუმენტის სახით”.

საქართველოს სატყეო სექტორის რეფორმაზე საუბარი და მუშაობა გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევარში დაიწყო. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პერიოდში, სამოქალაქო და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებული ომების დროს, ბუნებრივია, რომ არავის ეცალა სატყეო მეურნეობის რეფორმისათვის. კონსტიტუციის მიღებისა და ახალი კანონმდებლობის საფუძვლების ჩამოყალიბების შემდეგ, სახელმწიფომ დაიწყო საბჭოთა დროის სატყეო მეურნეობებიდან საბაზრო ეკონომიკის შესაბამისი ინსტიტუციებისკენ გარდაქმნისათვის მზადება.

ამ მიზნით შეიქმნა ახალი ტყის კოდექსი (1999), რასაც მოყვა მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული “საქართველოს სატყეო სექტორის განვითარების პროექტის” დაწყება. ამ პროექტის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს სატყეო სექტორის რეფორმირება, მართვის გაუმჯობესება და ინსტიტუციური გაძლიერება.

სამწუხაროდ, ამ პროექტის საწყის ეტაპზე არ იქნა შემუშავებული ეროვნული სატყეო პოლიტიკა. შედეგად, პროექტის მიერ შემუშავებული არაერთი დოკუმენტი და განხორციელებული ქმედება დღეს გამოუყენებელია<sup>15</sup>. რეფორმის არსი და მიმართულება კი იცვლება მთავრობაში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებებისა და, რაც ყველაზე უარესია, უწყების შიგნით ხელმძღვანელი პირების ცვლილების/გადანაცვლებების შედეგად.

რეფორმირების პირველი მოდელი შეიქმნა 2002-2003 წლებში. ის გულისხმობდა კომერციული სახელმწიფო სტრუქტურის ჩამოყალიბებას, რომელიც შეასრულებდა სამეურნეო სამუშაოებს. მხოლოდ ამის შემდგომ დაიწყო მსოფლიო ბანკის პროექტმა ზრუნვა სატყეო პოლიტიკის დოკუმენტის შექმნაზე. ამისათვის პროექტის მიერ მოპოვებულ იქნა გაეროს სურსათისა

<sup>14</sup> იგულისხმება “საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა”.

<sup>15</sup> მაგალითად, დოკუმენტი “სატყეო სექტორის რაციონალიზაციის და ინსტიტუციონალური განვითარების გეგმა”, ვინაიდან 2004 წელს “ვარდების” რევოლუციის შემდეგ მთავრობაში განხორციელდა ძირეული რეფორმა, რითაც სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი გაერთიანდა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში.

და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) გრანტი, რასაც ხელი მოეწერა 2004 წლის დასაწყისში.

“ვარდების რეკოლუციისა” და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შემადგენლობაში დეპარტამენტის გაერთიანების შემდგომ, კვლავ დადგა დღის წესრიგში სატყეო სექტორის რეფორმირების საკითხი. სამწუხაროდ, პოლიტიკის შემუშავება ამ შემთხვევაშიც მეორე პლანზე გადაიდა და ჯერ რეფორმის კონცეფციის შემუშავება დაიწყო.

საქართველოს მთავრობის მიერ შეიქმნა სატყეო დარგის რეფორმირების სამთავრობო კომისია. სატყეო მეურნეობის დეპარტამენტმა მოამზადა რეფორმის კონცეფცია, რომელსაც კომისია განიხილავდა. მთავრობის კაბინეტმა და პარლამენტის შესაბამისმა კომიტეტმა განიხილეს ეს საკითხი და შეთანხმდნენ კიდევაც რეფორმის ძირითად მიმართულებებზე 2004 წლის ბოლოს-2005 წლის დასაწყისში.

რეფორმის შედეგად, უნდა შექმნილიყო სატყეო ურთიერთობების ახალი სუბიექტი – სახელმწიფო სააქციო საზოგადოება, სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით, რომელიც გახდებოდა სამეურნეო ტყეების მართვაზე უფლებამოსილი ორგანო (კომერციული სტრუქტურა). სააქციო საზოგადოება განახორციელებდა სამენარჩეო საქმიანობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად; ტყეები დაიყოფოდა სხვადასხვა კატეგორიებად დანიშნულებისა და ფუნქციის მიხედვით - მაღალი კატეგორიის, პროდუქტიულობით გამორჩეულ და დაცვის ფუნქციის მატარებელ ტყეებად. რეფორმის შედეგად ტყეები კუთვნილების მიხედვით ჩამოყალიბდებოდა სათემო, მუნიციპალურ და სახელმწიფო ტყეებად; რეფორმის შედეგად ლიცენზირებას დაქვემდებარებული ტყითსარგებლობის ფორმა იქნებოდა გრძელვადიანი იჯარა, რომელიც შემდგომში შეიძლება ტრანსფორმირებულიყო კერძო საკუთრებად;

ამ რეფორმის კონცეფციის შემუშავებაში არ მიუღია მონაწილეობა საზოგადოების წარმომადგენლებს და არც სამინისტროს სხვა სტრუქტურებს, გარდა სატყეო დეპარტამენტისა. მხოლოდ რამდენიმე პრეზენტაცია გაიმართა. მთლიანობაში, მართვის ეს მოდელი ჰგავდა ევროპის ქვეყნებში არსებულს, თუმცა იქ დაბალანსებულია ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური საკითხები<sup>16</sup>. რეფორმის კონცეფციაში მრავალი არსებითი მომენტი დაუმუშავებელი და დაუზუსტებელი იყო: როგორ მოხდებოდა ტყის ფართობების გამოყოფა ახალი დაცული ტერიტორიების შესაქმნელად და არსებულის გასაფართოებლად; როგორ განხორციელდებოდა კონტროლი და დაცვა; როგორ შენარჩუნდებოდა კონკურენტული გარემო კერძო ხე-ტყის დამამზადებელ სუბიექტებსა და სახელმწიფო სააქციო საზოგადოებას შორის, სახელმწიფო ტყის ფონდის რა ნაწილი გადაეცემოდა სააქციო საზოგადოებას და სხვ.

მხოლოდ ასეთი რეფორმის კონცეფციის შემუშავების შემდგომ დაიწყო საქართველოს სატყეო პოლიტიკის დოკუმენტის შექმნაზე მუშაობა.

2005 წელს დეპარტამენტის ხელმძღვანელობის ცვლილების შემდეგ, კვლავ შეიცვალა რეფორმის აქცენტი. ახალი რეფორმის კონცეფციის დოკუმენტი<sup>17</sup> გამოქვეყნდა 2006 წლის დასაწყისში. სახელმწიფო სააქციო საზოგადოების იდეა უარყოფილ იქნა. ტყით სარგებლობის ძირითად ფორმად კვლავ მიჩნეული იყო გრძელვადიანი იჯარა. ნათქვამი იყო, რომ სახელმწიფოს განზრახული აქვს ტყეების მაქსიმალური რაოდენობა იჯარის ფორმით გადასცეს კერძო სექტორს. იჯარა მომავალში შეიცვლებოდა კერძო საკუთრებით.

<sup>16</sup> მაგალითად, ავსტრიაში ტყეების ნაწილს მართავს სახელმწიფო კომპანია -Österreichische Bundesforste (ÖBf). ის ახდენს ტყეების, მთებისა და მდინარეების დაცვასა და მართვას. კომპანიის გამგებლობაშია 860 ათასი ჰა, რაც შეადგენს ავსტრიის ტერიტორიის 10%-ს: ესაა ქვეყნის ტყეების 15% და ტბების 70%. მისი ტერიტორიის ნახევარზე მეტი დაცულია გარემოსდაცვითი კანონმდებლობით.

<sup>17</sup> „საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს პოზიცია სახელმწიფო ტყეების მართვისა და რესურსებით სარგებლობის რეფორმირებასთან დაკავშირებით“, 2006 წ.



დოკუმენტში რეფორმის სამაგალითო ქვეყნებად დასახელებული იყო აფრიკის, ლათინური ამერიკის და აზიის ქვეყნები, რუსეთი და კანადა.

ამ კონცეფციას, უამრავი ხარვეზი ჰქონდა, რის გამოც, დაიმსახურა გარემოსდაცვითი ორგანიზაციების და ექსპერტების კრიტიკა. არ იყო გააზრებული, ვინ მართავდა ტყეებს, რომელთა იჯარით გაცემაც ვერ მოხერხდებოდა, როგორ უნდა გატარებული კონსერვაციული ღონისძიებები, მოსახლეობის პირადი მოხმარების მიზნით მერქნით დაკმაყოფილება და სხვ. პრაქტიკულად, წინა რეფორმის კონცეფციასთან იყო მხოლოდ ერთი არსებითი განსხვავება: არ იქმნებოდა სახელმწიფო კომერციული სტრუქტურა, რადგან ის მოიაზრებოდა, როგორც ახალი კორუფციის წყარო და პოტენციური მონოპოლისტი.

ამ დოკუმენტის გამოქვეყნების შემდეგ, სამინისტრომ დაიწყო მუშაობა ტყის პოლიტიკის შემუშავებაზე. ზემოთ ნახსენები რეფორმის კონცეფცია, სისუსტისა და მწვავე კრიტიკის გამო მთლიანად უარყოფილ იქნა და აქცენტი გადავიდა პოლიტიკის შემუშავებაზე FAO-ს გრანტის შესაბამისად. როგორც მოვლენებმა გვიჩვენა, ეს უარყოფა დროებითი იყო.

2006 წლის ზაფხულის დასაწყისში სამინისტროს მიერ შექმნილი ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეიქმნა “საქართველოს სატყეო პოლიტიკის კონცეფცია”. ამ კონცეფციის დამტკიცების შემდგომ და მის საფუძველზე უნდა შექმნილიყო საქართველოს სატყეო პოლიტიკა და სტრატეგია. ჩატარდა კონცეფციის განხილვებიც და დაისახა საბოლოო დოკუმენტის შემუშავების ვადები და გეგმა.

მოკლე ხანში სამინისტრომ კვლავ არასწორი მიმართულებით წარმართა დონორებთან შეთანხმებული საქართველოს სატყეო პოლიტიკის შექმნის შეთანხმებული პროცესი.

2006 წლის ბოლოს, კვლავ სამთავრობო ცვლილებების შედეგად, “საქართველოს სატყეო პოლიტიკის კონცეფცია” მოულოდნელად გადაკეთდა სულ სხვა შინაარსისა და ფორმის დოკუმენტად - “საქართველოს სატყეო პოლიტიკა და სტრატეგია” - ანუ პრეტენზია ჰქონდა დასრულებულ ვარიანტზე. ამ დოკუმენტის შემუშავებაც სრულიად არაგამჭვირვალედ, რამდენიმე ადამიანის კაბინეტური მოღვაწეობის შედეგად მოხდა. ეს იყო ორი დოკუმენტი: “საქართველოს სატყეო პოლიტიკის საფუძვლებისა” და სამინისტროს მიერ 2006 წლის დასაწყისში გავრცელებული “რეფორმის კონცეფციის” ნაზავი. ბუნებრივია, ის შენიშვნები და წინადადებები, რომლებიც ადრე იქნა გაკეთებული, აზრს კარგავდა.

დოკუმენტში ერთმანეთში იყო არეული მიზანი, ამოცანა, პრიორიტეტული მიმართულება, პრინციპი და ქმედება; წარსული მენეჯმენტი, არსებული მდგომარეობის აღწერა და პოლიტიკით განსაზღვრული სამომავლო ქმედებები ასევე არ იყო გამიჯნული; განსახილველ დოკუმენტს ჰქონდა პრეტენზია “სტრატეგიაზეც”, მაგრამ არ ახლდა სამოქმედო გეგმა და განხორციელების ინდიკატორები. იყო შეუსაბამობებიც, მაგალითად: დოკუმენტი გულისხმობდა საქართველოს ტყეების დაყოფას/კატეგორიზაციას MCPFE კლასების მიხედვით, რაც მისასაღმებელია; თუმცა, ამავდროულად, ვენის რეზოლუციით შემოთავაზებული ტყეების კლასებად დაყოფა გაიგივებული იყო საკუთრების ფორმებთან და უშვებდა დაცული ტერიტორიების კერძო საკუთრებაში გადაცემას.

ამასთანავე, დოკუმენტის სტრუქტურა და განწყობა მიანიშნებდა, რომ ამ ქმედების განხორციელებაზე გადაწყვეტილება უკვე მიღებულია, ხოლო თავად დოკუმენტი სიტუაციის შელამაზებისთვის და დონორების გულის მოსაგებად, ფორმალურად კეთდებოდა.

მთლიანობაში შესაძლებელი იყო დაგვესკვნა, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ მომზადებული დოკუმენტით “საქართველოს სატყეო პოლიტიკა და სტრატეგია” შეუძლებელია “სატყეო სექტორის მართვის სისტემაში ქმედითი ღონისძიებების განხორციელება” (როგორც ამას ირწმუნებოდა სამინისტროს 2006 წლის ანგარიში).

არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან არგუმენტირებული კრიტიკის შედეგად (ამ დროს კვლავ მოხდა დეპარტამენტის ხელმძღვანელობის შეცვლა) კიდევ ერთხელ შეიცვალა დოკუმენტი, თუმცა კვლავ საზოგადოების ინფორმირების გარეშე. პოლიტიკის განმსაზღვრელი ეს დოკუმენტიც გამოქვეყნდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც შემუშავდა და განხორციელება დაიწყო სატყეო სექტორის რეფორმამ.

ახალ დოკუმენტს ეწოდება “საქართველოს სატყეო პოლიტიკა”. ამ დოკუმენტის მიხედვით, საქართველოში ტყეებზე საკუთრების ფორმები ჩამოყალიბდება შემდეგი სახით:

1. სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული სატყეო ფონდის ტერიტორიები, რომელთა მართვაზე პასუხისმგებელი იქნება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო (შესაბამისად სატყეო და დაცული ტერიტორიების დეპარტამენტების მეშვეობით). სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიების ნაწილი აუქციონის წესით შეიძლება ხანგრძლივადიან სარგებლობაში გადაეცეს კერძო სამართლის იურიდიულ პირებს ხე-ტყის დამზადების, ასევე სამონადირეო მეურნეობებისა და ტურისტულ-რეკრეაციული ინფრასტრუქტურის მონეობისა და სხვა მიზნებისათვის;
2. ავტონომიური რესპუბლიკების მართვაში არსებული სატყეო ფონდის ტერიტორიების, რომელიც ასევე შესაძლოა ხანგრძლივადიან სარგებლობაში სამართავად გადაეცეს ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს;
3. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მართვაში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის სატყეო ფონდის ტერიტორიები;
4. საპატრიარქოს მართვაში არსებული სატყეო ფონდის ტერიტორიები;

დოკუმენტის თანახმად, აქცენტი გადავა ხანგრძლივადიან ტყის სარგებლობაზე ლიცენზიების ფორმით (განსხავებით წინა ვარიანტებისგან, სადაც იჯარა იგულისხმებოდა). სატყეო ფონდის ტერიტორიების საკუთრებისა და მართვის ფორმების მიუხედავად სატყეო პოლიტიკის განხორციელებას კოორდინაციას გაუწევს და ტყით სარგებლობის კონტროლს განახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. განსაზღვრულია იმ ტყეების სავარაუდო ჩამონათვალი (დაახლოებით 800 000 ჰა), რომლებიც 2007 წლის შემოდგომამდე უნდა გადავიდეს ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულების მართვაში.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ შეიქმნება შესაბამისი სატყეო განყოფილებები, რომლებიც დაფინანსდება თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებიდან. თვითმმართველობის ორგანოების უფლებო-მოვალეობები იქნება: (ა) ადგილობრივი მოსახლეობის საშემე და სამასალე მოთხოვნილებების დაკმაყოფილება<sup>18</sup>; (ბ) ტყის დაცვისა და აღდგენის ღონისძიებების განხორციელება; (გ) ტყის სტატისტიკური (ფონური) ინვენტარიზაცია; (დ) ზემოაღნიშნული ფორმების შევსება და სამინისტროსთვის წარდგენა; (ე) ტყის მართვის გეგმების შემუშავება და დასამტკიცებლად სამინისტროში წარმოდგენა.

განსაზღვრულია ოთხი ძირითადი ფუნქცია, რომელიც უნდა შეასრულოს სახელმწიფომ ტყეებთან მიმართებაში:

**(1) რეგულირების ფუნქცია** მოიცავს სატყეო პოლიტიკის განხორციელებისათვის საჭირო

<sup>18</sup> გაუგებარია, ადგილობრივი მოსახლეობის საშემე და სამასალე მერქნით დაკმაყოფილება მხოლოდ ადგილობრივი ტყეების ხარჯზე მოხდება თუ სხვა ფართობებიდანაც. ყოფილი საკოლმეურნეო ტყეები ყველაზე უფრო დეგრადირებულია და ასეთი ნაბიჯი ძალიან მოკლე პერიოდში ამ ტყეების (800 ათასი ჰა) სრულ განადგურებას გამოიწვევს. ეს ტყეები უბრალოდ ვერ შეძლებენ მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. ასევე გაურკვეველია, მართვაში გადაეცემა თვითმმართველობის ორგანოებს ტყე, თუ საკუთრებაში?

საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის სრულყოფას ყველა შესაძლო დაინტერესებული მხარის მონაწილეობით;

- (2) **ზედამხედველობის ფუნქცია** მოიცავს ინსტიტუციური სისტემის შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს კანონალსრულებას ტყის ფონდის ტერიტორიებზე, მათი საკუთრებისა და მართვის ფორმების მიუხედავად;
- (3) **მესაკუთრეობის (მფლობელობის) ფუნქცია** ნიშნავს სახელმწიფოს მიერ ტყის იმდაგვარ მართვას, როდესაც უზრუნველყოფილია სახელმწიფო ტყეებისათვის დამახასიათებელი ეკოლოგიური და სიციალური ფუნქციების განხორციელება, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს ტყის დაცვას, სახელმწიფო ტყის ღირებულების გაზრდას და მოგების გაზრდას ტყის მფლობელისათვის-სახელმწიფოსათვის;
- (4) **ხელშეწყობის ფუნქცია** გულისხმობს ისეთი პირობების შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს ტყის გრძელვადიანი ფუნქციის სტაბილიზაციას და კერძო სექტორის მოტივაციის გაზრდას.

საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებისა და საქართველოში მდგრადი მეტყვევების განვითარების, ასევე ტყის მართვის თანამედროვე სტანდარტების დანერგვის თვალსაზრისით პრიორიტეტულ ორიენტირად აღებულია სატყეო სამეურვეო საბჭოს (FSC) სახელმძღვანელო პრინციპების დამკვიდრება.

დოკუმენტში ჯერ კიდევ ბევრი რამ იყო დასამუშავებელი: ადგილობრივი მოსახლეობის უზრუნველყოფა პირადი მოხმარების შეშითა და სამასალე მერქნით, ნაკლებად იგრძნობოდა ეკოსისტემური მიდგომა, არაფერი იყო ნათქვამი საზოგადოების ინფორმირებასა და გადაწყვეტილების პროცესში ჩართვის შესაძლობლობებზე.

სატყეო დეპარტამენტმა მოახწო ამ დოკუმენტის ერთი განხილვა და ითხოვა შენიშვნებისა და წინადადებების მიწოდება<sup>19</sup>. ბევრი მათგანი გათვალისწინებული იქნა პროექტის დახვეწისას. თუმცა, სამთავრობო უწყებებში ისე დაიგზავნა დოკუმენტი შესათანხმელად და მთავრობის სხდომაზე ისე გავიდა, რომ ბოლო ვერსია საზოგადოებისთვის არ გახდა ხელმისაწვდომი. ამრიგად, დოკუმენტის მიღების დემოკრატიულობის ხარისხი, ასევე ის, რომ პოლიტიკის მისადაგება ხდება უკვე გადაწყვეტილ რეფორმის კურსთან, კვლავ უცვლელი დარჩა<sup>20</sup>. თუმცა, მთავრობის სხდომაზე წარდგენილ ვერსიაში “საქართველოს სატყეო პოლიტიკის” მიზანი დახვეწილი სახით იქნა წარმოდგენილი და სრულად შეესაბამებოდა მდგრადი მართვის პრინციპებს. დაემატა საზოგადოების მონაწილეობასთან დაკავშირებული და ეკოლოგიური საკითხები. ბოლომდე არ არის ცხადი რა ფორმით (საკუთრების თუ მართვის უფლებით) გადაეცემა ტყეები ადგილობრივი ხელისუფლებას.

რეფორმის განხორციელების სახელით უკვე გაიცა ხე-ტყის დამზადების რამდენიმე ლიცენზია 20 წლის ვადით. უნდა აღინიშნოს სატყეო დეპარტამენტის დამოკიდებულებები ტყეთმონწყობის სამუშაოებისადმი. მათი აზრით წინასწარი ინვენტარიზაცია და ტყეთმონწყობა სახელმწიფომ არ უნდა ჩაატაროს, ვინაიდან ეს ზედმეტი და დიდი ხარჯია. ამიტომ ტყეთმონწყობის სამუშაოების ჩატარება ლიცენზიანტს უნდა დაევალოს. ამ შემთხვევაში, წინასწარო მონაცემების არქონის გამო, შესაძლებელია მოსაჭრელად გაიცეს დეგრადირებული ფართობები, სადაც მერქნის მარაგები არ არსებობს, ან დაცვითი და დაცული ღირებულების მქონე ტყეები. ლიცენზიანტის მიერ საკუთარი მოსაპოვებელი რესურსის შეფასება კი გარკვეულ ინტერესთა კონფლიქტის შეიცავს. ლიცენზიანტების დავალდებულება, გაიაროს

<sup>19</sup> ასოციაცია მწვანე ალტერნატივამ მიანოდა დაწვრილებითი და დასაბუთებული შენიშვნები სატყეო დეპარტამენტს ამ დოკუმენტთან დაკავშირებით და აქტიური მონაწილეობა მიიღო განხილვებში.  
<sup>20</sup> არსებული სიტუაციის გამო, მწვანე ალტერნატივამ მიმართა მსოფლიო ბანკს და მოითხოვა “ტყის განვითარების პროექტის” შეჩერება.

სერტიფიცირება სატყეო სამეურვეო საბჭოს (FSC) წესებით, ერთი შეხედვით დადებითი მოვლენაა; მაგრამ იმის ფონზე, რომ სერტიფიცირების ეროვნული სტანდარტები ჯერ არ არის შემუშავებული და არც ქვეყანაში არსებობენ სპეციალისტები, ვინც ერკვევიან ამ საკითხში, ამ ნორმის ლიცენზიის პირობებში ჩადება ჯერჯერობით ფორმალურაა და არ შეიძლება განიხილებოდეს, როგორც ტყეების შენარჩუნებისა და მდგრადი გამოყენების გარანტია. იმის გამო, რომ ტყეების ნახევარზე მეტში სიხშირე კრიტიკულ ზღვარზეა, გრძელვადიანი ლიცენზიით ხდება მაღალი კონსერვაციული ღირებულებების ტყეების გაცემა. ამასთანავე, როგორც წესი, სერტიფიცირება ნებაყოფლობითია, ხოლო მისი დაწყება — აპრობაცია უნდა ხდებოდეს საცდელ (საპილოტე) მონაკვეთებზე. ამდენად, სამინისტროს მიდგომა, რომ ინვენტარიზაცია გაკეთდეს ინვესტორის მიერ, ხოლო მონიტორინგი სატყეო სამეურვეო საბჭოს (FSC) სერტიფიცირებული კომერციული ორგანიზაციების მეშვეობით, ძირშივე მცდარია. ექსპერტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ თუ შენარჩუნდა საქართველოს ტყიანი ეკოსისტემების მერქნული რესურსების გამოყენების არსებული ტემპი, მიუხედავად იმისა, კანონიერი იქნება ეს თუ უკანონო, 10-15 წელიწადში საქართველოს ტყეები მთლიანად მოისპობა.

არსებობს კიდევ ერთი სახიფათო ტენდენცია. როგორც აღვნიშნეთ, დღეისათვის ტყეების კერძო საკუთრებაში გადაცემის მექანიზმი არ არსებობს. ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეკრეაციული გამოყენებისთვის კერძო პირებზე ტყის ფართობის მიყიდვის მიზნით, ხდება ფართობების ამორიცხვა სახელმწიფო სატყეო ფონდიდან და არასასოფლო-სამეურნეო ფონდში ჩარიცხვა. ასეთი ქმედებისათვის კი აღარ არის საჭირო გარემოზე ზემოქმედების შეფასების გაკეთება. ხშირ შემთხვევაში, ეს არის ტყით დაუფარავი ადგილები დასახლებული პუნქტების სიახლოვეს. მიუხედავად ამისა, აუცილებელია, რომ ასეთი სახით გაყიდული ტერიტორიებისათვის არსებობდეს გარანტიები, რომ არ მოხდება ტყით დაფარული ფართობების შემცირება და დეგრადაცია. ტყის მოჭრის გარდაუვალობის შემთხვევაში, აუცილებელი უნდა იყოს კომპენსაცია — სანაცვლო ტერიტორიაზე ტყის გაშენება. ამის გარანტი კი შეიძლება იყოს საკანონმდებლო ნორმა. მსგავსი პრაქტიკა არსებობს, როდესაც სპეციალური კანონით ხდება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყენების დროს სანაცვლო მიწის ათვისებისათვის ფულადი კომპენსაცია.

### 3.1.6 რეკომენდაციები

საქართველოს ტყეების ეკოლოგიური მდგომარეობის და არსებული ტენდენციების გათვალისწინებით აუცილებლად მიგვაჩია:

1. შეწყდეს საქართველოს ტყეების მერქნული რესურსის ფართომასშტაბიანი გამოყენება;
2. საქართველოს ტყეების არანაკლებ 15% მიენიჭოს დაცული სტატუსი (IUCN I-IV კატეგორია, ანუ ნაკრძალები, ეროვნული პარკები, ბუნების ძეგლები, აღკვეთილები); ამ დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციების ჩამოყალიბებამდე ნორმატიული აქტით მიენიჭოს მათ სარეზერვო დაცული ტერიტორიების სტატუსი და აიკრძალოს მერქნის ინდუსტრიული დამზადება.
3. გარდა ამისა, ნაკლებად მკაცრი რეჟიმის დაცულ ტერიტორიებად გამოცხადდეს (IUCN V-VI კატეგორია, ანუ დაცული ლანდშაფტები და ტრადიციული გამოყენების ზონები. აქ არ იკრძალება ტრადიციული სამეურნეო საქმიანობა) დამატებით ტყეების არანაკლებ 15%, რომელთა მართვა შესაძლებელია მოახდინონ თვითმმართველობის ორგანოებმა. სარეზერვო და ახალი დაცული ტერიტორიების გამოცხადების დროს გათვალისწინებული იქნეს ევროკავშირის რეკომენდაციები, რათა, მოხდეს დაცული ტერიტორიების ჯერ “ზურმუხტოვან ქსელში”, შემდეგ კი ევროკავშირში შესვლის შემთხვევაში, Natura 2000-ის ქსელში გაერთიანება.

Natura 2000 საიტების შერჩევის პროცესის დახმარების მიზნით, ევროკავშირის წევრები და კომისია შეთანხმდნენ ყურადღება გაემახვილებინათ

([http://ec.europa.eu/environment/nature/nature\\_conservation/natura\\_2000\\_network](http://ec.europa.eu/environment/nature/nature_conservation/natura_2000_network)):

- ტყეებზე, რომლებიც შექმნილია ბუნებრივი სახეობებისაგან და ხასიათდებიან ბუნებრივობის მაღალი ხარისხით;
- მაღალი ხეებისგან შემდგარ ტყეებზე;
- ტყეებზე, სადაც წარმოდგენილია ასაკოვანი და მკვდარი ხეები;
- ტყეებზე, რომლებსაც დიდი ფართობი უკავიათ;
- ტყეებზე, რომელთაც მდგრადი მართვის შედეგად მოქონდათ სარგებელი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.

4. დასრულდეს საქართველოს ტყეების ინვენტარიზაცია/კატეგორიზაცია და გარემოსდაცვითი შეფასების საფუძველზე გამოიყოს ის უბნები, სადაც ტყის ჭრა ჯერ კიდევ დასაშვებია. ეს იქნება ტერიტორიები, სადაც სიხშირე ოპტიმალურია და ამავე დროს არ წარმოადგენენ მაღალი კონსერვაციული ღირებულებების ტყეებს. პირველ რიგში კი, მოსაჭრელად დასაშვები ტყეების ხარჯზე მოხდეს ადგილობრივი მოსახლეობის პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილება (საშეშე თუ სამასალე მერქნით) და მხოლოდ დარჩენილი მერქნული რესურსის ოდენობა გაიცეს კომერციული მიზნით (დაცული და დაცვითი ტყეების გამოკლებით).

5. რაც შეეხება სატყეო პოლიტიკის შემუშავების პროცესს, საჭიროა, თანამიმდევრულად გადაიდგას შემდეგი ნაბიჯები:

- გაგრძელდეს და დასრულდეს საქართველოს ტყეების ინვენტარიზაცია/კატეგორიზაცია;
- ნორმატიულიაქტიდამტკიცდეს “საქართველოს სატყეო პოლიტიკა”, სადაც განისაზღვრება, რომ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ გარკვეულ პერიოდში უნდა შეიმუშაოს “საქართველოს სატყეო პოლიტიკის განხორციელების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა”) და შეიმუშაოს ახალი “საქართველოს ტყის კოდექსი”;
- შემუშავდეს “საქართველოს სატყეო პოლიტიკის განხორციელების სტრატეგია (მდგრადი მეტყევეობის სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა)”, რომელიც დაეყრდნობა დამტკიცებულ “საქართველოს სატყეო პოლიტიკას” და ტყეების ინვენტარიზაცია/კატეგორიზაციის მასალებს;
- შემუშავდეს ახალი ტყის კოდექსი.

6. პოლიტიკის დოკუმენტი, ეროვნული სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა, ახალი ტყის კოდექსი, ასევე, ტყის მართვის ყოველი კონკრეტული მექანიზმი უნდა იყოს ფართო საზოგადოების განხილვის საგანი მათ მიღებამდე/დამტკიცებამდე. უნდა მოეწეოს სრულფასოვანი (და არა პროფანაციული) საჯარო განხილვები ფართო საზოგადოების, სპეციალისტებისა და სამეცნიერო წრეების წარმომადგენელთა მონაწილეობით. ამასთან, საზოგადოების მიერ გამოთქმული შენიშვნებისა თუ მოსაზრებების გაუზიარებლობის შემთხვევაში, ორჰუსის კონვენციის მოთხოვნების თანახმად, ხელისუფლებამ საჯაროდ უნდა დაასაბუთოს თითოეულის გაუთვალისწინებლობის მიზეზი.

7. რეფორმების განხორციელებისას სახელმწიფომ უნდა შეასრულოს იმ კონვენციებისა და ინიციატივების მოთხოვნები, რომლებიც ეხება ტყეებს და რომელთა წევრიცაა ჩვენი ქვეყანა. უპირველეს ყოვლისა, ესენია: კონვენცია ბიომრავალფეროვნების შესახებ, ორჰუსის კონვენცია, ევროკავშირის დირექტივები, MCPFE, ENA-FLEG და სხვ. თითოეულ მათგანში ეკოლოგიურ მოთხოვნებთან ერთად, დიდი ყურადღება ეთმობა საზოგადოების მონაწილეობას და პროცესების გამჭვირვალობას.

## 3.2 დაცული ტერიტორიები

### 3.2.1 არსებული მდგომარეობა

საქართველოში პირველი ნაკრძალი 1912 წელს ლაგოდეხში დაარსდა. სულ საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში შეიქმნა 14 ნაკრძალი და 5 სატყეო-სამონადირეო მეურნეობა. მკაცრად დაცული ტერიტორიები წარმოადგენდა საქართველოს მთლიანი ტერიტორიის 2,4 %-ს, ხოლო სატყეო-სამონადირეო მეურნეობები – 0,8%-ს.

ნაკრძალებში კანონით აკრძალული იყო ნებისმიერი სახის ჩარევა. იკრძალებოდა რესურსების მოპოვება, ტყის ქრა, ნადირობა, წიაღის ამოღება, მშენებლობა, ტურიზმი და ა.შ. მიუხედავად ამისა, ეს პრინციპი დარღვეული იყო თითქმის ყველა ნაკრძალში. ამასთანავე, ნაკრძალების დაარსებისას არ გამოიყენებოდა კომპლექსური მიდგომა. აქცენტი კეთდებოდა რომელიმე ერთი სახეობის დაცვაზე, ყურადღება არ ექცეოდა სხვა სახეობებსა თუ მთლიანად ეკოსისტემას. არასწორად იყო იდენტიფიცირებული ნაკრძალების ჩამოყალიბების მიზნები, ამასთანავე არ არსებობდა დაცული ტერიტორიების ერთიანი სამართლებრივი ბაზა. აღნიშნულის გამო, საქართველოს ნაკრძალების უმეტესობა დაბალი ეკოლოგიური ეფექტურობით ხასიათდებოდა.

კიდევ ერთი ტიპის დაცულ ობიექტებს წარმოადგენდნენ ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების ძეგლები. ისინი შეტანილი იყვნენ “საქართველოს სსრ წითელ წიგნში”, ცოცხალი ბუნების ძეგლებად აღირიცხებოდნენ ცალკეული ხე-მცენარეების დიდი ზომის და დიდხნოვანი ეგზემპლარები, მაგ., ჭალის მუხა საგარეჯოს რაიონში (“ერისტოს მუხა”, ასაკი დაახლ. 600 წელი), უთხოვარი ახმეტის რაიონში (“ხე პატრიარქი” ასაკი 1800 წელი) და სხვ. — სულ 30 ობიექტი. არაორგანული ბუნების ძეგლებს წარმოადგენდნენ მღვიმეები, კლდის სვეტები, კანიონები და ხეობები, ნამარხი მცენარეულობა, ვულკანური ფორმები და სხვა - სულ 77 ობიექტი. ამ ძეგლების მართვა არ ხდებოდა, მათი ნაწილი მდებარეობდა სახელმწიფო ნაკრძალების ტერიტორიაზე. შესაძლებელი იყო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება (ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით) ბუნების ძეგლების ხელყოფისა და დაზიანებისათვის. თანამედროვე გაგებით, ამ ძეგლების ადგილი არ არის “წითელ წიგნში” და მათ უნდა ჰქონდეთ დაცული ტერიტორიების სტატუსი. თუმცა, რადგან საბჭოთა კანონმდებლობა არ ცნობდა ასეთი ტიპის დაცულ ტერიტორიას, “წითელ წიგნში” შეტანა წარმოადგენდა მათი შენარჩუნებისა და პოპულარიზაციის ერთადერთ საშუალებას.

საბჭოთა პერიოდში ნაკრძალებისა და სახელმწიფო სამონადირეო მეურნეობების მართვას აწარმოებდა ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობების მთავარი სამმართველო. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მისი მემკვიდრე გახდა **საქართველოს ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობების მთავარი სამმართველო**<sup>21</sup>, რომელიც დროებითი დებულების საფუძველზე ფუნქციონირებდა 1992 წლის 16 ივლისიდან (“საქართველოს ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს სტრუქტურისა და დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 1992 წლის 16 ივლისის №) 1997 წლის 9 ოქტომბრამდე, როცა ძალაში შევიდა საქართველოს პრეზიდენტის №568 ბრძანებულება “საქართველოს დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის დებულების შესახებ”. (მანამდე ძალაში შევიდა კანონი “დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ”). 1996 წლამდე არ არსებობდა სპეციალური კანონი დაცული ტერიტორიების სისტემასთან დაკავშირებით.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების ხელშეწყობით დაიწყო თანამედროვე დაცული ტერიტორიების ჩამოყალიბება. შემუშავდა დაცული ტერიტორიების განვითარების სქემა, რაც საფუძველად დაედო შემდგომ გეგმარებით სამუშაოებს.

<sup>21</sup> სხვადასხვა წლებში შედიოდა სხვადასხვა სამინისტროს დაქვემდებარებაში, ან იყო დამოუკიდებელი უწყება.

1996 წელს ძალში შევიდა კანონი “დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ”. ამ კანონით დადგინდა, რომ საქართველოში დაცული ტერიტორიები უნდა იქმნებოდეს საერთაშორისო კრიტერიუმების, კერძოდ ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირის (IUCN) კატეგორიების მიხედვით (იხ. ცხრილი):

დაცული ტერიტორიის სახე	დანიშნულება	კატეგორია (IUCN)
სახელმწიფო ნაკრძალი	მკაცრი დაცვა	I
ეროვნული პარკი	ეკოსისტემის კონსერვაცია და რეკრიაცია	II
ბუნების ძეგლი	ბუნების თავისებურებების კონსერვაცია	III
აღკვეთილი	შენარჩუნება აქტიური მართვის გზით	IV
დაცული ლანდშაფტი და/ან ზღვის აკვატორია	ლანდშაფტების და/ან ზღვის აკვატორიის კონსერვაცია და რეკრიაცია	V
მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია	ბუნებრივი ეკოსისტემის მდგრადი გამოყენება	VI

გარდა ჩამოთვლილისა, შესაძლებელია შეიქმნას ბიოსფერული რეზერვატი და მსოფლიო მემკვიდრეობის უბანი. ორივე კატეგორიის დამტკიცება UNESCO-ს აღიარების შემდეგ ხდება. კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს სავარგულების საერთაშორისო მნიშვნელობის წყალჭარბი ტერიტორიების ნუსხაში, ანუ რამსარ საიტების ნუსხაში (Ramsar Site) ჩართვას.

როგორც აღვნიშნეთ, დაცული ტერიტორიების მართვის განსახორციელებლად ამ კანონის მიღების შემდეგ შეიქმნა საქართველოს დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი (საქართველოს პრეზიდენტის №568 ბრძანებულება).

ამ სახელმწიფო დეპარტამენტის სახელწოდება საკმაოდ გაუგებარი და, შეიძლება ითქვას, კურიოზულიც იყო. ნაკრძალები წარმოადგენენ დაცული ტერიტორიების ერთ-ერთ კატეგორიას, ეს აღნიშნული იყო როგორც კანონში, ისე ამ დეპარტამენტის დებულებაში. ამ პერიოდისათვის არსებული 5 სახელმწიფო სატყეო-სამონადირეო მეურნეობა გადაკეთდა სახელმწიფო აღკვეთილებად, ანუ დაცული ტერიტორიის კიდევ ერთ კატეგორიად (საქართველოს კანონი “ცხოველთა სამყაროს შესახებ”, 1996); სახელმწიფო დანესებულებებს ჩამოერთვათ სამეურნეო ფუნქციები: სამონადირეო მეურნეობის ჩამოყალიბისა და მართვის უფლება გააჩნია მხოლოდ კერძო ფიზიკურ და იურიდიულ პირს. აქედან გამომდინარე, გაუგებარი იყო, რატომ დარჩა დეპარტამენტის სახელწოდებაში სიტყვები “ნაკრძალები” და “სამონადირეო მეურნეობები”.

“ვარდების რეკლუციის” შემდგომ 2004 წელს დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობების სახელმწიფო დეპარტამენტი რეორგანიზებულ იქნა და შევიდა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შემადგენლობაში, როგორც “სახელმწიფო საქვეუწყებო დანესებულება დაცული ტერიტორიების დეპარტამენტი”.

დღეისათვის ჩვენს ქვეყანაში არსებობს 5 ეროვნული პარკი, 9 სახელმწიფო აღკვეთილი, 18 სახელმწიფო ნაკრძალი, 3 ბუნების ძეგლი, 1 დაცული ლანდშაფტი. დაცული ტერიტორიების საერთო ფართობია 467 221 ჰა, რაც ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით 6,7%-ს შეადგენს. მათ შორის ტყით დაფარულია დაახლოებით 75%<sup>22</sup>. საქართველოს ერთი დაცული ტერიტორია, კერძოდ ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი 2007 წელს გაერთიანდა დაცული ტერიტორიების საერთაშორისო ქსელში PAN-Parks.

<sup>22</sup> www.dpa.gov.ge

დღევანდელი მდგომარეობით, სტატუსის გარეშე დარჩნენ "საქართველოს სსრ წითელ წიგნში" შეტანილი ბუნების ძეგლები. გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი მცენარეთა და ცხოველთა სახეობის დასაცავად შეიქმნა საქართველოს კანონი "წითელი ნუსხის შესახებ", რის შემდეგაც პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცდა "წითელი ნუსხა". იგი შედგენილია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირის (IUCN) კრიტერიუმებით. სამწუხაროდ, აღარ მოხდა ამავე კრიტერიუმებისა და "დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად საბჭოთა პერიოდის ბუნების ძეგლებისათვის დაცული ტერიტორია "ბუნების ძეგლის" (IUCN-ის III კატეგორია) სტატუსის მინიჭება.

არსებული დაცული ტერიტორიები დაარსებულია სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მექანიზმითა და იურიდიული აქტით. ნაწილი დაცული ტერიტორიებისა დაარსებული იყო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს აქტებით, ნაწილი - დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის დადგენილებით, პრეზიდენტის ბრძანებულებით, ან სპეციალური კანონით. შესაბამისად, იურიდიული სტატუსიც განსხვავებული იყო. 2004 წელს ამ ხარვეზის გამოსწორების მიზნით ყველა დაცული ტერიტორია შევიდა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შემადგენლობაში საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით (იხ. საქართველოს მთავრობის დადგენილება №5, 12.06.2004, "საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" მუხლი 8 პუნქტი 4). იმ დაცული ტერიტორიებს, რომლებიც არ იყვნენ შექმნილი სპეციალური კანონის მიღების შედეგად (იგულისხმება საქართველოს კანონი "თუშეთის, ბანარა ბაბანეურის, ლაგოდეხისა და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ", რომლის მიხედვითაც, ამ დაცული ტერიტორიების დირექციებს მიენიჭათ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი), განესაზღვრათ სტატუსი - "საჯარო სამართლის იურიდიული პირი" პრეზიდენტის ბრძანებულების შედეგად.

მოგვიანებით, 2005 წელს კვლავ განხორციელდა ცვლილებები სამინისტროს დებულებაში. ამ ცვლილების შედეგად დაცული ტერიტორიები აღარ წარმოადგენენ სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირებს. ნაცვლად ამისა, დაცული ტერიტორიები ჩამოყალიბდა ორი ტიპის სამართლებრივი ფორმით. ზოგიერთი არსებული დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციები და დირექციები სამინისტროს სისტემაში საჯარო სამართლის იურიდიული პირების ფორმით შევიდნენ. დანარჩენი დაცული ტერიტორიები კი წარმოადგენენ დაცული ტერიტორიების დეპარტამენტის ტერიტორიულ ორგანოებს. ქობულეთის, ბორჯომ-ხარაგაულის, კოლხეთის, მტირალას დაცულ ტერიტორიებში შექმნილ სსიპ-ებს ეწოდებოდათ ადმინისტრაციები, ხოლო თუშეთის, ბანარა-ბაბანეურის, ვაშლოვანის და ლაგოდეხის სსიპ-ებს — დირექციები.

რაც შეეხება საჯარო სამართლის იურიდიული პირების ფორმით არსებულ დაცული ტერიტორიების დირექციებსა და ადმინისტრაციებს, გარკვეულწილად კურორტულადაც კი ჟღერდა დასახელებები "ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების დირექციის დირექტორი, თუშეთის დაცული ტერიტორიების დირექციის დირექტორი", "დაცული ტერიტორიების დირექციის დირექტორის მოადგილე". მხოლოდ დასახელება შესაძლოა არ იყოს დიდი პრობლემა, მაგრამ ის მიზანი, რისთვისაც ჩამოყალიბდა დაცული ტერიტორიები ამ ფორმით, არ იქნა მიღწეული: სამწუხაროდ, მხოლოდ 2007 წლის ზაფხულისთვის მოხერხდა დაცულ ტერიტორიებში ტურისტული მომსახურებისათვის საფასურის დაწესება.

2007 წლის 27 აპრილს შევიდა ცვლილება საქართველოს კანონში "თუშეთის, ბანარა ბაბანეურის, ლაგოდეხისა და ვაშლოვანის შექმნისა და მართვის შესახებ", რომლის მიხედვითაც ამ დაცული ტერიტორიების მმართველ სსიპ-ებს ეწოდათ ადმინისტრაციები.

ამრიგად, სამინისტროს დღევანდელი დებულებით, სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირები არიან:



- ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალის, ქობულეთის სახელმწიფო აღკვეთილისა და ქობულეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის ადმინისტრაცია;
- ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკისა და ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალების ადმინისტრაცია;
- კოლხეთის ეროვნული პარკისა და კოლხეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის ადმინისტრაცია;
- თუშეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია;
- ბანარა-ბაბანეურის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია;
- ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია;
- ვაშლივანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია;
- მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაცია.

დაცული ტერიტორიების დეპარტამენტის ტერიტორიული ორგანოები არიან:

- საგურამოს სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაცია;
- ალგეთის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაცია;
- სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაცია;
- აჯამეთის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაცია;
- ყაზბეგის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაცია;
- ლიახვის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაცია;
- ბიჭვინთა-მიუსერის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაცია;
- რინის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაცია;
- ფსხუ-გუმისთის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაცია;
- კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაცია;
- იორის აღკვეთილის ადმინისტრაცია;
- გარდაბნის აღკვეთილის ადმინისტრაცია;
- ყორულის აღკვეთილისა და მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაცია;
- კაცობურის აღკვეთილის ადმინისტრაცია;
- ჭაჭუნის აღკვეთილის ადმინისტრაცია;

დაცული ტერიტორიებისათვის საჯარო სამართლის იურიდიულ პირების სტატუსის მინიჭება მოხდა იმ მიზნით, რომ მათ ტურისტული მომსახურებიდან შემოსავლის მიღების შესაძლებლობა ჰქონოდათ (ასევე სხვა შემოსავლები კანონით დაშვებული საქმიანობებისაგან). 2005 წელს განხორციელებული ცვლილებების შედეგად საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დარჩნენ მხოლოდ ე.წ. "მდიდარი" დაცული ტერიტორიები — ანუ სადაც არსებობს მსხვილი დონორების მიერ დაფინანსებული პროექტები და ამ პროექტების შედეგად შექმნილია გარკვეული ტურისტული ინფრასტრუქტურა. "ღარიბი" დაცული ტერიტორიების გადაკეთებას დეპარტამენტის ტერიტორიულ ორგანოებად ჰქონდა შემდეგი ლოგიკა: (1) ისინი არ არიან საინტერესო ეკოტურიზმის თვალსაზრისით, რადგან არ აქვთ ინფრასტრუქტურა და ვერ მიიღებენ არასაბიუჯეტო შემოსავალს და (2) ასეთი ორგანიზაციული ფორმით არსებობისას უფრო მეტად აქვთ გარანტირებული საბიუჯეტო დაფინანსება (არსებობს მოსაზრება, რომ შემცირების შემთხვევაში, პირველ რიგში ბიუჯეტს შეუკვეცავენ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს).

დაცული ტერიტორიები, რომელთა ადმინისტრაციები არიან საჯარო სამართლის იურიდიული პირები, ფუნქციონირებენ საკუთარი დებულებების საფუძველზე, ხოლო ტერიტორიული ორგანოებისთვის არის დამტკიცებული ერთიანი ტიპური დებულება. (საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანება 2006 წლის 6 ივნისის №439, "საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუნებო დანესებულების — დაცული ტერიტორიების დეპარტამენტის ტერიტორიული ორგანოების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ").

ტიპური დებულების მიხედვით, ადმინისტრაციას ხელმძღვანელობს დირექტორი.

ადმინისტრაცია შედგება ერთი სტრუქტურული ქვედანაყოფის — დაცვის სამსახურისაგან. გარდა ფიზიკური დაცვისა მის მოვალეობებში შედის ტყის ბიოლოგიური დაცვის ღონისძიებების გატარება (ტყის მავნებლები, დაავადებები და ა.შ.), კვლევა-მონიტორინგი, კონსერვაციისა და აღდგენითი ღონისძიებების განხორციელება, კადასტრის წარმოება, ბუნებრივი რესურსების ინვენტარიზაცია. ცხადია, რომ ამგვარი დავალებები შეუთავსებელია ერთმანეთთან და მწირი დაფინანსებისა და შესაძლებლობების პირობებში, რომელშიც იმყოფებიან დაცული ტერიტორიები, შეუსრულებადია. ადმინისტრაციის შტატში არის კვლევა-მონიტორინგის უფროსი სპეციალისტის შტატი, რომლის ფუნქციების და მოვალეობების შესრულებას სათანადოდ აღჭურვილი და განსწავლული კადრებით დაკომპლექტებული მთელი განყოფილება სჭირდება: კონსერვაციისა და აღდგენითი სამუშაოები, რუკების შედგენა, მონიტორინგის წარმოება, ბუნებრივი რესურსების აღრიცხვა და მათ გამოყენებაზე პროექტებისა და წინადადებების შემუშავება. ასეთი სამუშაო დავალება არ არის რეალისტური.

როგორც აღინიშნა, დაცული ტერიტორიებთან დაკავშირებულ ძირითად კანონმდებლობას შეადგენენ საქართველოს კანონი “დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ”, “ცხოველთა სამყაროს შესახებ”, საქართველოს ტყის კოდექსი. 2005 წელს საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებით დამტკიცდა “ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა”, რომლის ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულება დაცული ტერიტორიებია. ამ დოკუმენტში იდენტიფიცირებულ იქნა დაცულ ტერიტორიებთან არსებული პრობლემები. ამ პრობლემების გადასაჭრელად დოკუმენტში მოცემულია 10-წლიანი სტრატეგია და 5-წლიანი მოქმედებათა გეგმა. მიუხედავად იმისა, რომ გასულ ორ წელიწადში გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა, სიტუაციის მთლიანობაში გამოსასწორებლად ეს არასაკმარისია. შეიძლება გამოიყოს ოთხი სახის ფაქტორი, რომელიც მოკლედ აღწერს საქართველოს დაცული ტერიტორიების პრობლემებს:

- 1) საზოგადოების მონაწილეობის არასაკმარისობა დაცული ტერიტორიების დაგეგმვის, შექმნისა და ფუნქციონირების დროს; ეს ინვესს ადგილობრივი მოსახლეობასა და დაცული ტერიტორიების ინტრესების გადაფარვას; არ ხდება მოსახლეობის რეალური საჭიროებების გათვალისწინება, საზოგადოება არანაირად არ მონაწილეობს დაცული ტერიტორიების მართვაში, მათი გარემოსდაცვითი ცნობიერება დაბალია, ხშირად ახლოს მცხოვრები მოსახლეობა მტრულადაა განწყობილი დაცული ტერიტორიებისადმი.

კანონმდებლობის მიხედვით, ცალკეული დაცული ტერიტორიებისათვის სამინისტრო ქმნის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოებს, ამ სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოების შექმნის მიზანი განსხვავებულია და განმარტებული კანონებში; საქართველოს კანონში “თუშეთის, ბანარა-ბაბანეურის, ლაგოდეხისა და ვაშლოვანის შექმნისა და მართვის შესახებ”, (2007 წლის 27 აპრილის ცვლილება) საბჭოები იქმნება დაცული ტერიტორიების მართვაში საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. “დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად (მუხლი 21, 2007 წლის 27 აპრილის ცვლილება), სამინისტრო ქმნის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოებს სამთავრობო დანესებულებებთან და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან თანამშრომლობისათვის. ერთსა და იმავე დღეს გამოცემულ ორ კანონში ორი სხვადასხვა სახის ინტერპრეტაცია გაუგებრობას ბადებს. ამ უკანასკნელი კანონში შეტანილი ცვლილებებით, შეიზღუდა საზოგადოების მონაწილეობა დაცული ტერიტორიების მართვაში (2007 წლის 27 აპრილი). კანონიდან ამოღებულია მუხლები, რომლითაც მოსახლეობისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების წარმომადგენლებს უფლება ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ ცენტრალურ პროგრამებში და საკონსულტაციო საბჭოებში; დაცული ტერიტორიების ადგილობრივი ფუნქციონირებისათვის გამოყოფილი არასაბიუჯეტო ფინანსების რეგულირების საქმეში და სხვ.

სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოები დღემდე შექმნილი იყო თუშეთის, ბანარა-ბაბანეურის, ვაშლოვანის, ლაგოდეხის დაცული ტერიტორიებისათვის, რომელშიც პრეზიდენტის შესაბამისი განკარგულებით შედიან გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, დაცული ტერიტორიების დეპარტამენტის, ადგილობრივი

ხელისუფლების, არასამთავრობო და სამეცნიერო ორგანიზაციების წარმომადგენლები. საბჭოების შემადგენლობის დაკომპლექტება საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებით მოხდა საკმაოდ გამჭვირვალე მექანიზმით. სამინისტრომ ამისათვის ღიად გამოაცხადა მოთხოვნა კანდიდატურებზე, რასაც ერთვოდა გარკვეული კრიტერიუმები კანდიდატურის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ. მიუხედავად ამისა, ისინი დღემდე ფორმალურად არსებობენ. საბჭოები ყოველ თვე უნდა იკრიბებოდნენ, მაგრამ შექმნიდან ორ წელზე მეტი ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთი შეხვედრა შედგა. რეალურად მათ არანაირი ფუნქცია არ აქვთ და არ მონაწილეობენ დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

- 2) დაცული ტერიტორიების მნიერი შესაძლებლობები — არასაკმარისი დაფინანსება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არქონა; საბიუჯეტო სახსრები და ბაზა არასაკმარისია ტერიტორიების დაცვისა და კანონით გათვალისწინებული სხვა ქმედებების განხორციელებისათვის.
- 3) დაცული ტერიტორიების ფარგლებში ბუნებრივი რესურსების უკანონო მოპოვება და კანონალსრულების ხარვეზები; დაცული ტერიტორიების დაცვის სამსახურები მცირერიცხოვანია, ცუდად არის აღჭურვილი და შეიარაღებული, მათი ხელფასი დაბალია; კანონმდებლობა, რომლის მიხედვითაც ხდება ფიზიკური დაცვა, მეტად დაუხვეწავია. არ არის ნათელი სურათი, როგორ უნდა ითანამშრომლონ დაცული ტერიტორიების დაცვის სამსახურებმა, გარემოს დაცვის ინსპექციამ, სამართალდამცავებმა, საზღვრის დაცვის დეპარტამენტმა. დაცული ტერიტორიების დიდი ნაწილი სასაზღვრო ზონაშია მოქცეული. დაცული ტერიტორიების ვიზიტორები და თანამშრომლებიც კი ვალდებული არიან დაცულ ტერიტორიაზე ყოფნისათვის ნებართვა აიღონ სასაზღვრო უწყებიდან. 2004 წლის ბოლომდე მიღებული უნდა ყოფილიყო კანონი „დაცული ტერიტორიების ფიზიკური დაცვის შესახებ“, თუმცა მასზე მუშაობა დღესდღეობით არ მიმდინარეობს.
- 4) პროფესიონალი და თანამედროვე ცოდნით აღჭურვილი კადრების ნაკლებობა.

ზემოაღნიშნულის ფონზე, არამარტო ვერ ხერხდება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი მართვის მექანიზმების მოფიქრება, არამედ დავინყებულება დაცული ტერიტორიების ძირითადი დანიშნულება — ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება. აქცენტი კეთდება მხოლოდ ტურიზმის განვითარებასა და დაცული ტერიტორიებიდან შემოსავლის მიღებაზე, თუმცა პრაქტიკულად ამ მხრივაც არაფერია ჯერ გაკეთებული, თუ არ ჩავთვლით ზოგიერთ ეროვნულ პარკში დონორთა დაფინანსებით გარკვეული ინფრასტრუქტურის მშენებლობას. თითქმის არანაირი სამეცნიერო მუშაობა არ მიმდინარეობს დაცულ ტერიტორიებში. შედარებით უკეთეს მდგომარეობაში არიან ის ეროვნული პარკები, სადაც მსხვილი დონორების მიერ ხორციელდება პროგრამები (ბორჯომ-ხარაგაულის, ვაშლოვანის, ლაგოდეხის, თუშეთის, კოლხეთის დაცული ტერიტორიები). თითებზე ჩამოსათვლელია დაცულ ტერიტორიებზე განხორციელებული კვლევისა და კონსერვაციის პროექტები, ესენია ნიამორის რეინტროდუქცია ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში, მურადათის მონიტორინგი ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიაზე, ჯიქის კონსერვაციის პროექტის ვაშლოვანის ეროვნულ პარკში, ჯეირანის რეინტროდუქციის დაწყება ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებში. ეს უკანასკნელი ხორციელდება სამინისტროს მიერ მსოფლიო ბანკის პროექტის (სახელმწიფო გრანტი) დაფინანსების ფარგლებში, დანარჩენს კი ახორციელებენ არასამთავრობო ორგანიზაციები საკუთარი დაფინანსებით.

დაცული ტერიტორიებში ეკოლოგიური ტურიზმის განვითარება თავისთავად საჭიროა და აუცილებელია. გარდა იმისა, რომ ეს არის შემოსავლის ერთ-ერთი წყარო, ამას სხვა (შესაძლოა, უფრო მნიშვნელოვანი) დატვირთვაც აქვს. ეროვნულ პარკების, აღკვეთილებისა და ბუნების ძეგლების არსებობით ადამიანებს ეძლევათ შესაძლებლობა საკუთარი თვალთ ნახონ ბუნების მშვენიერებას და გაიზიარონ ბიოლოგიური მრავალფეროვნების ესთეტიური, სულიერი, კულტურული ღირებულებები. ეს ხელს უწყობს მოსახლეობის გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას და ბუნების კონსერვაციის საქმეს მეტი მხარდაჭერა უჩნდება

საზოგადოების მხრიდან. მაგრამ ეკოტურიზმის განვითარება უნდა იყოს ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის თანამდევი პროცესი და არა პირიქით — დაცული ტერიტორიების არსებობის მთავარი ამოცანა.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მომავალი 3 წლის გეგმაში, რომელიც მოცემულია 2007 წლის ბიუჯეტის შესახებ კანონში მოცემულია ორი პროგრამა, რომელიც უკავშირდება დაცულ ტერიტორიებს:

პროგრამა “დაცული ტერიტორიების ხანძარსა და სანაღმდეგო და მავნებლებისაგან დაცვის ღონისძიებები”:

- ხანძარსა და სანაღმდეგო პერიოდში (5 თვე) 19 ერთეულ დაცულ ტერიტორიაზე მეხანძრე-დარაჯების დაქირავება;
- ხანძარსა და სანაღმდეგო თხრილებისა და სხვა აუცილებელი პრევენციული ღონისძიებების გატარება;
- ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს პათოლოგიებისაგან დაცვის ღონისძიება.

პროგრამა “ეკოტურიზმის განვითარება”:

- საინფორმაციო პროდუქციის გავრცელება, როგორც საქართველოში, ისე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში;
- რეკლამირება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით;
- ნაკრძალების ვებ-გვერდების შექმნა;
- ტურისტულ გამოფენებსა და ბაზრობებში მონაწილეობა.

როგორც ვხედავთ, მთავარი პრობლემა, რომელიც ხელს უშლის მცენარეთა და ცხოველთა გენოფონდის დაცვასა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას — ბრაკონიერობა — სახელმწიფო პროგრამებში ყურადღების გარეშეა დარჩენილი. არ იგეგმება ფიზიკური დაცვის მექანიზმებისა და საშუალებების გაძლიერება. ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს პათოლოგიებისაგან დაცვა, რაზეც პროგრამაში აქცენტია გაკეთებული, მნიშვნელოვანი, მაგრამ ბრაკონიერობასთან და ტყის ჭრასთან შედარებით ნაკლები პრობლემაა. რას შეეხება ეკოტურიზმის განვითარებას, აქ აქცენტია არა ტურისტული ინფრასტრუქტურისა და ინტერპრეტაციის პროგრამების, ან მონიტორინგის საკითხებზე, არამედ დაცული ტერიტორიების “პიარზე”. თანამშრომელთა განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის არ არის დაგეგმილი არანაირი სახელმწიფო პროგრამა. ეს იმ ფონზე, რომ დაცული ტერიტორიებისა და ბიომრავალფეროვნების შესახებ ცოდნის დეფიციტი თვალსაჩინოა როგორც დეპარტამენტის ცენტრალურ აპარატში, ისე დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციების თანამშრომელთა შორის.

აქტიურად განიხილება დაცული ტერიტორიების კერძო საკუთრებაში გადაცემის საკითხი. ამ მეთოდით თითქოს შესაძლებელია დაცული ტერიტორიების წინაშე არსებული ფინანსური პრობლემების მოგვარება. ყურადსაღებია, რომ ამგვარი პრაქტიკა მსოფლიოში არ არსებობს. ტერმინებიც კი — ეროვნული პარკი და სახელმწიფო ნაკრძალი — მიანიშნებს, რომ ეს ეროვნული და სახელმწიფო საკუთრებაა.

1996 წლიდან ახალი კანონმდებლობის შემუშავების შემდეგ საქართველოში განხორციელდა მსხვილი დონორების დაფინანსებული რამოდენიმე პროექტი, რომლითაც შეიქმნა და დაფინანსდა დაცული ტერიტორიების შექმნა-განვითარება. ეს პროექტები ძალზე მნიშვნელოვანი იყო ქვეყნისათვის, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა სუბიექტური და ობიექტური პროცესების შედეგად არ იყო იმდენად ეფექტური, რომ აღმოფხვრილიყო დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებული პრობლემები, რომლებზეც ზემოთ გვქონდა საუბარი; ვერ ჩამოყალიბდა გამართული ინსტიტუციური და საკანონმდებლო ბაზა და ეფექტურად მომუშავე დაცული ტერიტორიების სისტემა.

### 3.2.2 საერთაშორისო გამოცდილება

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, Natura 2000 არის ევროგაერთიანების ტერიტორიაზე არსებული დაცული ტერიტორიების ეკოლოგიური ქსელი. "ჰაბიტატების შესახებ დირექტივა" და "ფრინველთა შესახებ დირექტივა წარმოადგენს "ნატურა 2000 ქსელის" საფუძველს.

"ფრინველთა შესახებ დირექტივა" აწესებს სპეციალურ დაცვით არეებს (SPA-Special Protected Areas), ხოლო "ჰაბიტატების შესახებ დირექტივა" კონსერვაციის სპეციალური არელებს (SAC-Special Areas of Conservation). ამ ორი ტიპის ტერიტორიების გაერთიანებით იქმნება "ნატურა 2000"-ის ქსელი. ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყანა ვალდებულია თავისი მნიშვნელოვანი ჰაბიტატების სია შეადგინოს "ჰაბიტატების შესახებ დირექტივისა" და "ფრინველთა შესახებ დირექტივის" დანართების მიხედვით და ეს სია დასამტკიცებლად წარუდგინოს ევროკომისიას (დანართებში მოცემულია როგორც ჰაბიტატების ტიპების, ისე სახეობათა ჩამონათვალიც). NATURA 2000 ქსელით დაცულია ევროკავშირში 2004 წლამდე განვერიანებული 15 სახელმწიფოს საერთო ფართობის 18%. მას შემდეგ რაც 2004 წელს ევროკავშირს შეემატა 10 ქვეყანა, შესაბამისად გაიზარდა NATURA 2000 საიტების რაოდენობა და ქსელის ფართობი<sup>23</sup>.

როგორც აღვნიშნეთ, NATURA 2000 ქსელში ტერიტორიების შეტანა ხდება ერთნაირი კრიტერიუმებით, თუმცა სხვადასხვა ქვეყნებში არსებული დაცული ტერიტორიები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. განსხვავებული შეიძლება იყოს დაცული ტერიტორიის კატეგორიების სახელწოდებები, ასევე მართვისა და დაფინანსების ფორმები.

მაგალითად, **იტალიაში** არსებობს დაცული ტერიტორიების შემდეგი კატეგორიები: ეროვნული პარკები, რეგიონული და ინტერრეგიონული ბუნების პარკები, ბუნების ნაკრძალები, საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ჰუმიდური ზონები, სხვა დაცული ტერიტორიები, ე.წ. ოაზისები, სპეციალური დაცვის ზონები, სპეციალური კონსერვაციული და სათემო მნიშვნელობის ტერიტორიები, სამეცნიერო აღმოჩენების სახმელეთო და საზღვაო ადგილები. იტალიის დაცული ტერიტორიები გაერთიანებული არიან რამდენიმე ქსელში. ესენია: დაცული ტერიტორიების ეროვნული ქსელი, Natura 2000, დაცული ტერიტორიების ალპური ქსელი, იუნესკოს ქსელი ადამიანი და ბიოსფერო (MAB<sup>24</sup> - WCPA<sup>25</sup>), ვეშაპისნაირთა საზღვაო თავშესაფარი. დაცულ ტერიტორიებს, კატეგორიებიდან გამომდინარე, მართავენ და აფინანსებენ ცენტრალური ხელისუფლების ან რეგიონული ინსტიტუციები. ე.წ. ოაზისებს შეიძლება მართავდნენ იყვნენ გარემოსდაცვითი არაკომერციული ორგანიზაციები (რეგიონული კანონმდებლობის საფუძველზე) ან კერძო სუბიექტები (საკონცესიო კონტრაქტების ან სხვა საჯარო ვალდებულებების საფუძველზე).

**ესპანეთში** არსებობენ შემდეგი ტიპის დაცული ტერიტორიები: პარკები, რომელშიც შედიან: 1) ბუნების პარკები (რეგიონული პარკები, ქალაქის პარკები, ბიოსფერული რეზერვატები) და ეროვნული პარკები; 2) ნაკრძალები; 3) ბუნების ძეგლები; 4) დაცული ლანდშაფტები. გარკვეული კატეგორიის დაცული ტერიტორიები — მცირე ზომისა და დაბალი კონსერვაციული ღირებულების - იმართება ავტონომიური რეგიონების მიერ (კატალონია, ანდალუზია, ბასკეთი და ა.შ.). დაცული ტერიტორიების დაფინანსება ძირითადად ხდება ავტონომიური რეგიონების მიერ, კერძოდ თითოეული რეგიონის გარემოს დეპარტამენტის მიერ. სხვა ფინანსური რესურსები მოდის საერთო ევროპული პროექტების ფონდებიდან, მაგ: LIFE NATURA Project, LEADER.

**ესტონეთში** არსებობენ შემდეგი ტიპის დაცული ტერიტორიები: ეროვნული პარკები, ბუნების კონსერვაციის არეები, დაცული ლანდშაფტები. დაცულ ტერიტორიებს მართავს ესტონეთის გარემოს დაცვის სამინისტრო. სამინისტროს შიგნით დაცული ტერიტორიების ფუნქციონირების

<sup>23</sup> NATURA 2000 ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, ევროკომისიამ დაიწყო პოლონეთის წინააღმდეგ პროცედურა, რასაც შესაძლოა მკაცრი სანქციები მოჰყვეს.

<sup>24</sup> MAB-Man and Biosphere UNESCO initiative

<sup>25</sup> WCPA – World Commission on Protected Areas of the World Conservation Union (IUCN)

კოორდინაციას და დაცვითი აქტივობების მართვას ახორციელებს ბუნების კონსერვაციის დეპარტამენტი. მის ფუნქციაში შედის ყველა ტიპის დაცული ტერიტორიის იურიდიული საფუძვლის მომზადება, დაცვის წესების ჰარმონიზება არსებულ კანონმდებლობასთან, მენეჯმენტის გეგმების მომზადება და დაცვითი ღონისძიებების მართვა. ზოგიერთ დაცულ ტერიტორიას ჰყავს საკუთარი ადმინისტრაცია. სხვებს კი მართავენ სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები - გარემოს დაცვის ეროვნული დეპარტამენტები. დაცული ტერიტორიების დაარსებაში დიდი როლი ითამაშა ზოგიერთმა ესტონურმა არასამთავრობო ორგანიზაციამ. ერთი ეროვნული პარკის მართვას, კონტრაქტის საფუძველზე, ახორციელებს არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ამისათვის იღებს დაფინანსებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. დაცული ტერიტორიების დაფინანსება ხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. დანარჩენი დაფინანსება ხდება ევროკავშირის ფონდებიდან – მაგ., LIFE NATURA PROJECT. ამ ფონდიდან ფინანსდება ეკოსისტემებზე და სახეობებზე ორიენტირებული პროექტები (მაგ. ჰაადემესტეს ნყალჭარბი ტერიტორიების აღდგენა და მენეჯმენტი, ჯვრიანი ტრიტონის კონსერვაცია აღმოსავლეთ ბალტიის რეგიონში), რომელთაც ახორციელებს ზემოხსენებული ბუნების კონსერვაციის დეპარტამენტი.

**სლოვაკეთში** დაცული ტერიტორიების მართვას ახორციელებს გარემოს დაცვის სამინისტრო და სხვა სახელმწიფო სააგენტოები (სლოვაკეთის რესპუბლიკის ბუნების დაცვის სამსახური და სლოვაკეთის გარემოს დაცვის სააგენტო).

სლოვაკეთის ტერიტორია კანონმდებლობის მიხედვით დაყოფილია ხუთ დონედ. პირველი დონის ტერიტორია არ არის დაცვის ქვეშ, მე-2— მე-5 დონეები კი წარმოადგენენ სხვადასხვა კატეგორიის დაცულ ტერიტორიებს. მე-2 დონე დაცული ლანდშაფტებია, მე-3 დონე — ეროვნული პარკები, მე-4 და მე-5 დონეები — მკაცრად დაცული ტერიტორიებია (ნაკრძალები, ბუნების ძეგლები, ეროვნული ნაკრძალები, ეროვნული ბუნების ძეგლები). 2003 წლის მონაცემებით სულ არსებობდა 1100-ზე მეტი დაცული ობიექტი და ქვეყნის ტერიტორიის 25% იყო დაცული რომელიმე კატეგორიის ქვეშ.

**დიდ ბრიტანეთში** არსებული დაცული ტერიტორიებიდან აღსანიშნავია ეროვნული პარკები, რომელთა უმეტესობა შექმნილია 1951-57 წლებში. მხოლოდ ერთია ჩამოყალიბებული მოგვიანებით, 1989 წელს. ეროვნულ პარკებს აარსებს ეროვნული პარკების კომისია და ამტკიცებს მთავრობა. თითოეულს მართავს პარკის ადმინისტრაცია. გარდა ეროვნული პარკებისა წარმოადგელია: ეროვნული ბუნების ნაკრძალები, საზღვაო ნაკრძალები, სპეციალური სამეცნიერო ინტერესის ტერიტორიები (ეს არის გარემოს დაცვის მთავარი ინსტრუმენტი, რომელშიც შედიან: ყველა ბიოსფერული ნაკრძალი, ბიოგენეტიკური ნაკრძალები, სპეციალური დაცვის არეები, რამსარ საიტები და სხვ. — სულ ბრიტანეთის ტერიტორიის 8%), ადგილობრივი ბუნების აღკვეთილები (ადგილობრივი მნიშვნელობის დაცული ტერიტორიები, რომელიც შეიძლება დააარსოს და მართოს ადგილობრივმა მთავრობამ), ეროვნული მნიშვნელობის ბუნებრივი სილამაზით გამორჩეული არეალები და სხვ. ბრიტანეთში დაცული ტერიტორიების საკმაოდ რთული სისტემაა, მათ შეიძლება მართავდნენ და საკუთრებაში ქონდეთ სხვადასხვა ეროვნულ გარემოსდაცვით სააგენტოებს. არსებობს რამდენიმე საკონსულტაციო საბჭო, რომელიც რეკომენდაციებს უმზადებს მთავრობას. 1991 წელს პარლამენტმა შექმნა სამსახური "ინგლისის ბუნება" (English Nature), რომლის მოვალეობაშიც შედის ინგლისის ბიომრავალფეროვნების, გეოლოგიური და გეომორფოლოგიური სიმდიდრის დაცვა.

Natura 2000 ქსელი თანდათან იზრდება. ეს ხდება არამარტო ევროკავშირში ახლად გაერთიანებული ქვეყნების ხარჯზე, არამედ წევრი ქვეყნების შიგნით დაცული ტერიტორიების გაფართობის საშუალებითაც. მაგალითად, ესტონეთის მთლიანი ტერიტორიის მხოლოდ 10,7% იყო დაცული 2003 წელს. დღეისათვის დაცული ტერიტორიები მოიცავენ ქვეყნის 16%-ს. Natura 2000 ქსელი ესტონეთში მოიცავს 66 ფრინველთათვის მნიშვნელოვან და 509 ბუნებრივ ტერიტორიას. 2007 წლის 1 იანვრისათვის ესტონეთის Natura 2000 ქსელში შემავალი ყველა ტერიტორია მოექცა დაცვის ქვეშ. ეს ობიექტებია: 100 ბუნების ნაკრძალი, 131 ბუნებრივი ლანდშაფტი, 239 დაცული არე, 5 ეროვნული პარკი, 539 სატყეო პარკი და 2 ადგილობრივი ობიექტი. ტერიტორიები, რომელზეც ვრცელდება დაცვითი რეჟიმები

(დაცული ლანდშაფტები, ბუნების ნაკრძალები, აღკვეთილები, პარკები და დაცული ტყის კორომები) მოიცავენ 553,08 ჰექტარ ხმელეთისა და 87,429 ჰექტარ წყლის ტერიტორიას. ტერიტორიები, რომლებზეც სრულდება საქმიანობების ნაწილობრივი შეზღუდვები მოიცავენ 130,896 ჰა ხმელეთსა და 507,436 ჰა წყლის ფართობს. ადგილობრივი ხელისუფლებების დაცული ფართობები მოიცავენ 1,347 ჰა-ს.

გაიზარდა დაცული ტერიტორიების ფართობები ევროპის სხვა ქვეყნებშიც. ჩეხეთში დაცულია ქვეყნის 15%, დაახლოებით ამდენივე ავსტრიაში. სლოვენიაში შექმნილია 286 Natura 2000 საიტი — 260 "ჰაბიტატების შესახებ დირექტივის", ხოლო 26 "ფრინველთა შესახებ დირექტივის" შესაბამისად. საიტებს უკავიათ ქვეყნის ტერიტორიის 36%, რაც ევროპაში ყველაზე დიდი მაჩვენებელია (მაგალითებად მოტანილია ის ქვეყნები, რომლებიც ტერიტორიის სიდიდით, ფიზიკურ-გეოგრაფიული მდგომარეობითა და ტყეებით დაფარული ტერიტორიებით ჰგვანან საქართველოს).

### 3.2.3 რეკომენდაციები

#### 1) დაცული ტერიტორიების გაზრდა

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს ტერიტორიის მხოლოდ 6,7%-ია დაცული ტერიტორია და ამ მაჩვენებლით საკმაოდ ჩამორჩება ევროპის ქვეყნებს. ეს მაშინ, როცა საქართველოს ბიომრავალფეროვნების ღირებულება გაცილებით მაღალია, ვიდრე ევროპის ქვეყნების. Natura 2000 მნიშვნელოვანი იარაღია კონსერვაციისათვის, რის მნიშვნელობასაც სისტემატურად ესმება ხაზი ევროკომისიისა და ევროპის ქვეყნების მთავრობების ოფიციალურ დოკუმენტებში. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ Natura 2000 საიტი არ ნიშნავს, რომ იქ აუცილებლად აკრძალული უნდა იყოს ადამიანის საქმიანობა ან შეიზღუდოს შესვლა. ხშირ შემთხვევაში, საიტები ხელს უწყობს ადამიანის ტრადიციულ საქმიანობას და ახალ სამუშაო ადგილებსა და შესაძლებლობებს წარმოქმნის.

2004 წელს საქართველოში, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებული პროექტით, შედგა "ზურმუხტოვანი ქსელის" კანდიდატი ტერიტორიების ნუსხა და გაიგზავნა ბერნის კონვენციის სამდივნოში. ქვეყნის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისათვის, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის განხორციელებისა და სხვადასხვა ეროვნული სტრატეგიების ჰარმონიზაციისათვის ძალზე მნიშვნელოვანი იქნება, თუ გათვალისწინებული იქნება ზურმუხტოვანი ქსელის კანდიდატი ტერიტორიებისათვის სხვადასხვა ტიპის დაცული ტერიტორიების შექმნა.

ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირის კავკასიის პროგრამების ოფისმა (WWF Caucasus PO) შეიმუშავა რეკომენდაციები საქართველოს მთავრობისათვის, რომლის მიხედვითაც საქართველოს ტყეების 15% საჭიროა გამოცხადდეს მაღალი კატეგორიის დაცულ ტერიტორიებად (IUCN I-IV კატეგორია). გაფართოების სქემაში განსაზღვრულია ასევე სამიგრაციო დერეფნებიც. ეს დოკუმენტიც შესაძლოა საფუძვლად დაედოს გაფართოების სქემას. რეკომენდაციები ეყრდნობა მეცნიერებისა და ექსპერტების რამდენიმეწლიანი მუშაობის შედეგებს, რომლის მიხედვითაც მოხდა მნიშვნელოვანი ტერიტორიებისა და სამიგრაციო გზების იდენტიფიკაცია<sup>26</sup>.

#### 2) დაცული ტერიტორიების მოდერნიზაცია

საბჭოთა პერიოდში შექმნილი დაცული ტერიტორიები ვერ პასუხობენ თანამედროვე მოთხოვნებს. ზოგიერთ მათგანში არსებული ნაკრძალის რეჟიმი არ სრულდება მცირე ფართობისა და დასახლებულ პუნქტებთან სიახლოვის გამო. ცალკეული ეკოსისტემები კი ისეა დეგრადირებული, რომ მათი აღდგენა აქტიურ მენეჯმენტს მოითხოვს, რასაც კრძალავს

<sup>26</sup> საქართველოს ინტერესი და მზადყოფნა დაცული ტერიტორიების განვითარებისთვის მკაფიოდ გაჟღერდა სამხრეთ კავკასიის გარემოს დაცვის მინისტრების შეხვედრაზე, ბერლინში, 2006 წლის მარტში, სადაც საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა აუნყა დამსწრე საზოგადოებას საქართველოს ინტერესის შესახებ — გაავრცელოს დაცვის რეჟიმი ქვეყნის 1/5-ზე.

სახელმწიფო ნაკრძალის სტატუსი. საჭიროა მოხდეს ზოგიერთი დაცული ტერიტორიის კატეგორიის შეცვლა, არსებული ეკოლოგიური სიტუაციისა და გეორგრაფიული მდებარეობის შესაბამისად. ამასთანავე, არ უნდა მოხდეს ქვეყანაში მაღალი კატეგორიის დაცული ტერიტორიების ფართობის შემცირება. მაგალითად, ყაზბეგის ნაკრძალი და ალგეთის ნაკრძალი შეიძლება გარდაიქმნას ეროვნულ პარკებად (ანუ დადაბლდეს IUCN I კატეგორია II-მდე, მაგრამ გაიზარდოს ფართობი და ამჟამინდელი ნაკრძალი უფრო გაფართოებული სახით გახდეს ეროვნული პარკის მკაცრი დაცვის ზონა).

### 3) ბუნების ძეგლები

ყოფილ საქართველოს სსრ "ნითელ წიგნში" შესული ბუნების ძეგლების დაცულ ტერიტორიებად გამოცხადება. შესაძლებელია მათი მართვა მოხდეს თვითმმართველობის ორგანოების მიერაც, ხოლო ზედამხედველობა მოახდინოს გარემოს დაცვის ინსპექციამ.

### 4) ახალი ტიპის დაცული ტერიტორიების შემოღება

უცხოეთის ქვეყნების გამოცდილება და ადგილობრივი საჭიროება აჩვენებს, რომ შესაძლებელია, დაცული ტერიტორიების მართვა ხორციელდებოდეს არამარტო ცენტრალური ხელისუფლების ერთი უწყების მიერ, არამედ თვითმმართველობის ორგანოების, რეგიონული და ავტონომიური მთავრობების მიერ. შესაძლებელია კონტროლის მექანიზმების არსებობის შემთხვევაში არაკომერციულ გარემოსდაცვით ორგანიზაციებსა და კერძო პირებსაც ჰქონდეთ საშუალება შექმნან დაცული ტერიტორიები; მაგრამ ამ შემთხვევაში, უნდა მოხდეს კანონით დიფერენცირება ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი მნიშვნელობის დაცული ტერიტორიების, ასევე, მათი დაარსების კრიტერიუმები. ყოველივე ზემოთქმულის განსახორციელებლად საჭიროა "დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ" კანონის გადამუშავება.

5) "დაცული ტერიტორიების ფიზიკური დაცვის შესახებ" კანონის მიღება. მსოფლიო პრაქტიკა აჩვენებს, რომ თუ ბრაკონიერი უკეთაა შეიარაღებული, ვიდრე დაცული ტერიტორიის დამცველი, ბრაკონიერობასთან ბრძოლა უშედეგოა. ამდენად, დაცვის სამსახურებს სათანადო უფლებამოსილება უნდა ჰქონდეთ, კარგად იყვნენ შეიარაღებული და ეკიპირებული. დაცული ტერიტორიების დაცვის სამსახურებს დაახლოებით იგივე უფლებამოსილება უნდა მიენიჭოს, რაც აქვს გარემოს დაცვის ინსპექციას. დაცული ტერიტორიების რეჟიმისა (კატეგორიის) და კუთვნილების შესაბამისად, უნდა მოხდეს მათი დაცვის სისტემის ორგანიზება, დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანოების დადგენა. თუ დაცულ ტერიტორიას არ ჰყავს ადმინისტრაცია, მაშინ მონიტორინგი შეიძლება აწარმოოს სამინისტროს ტერიტორიულმა ორგანომ ან თვითმმართველობის ერთეულმა, ხოლო დაცვა ინსპექტირების მეშვეობით — გარემოს დაცვის ინსპექციამ და პოლიციამ.

6) აუცილებელია მუდმივმოქმედი ტრენინგ-ცენტრის დაარსება დაცული ტერიტორიების სისტემის თანამშრომელთათვის, სადაც მოხელეებს საშუალება ექნებათ სამუშაოს განმარტვის გარეშე აიმაღლონ ცოდნა და კვალიფიკაცია. ასევე, სასურველია, დაცული ტერიტორიების მართვის სფეროში საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების დაარსება და/ან არსებულ სასწავლო დაწესებულებებში სპეციალური კურსების შემოღება.



## 4. სახეობები

### 4.1 არსებული მდგომარეობა

ცოცხალი ორგანიზმების სახეობრივი მრავალფეროვნება საქართველოში ძალზე მაღალია. ცხოველთა სამყაროდან საქართველოში აღრიცხულია თევზების 84, ამფიბიების 12, ქვეწარმავლების 52, ფრინველების 300-ზე მეტი და ძუძუმწოვრების 109 სახეობა. მათ შორის არის საქართველოსა და კავკასიის ენდემები. უხერხემლოთა ფაუნა არათანაბრადაა შესწავლილი — ზოგი ჯგუფი შედარებით სრულადაა გამოკვლეული, ზოგიერთზე კი მწირი ცნობები მოიპოვება.

საქართველოში ჭურჭლოვანი მცენარეების დაახლოებით 4100 სახეობაა გამოკვლეული (მთელ კავკასიაში 6350 სახეობაა). 300 სახეობა საქართველოს ენდემია, ასევე გავრცელებულია დაახლოებით 600 კავკასიის ენდემური სახეობა. ენდემებით განსაკუთრებით მდიდარია კავკასიონის ცენტრალური და აღმოსავლეთი ნაწილები.

ასევე მდიდარია საქართველოს აგრობიომრავალფეროვნება, ანუ შინაური ცხოველებისა და კულტურული მცენარეების ჯიშების მრავალფეროვნება. ჩვენი ქვეყანა ითვლება მრავალი მათგანის წარმოშობის კერად, მათ შორის ვაზისა და მარცვლოვნების.

ბიომრავალფეროვნებაზე მოქმედი ყველა საფრთხე, რომელზეც ზემოთ იყო საუბარი, პირველ რიგში მოქმედებს სახეობებზე. შედეგად, მრავალ მათგანს გადაშენების რეალური საფრთხე ემუქრება.

საქართველოს კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს სახეობების დაცვასა და გამოყენებას, მოიცავს კანონებს: “ცხოველთა სამყაროს შესახებ” (1996), “ტყის კოდექსს” (1999), „საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ” (2003), „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ ასევე სხვა ნორმატიულ აქტებს. ეს საკითხები ასევე ასახულია “საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგიასა და მოქმედებათა გეგმაში”. აღნიშნული კანონმდებლობა, ჯერჯერობით დახვენას მოითხოვს. მაგალითად, ცხოველთა სამყაროსათვის არსებობს სპეციალური კანონი — “ცხოველთა სამყაროს შესახებ”. მცენარეთა სახეობების დაცვასა და გამოყენების საკითხებს ნაწილობრივ არეგულირებს საქართველოს ტყის კოდექსი. იშვიათ და საფრთხის წინაშე მყოფი სახეობებისათვის არსებობს კანონი „საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ“ და პრეზიდენტის ბრძანებულება, რომლითაც დამტკიცდა “წითელი ნუსხა”. მაგრამ ამ ნუსხაში ჯერჯერობით ვერ მოხერხდა არამერქნული (ბალახოვანი მცენარეების შეტანა). იმის ფონზე, რომ არ არსებობს სპეციალური კანონი მცენარეთა სამყაროს შესახებ, ბალახოვანი მცენარეები დღეისათვის პრაქტიკულად “დაუცველი” არიან. მათ შორისაა კომერციული ღირებულების მქონე, იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი სახეობები, სამკურნალო მცენარეები და სხვ. არ რეგულირდება იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი სახეობების სამეცნიერო მიზნით მოპოვებაც — არ არსებობს რაიმე სანებართვო ფორმა, რომელიც გაიცემა ასეთი საქმიანობისათვის.

სახეობათა დაცვა შესაძლებელია განხორციელდეს ორი გზით: in-situ და ex-situ ღონისძიებებით<sup>27</sup>. პირველს მიეკუთვნება საბინადრო გარემოს დაცვა დაცული ტერიტორიების შექმნით და საქმიანობებზე სხვადასხვა გარემოსდაცვითი შეზღუდვების დანერგვით. თუმცა დაცული ტერიტორიების გარეთ ჰაბიტატების დაცვას არ ექცევა ყურადღება. მეორეს მიეკუთვნება ხელოვნულ პირობებში განხორციელებული კონსერვაციული ქმედებები. ძირითადად, ეს სამუშაოები ფლორაზე იყო ორიენტირებული რამდენიმე არსებული ბოტანიკური ბაღის საშუალებით (თბილისის, ბათუმის, სოხუმის, ზუგდიდის, ბაკურიანის). ცხოველთა სამყაროს გამოყენება რეგულირდება “ცხოველთა სამყაროს შესახებ” კანონით და “ლიცენზიებისა და

<sup>27</sup> in-situ კონსერვაცია — სახეობების დაცვა ბუნებრივ პირობებში; ex-situ კონსერვაცია — სახეობების დაცვა ხელოვნურ პირობებში

ნებართვების შესახებ” კანონით. თუმცა, ამ ორ კანონს შორის არსებობს წინააღმდეგობები. ცხოველთა სამყაროს ობიექტების მოპოვება დღეისათვის შესაძლებელია ნადირობის ნებართვისა და თევზჭერის ლიცენზიის საფუძველზე, ასევე გაიცემა სამონადირეო მეურნეობის მოწყობის ლიცენზია და ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიები. ეს ლიცენზიები, ისევე როგორც ყველა სარგებლობის ლიცენზია, გაიცემა აუქციონის საფუძველზე. ლიცენზიებს გასცემს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტი.

ნადირობა ნებადართულია მხოლოდ სამონადირეო მეურნეობებში. ეს შეზღუდვა არ ვრცელდება გადამფრენ ფრინველებზე.

არსებობს კანონმდებლობით დამტკიცებული ნუსხა იმ სახეობებისა, რომლებზეც დაშვებულია ნადირობა და თევზჭერა. ცხოველთა სამყაროს ობიექტების მოპოვებისათვის შემოღებულია სხვა რეგულაციებიც. ამა თუ იმ სახეობის მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ ამ სახეობის დანესებულ გარკვეულ პერიოდში (სანადირო და სათევზაო სეზონში). ასევე წესით არის განსაზღვრული ის სანადირო და სათევზაო იარაღები და საშუალებები, რომლებითაც დასაშვებია მოპოვება. ზოგადად, აკრძალულია მოპოვება ცხოველთა გამრავლების პერიოდში, ასევე ისეთი იარაღებითა და საშუალებებით, რომლებმაც შეიძლება მასობრივი მოსპობა გამოიწვიოს, დააბინძუროს ან დააზიანოს გარემო, ან ტანჯვა მიაყენოს ცხოველს. ნადირობისას აკრძალულია საბრძოლო იარაღის გამოყენება.

ნებართვას ან ლიცენზიას არ საჭიროებს სამოყვარულო თევზჭერა. თევზჭერისა და ნადირობის წესების დარღვევის აღკვეთასა და პრევენციას ახდენს გარემოს დაცვის ინსპექცია.

სახეობების კონსერვაციასთან დაკავშირებული კიდევ ერთი ასპექტი, არის საერთაშორისო ვაჭრობა. ეს პროცედურა რეგულირდება “გადაშენების პირას მყოფი ფლორისა და ფაუნის ველური სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენციით” (CITES), რომელსაც საქართველო მიუერთდა 1996 წელს. კონვენცია ეხება და აწესრიგებს იმ სახეობებით ვაჭრობას, რომელთა მდგომარეობაზეც უარყოფითად მოქმედებს საერთაშორისო ვაჭრობა.

კონვენცია საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფაუნითა და ფლორით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ (CITES), ანუ ვაშინგტონის კონვენცია მიღებულია 1973 წელს. მის მიზანს წარმოადგენს ველური ფაუნისა და ფლორის უკანონო მოპოვებისა და მათი არალეგალური ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა, ექსპორტ-იმპორტისა და საერთაშორისო ვაჭრობის ეფექტური კონტროლის გზით. ამ კონვენციას საქართველო 1996 წელს მიუერთდა. 1996 წელს CITES-ის სამდივნომ და მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციამ ხელი მოაწერეს მემორანდუმს, რითაც აღიარეს საბაჟო სამსახურების უმნიშვნელოვანესი როლი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობების არალეგალური ვაჭრობის აღკვეთისა და ამ გზით მათი დაცვის საქმეში. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ქვეყნის შიგნით CITES-ის ეროვნული ადმინისტრაციული ორგანოს, გარემოს დაცვის ინსპექციის, შესაბამისი სამეცნიერო ინსტიტუციებისა და საბაჟო სამსახურის მჭიდრო თანამშრომლობა. სწორედ ამ უკანასკნელი უწყების ვალდებულებაა არ მიიღოს და არ გაატაროს აღნიშნული კონვენციის დანართებში შეტანილი ფაუნისა და ფლორის სახეობების ნიმუშები შესაბამისი ნებართვისა და სერტიფიკატის გარეშე, დაადგინოს ნიმუშისა და სანებართვო დოკუმენტაციის შესაბამისობა.

კონვენციას აქვს სამი დანართი, რომლებშიც ჩამოთვლილია სახეობები, რომელთაც საერთაშორისო ვაჭრობის გამო საფრთხე ემუქრებათ. კონვენციის თანახმად, საერთაშორისო ვაჭრობა ნიშნავს დანართებში შეტანილი მცენარეთა და ცხოველთა სახეობების ან მათი ნაწილების ნებისმიერ გადაადგილებას საზღვრებზე.

CITES-ის დანართებში შეტანილია კატისებრთა ოჯახის ყველა სახეობა, დათვისებრთა ოჯახის ყველა სახეობა, სპილოს ორივე სახეობა (ვაჭრობის ძირითად საგანს წარმოადგენს სპილოს ძვალი და მისგან დამზადებული ნაკეთობები), ყველა თუთიყუში, გარდა ტალღოვანი თუთიყუშებისა და კარელებისა, ზუთხისნაირი თევზები (შეზღუდვა ეხება არამარტო ცოცხალ ინდივიდებს, არამედ მათ ხორცსა და ხიზილალას) და ა.შ. ყველა მათგანს უნდა გააჩნდეს სათანადო ნებართვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კონტრაბანდული გზით არის შემოტანილი ქვეყანაში.

საქართველოს სახეობებს სერიოზული ზიანი მიაყენა საერთაშორისო ვაჭრობამ. ეს შეეხო ისეთ სახეობებს, როგორებიცაა შავი ზღვის აფალინა (რუსეთი იყენებდა სამხედრო მიზნებისა და საცირკო წარმოდგენებისათვის), მურა დათვი (ძირითადად ნალველით ვაჭრობის გამო). კონვენციის უმაღლეს ორგანოზე — მხარეთა კონფერენციაზე — საქართველოს მიერ წარდგენილ იქნა წინადადებები ამ სახეობების ვაჭრობის წესების შეზღუდვის შესახებ. მათ შორის დღესაც ძალაშია 2002 წელს მიერ მიღებული შეზღუდვა შავი ზღვის აფალინას ცოცხალი ეგზემპლარების კომერციული გამოყენების შესახებ. მიუხედავად რუსეთის სასტიკი წინააღმდეგობისა, აშშ-ს, ევროკავშირისა და საერთაშორისო არასათავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერით, საქართველოს ეს ინიციატივა დაამტკიცა მხარეთა კონფერენციამ.

## 4.2 პრობლემები

სახეობათა დაცვისა და გამოყენების თვალსაზრისით არსებობს მრავალი პრობლემა, რომელიც გადაუდებელ მოგვარებას საჭიროებს.

პირველ რიგში, საჭიროა კანონების ჰარმონიზაცია, მაგრამ ეს არ უნდა განხორციელდეს სახეობათა კონსერვაციის პრობლემების უგულვებელყოფით ეკონომიკური და უწყებრივი მოსაზრებების სასარგებლოდ. შესამუშავებელია CITES კონვენციიდან გამომდინარე ეროვნული კანონმდებლობა, რაც აუცილებელია ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციისათვის და ქვეყნის ვალდებულებას წარმოადგენს.

მოუგვარებელია ცხოველთა სახეობების გამოყენების ზოგიერთი ასპექტი, რომელიც დაკავშირებულია ადათ-წესებთან და ტრადიციებთან. მაგ., ბაზიერობა ან ტრადიციული ნადირობა ჯიხვზე ან დათვზე. საქართველოს ზოგიერთ რაიონში ამას რიტუალური ხასიათიც კი აქვს. ეს ტრადიციები ასახული არ არის კანონმდებლობაში და, შესაბამისად, ტრადიციის მიმდევარი კანონის დამრღვევად, ბრაკონიერად გვევლინება. აუცილებელია ამ საკითხის დარეგულირება ისე, რომ დაცული იყოს ზომიერება, ერთის მხრივ, ტრადიციების კანონის ფარგლებში მოქცევა და მეორეს მხრივ, სახეობათა დაცვას შორის.

მოუხერხებელია გადამფრენ ფრინველებზე ნადირობის ნებართვის აღების პროცედურაც. მიუხედავად იმისა, რომ მისი ფასი საკმაოდ დაბალია, მონადირეები თავს არიდებენ ნებართვის აღებას, რთული ბიუროკრატიული პროცედურის გამო. განსაკუთრებით ეს რეგიონებში მცხოვრებთათვის წარმოადგენს სირთულეს.

მსოფლიოში ბიომრავალფეროვნების ერთ-ერთ ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენს უცხო (ინვაზიური) სახეობები. სამეცნიერო ლიტერატურაში ასეთ შეყვანილ სახეობებს ეგზოტიკურ, უცხო, ინტროდუცირებულ ან არაადგილობრივს (*exotic, alien, introduced, nonindigenous species*) უწოდებენ. ინვაზიური სახეობების მიზეზით, მრავალი კუნძულის (ავსტრალიის შემთხვევაში, კონტინენტისაც კი) ცოცხალ სამყაროს გადაშენების საფრთხე დაემუქრა. ახალ გარემოში მოხვედრისას ინვაზიურ სახეობაზე არ მოქმედებენ მალიმიტირებელი ფაქტორები. თუ კლიმატურმა პირობებმაც შეუწყო ხელი, შესაძლოა, აქ გაცილებით მეტი თაობა დაიბადოს წელიწადში, ვიდრე მის სამშობლოში. ამის გამო, ეგზოტიკურმა სახეობამ შეიძლება ახალი აუთვისებელი ეკოლოგიური ნიშა დაიკავოს, ან როგორც უფრო ხშირად ხდება, განდევნოს ადგილობრივი სახეობა. უცხო სახეობა დამლუპველია არამარტო უშუალო კვებითი კონკურენტისათვის, არამედ მცენარეთა და ცხოველთა მთელი თანასახოგადობისთვისაც,

ვინაიდან შეუძლია მთლიანად შეცვალოს ეკოსისტემის სახე. აშშ-ს საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების სიაში ცხოველებისა და მცენარეების 42% არაადგილობრივი სახეობების გამო მოხვდა. საქართველოს კანონმდებლობით აკრძალულია უცხო სახეობების ბუნებაში გაშვება, მაგრამ არ არის დარეგულირებული, თუ როგორ უნდა მოხდეს იმ ინტროდუცირებული სახეობების მონიტორინგი და მათი საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება, რომლებიც წარსულში ხელოვნურად გავრცელდნენ და ახლა ბინადრობენ საქართველოში (მაგ., ენოტი, ნუტრია, ენოტისებური ძაღლი და სხვ.). საბჭოთა კანონმდებლობა ამგვარ აკრძალვებს არ ცნობდა, პირიქით, ხდებოდა არაადგილობრივი ძვირფასბუნვიანი ძუძუმწოვრების და კომერციული სახეობის თევზების, ასევე მერქნიანი სახეობების ბუნებაში გავრცელება. უმეტეს შემთხვევაში, ამას ეკონომიკური სარგებელი არ მოჰქონდა. მაგალითად, ცივი განედების ბინადარი ძვირფასი ბუნვის მომცემი სახეობები, ჩვენი ქვეყნის მსგავს ბუნებრივი პირობებში არ იძლევიან სასაქონლო ღირებულების პროდუქციას. მეორეს მხრივ, კი აუნაზღაურებელი ზარალი მიადგა ბიომრავალფეროვნებას, რაც ბევრ შემთხვევაში, აისახა ეკონომიკაზეც. ამის ნათელი მაგალითებია ტელეუტური ციყვების შეყვანა ბორჯომის ხეობაში, რამაც ეკოლოგიურ კატასტროფამდე მიიყვანა ეს ეკოსისტემა, ჭალის ტყეებში ენოტის გავრცელება და სხვ.

სახეობების უკანონო და ჭარბი მოპოვება ჩვენს რეალობაში მნიშვნელოვანი პრობლემაა. გარემოს დაცვის ინსპექციის შექმნა და მათი უფლებამოსილების გაზრდა უეჭველად დადებითი მოვლენაა ბრაკონიერობათან ბრძოლაში. თუმცა, კანონიერი ქმედებების განხორციელებისასაც არ ხდება ყოველთვის სახეობათა კონსერვაციის საჭიროებების სრულფასოვნად გათვალისწინება. მაგალითად, აკრძალულია “ნითელ ნუსხაში” შეტანილი სახეობების მოპოვება და მათზე ლიცენზია არ გაიცემა, მაგრამ როდესაც გაიცემა ტყითსარგებლობის ან წიაღის მოპოვების ლიცენზია, ნაკლებად ხდება გათვალისწინება იმისა, რომ “ნითელ ნუსხაში” შეტანილი სახეობის დაცვა არა მხოლოდ მისი მოპოვების აკრძალვას, არამედ მისი საბინადრო გარემოს დაცვასაც გულისხმობს. ეს აღნიშნულია საქართველოს კანონმდებლობაშიც<sup>28</sup>.

თეთრყვავილას ბოლქვებითა და ყოჩივარდას გორგლებით ვაჭრობის მექანიზმიც საკმაო ხარვეზებს შეიცავს, ვინაიდან არ ხდება კონტროლი, საექსპორტო პროდუქცია ბუნებაში მოიპოვება (რაც აკრძალულია კონვენციით) თუ ხელოვნურად გამრავლების პირობებში. არამერქნული მცენარეული რესურსების გამოყენების კანონმდებლობა პრაქტიკულად არ არსებობს, რაც საფრთხეს უქმნის ბიოლოგიურ მრავალფეროვნებას.

რაც შეეხება აგრობიომრავალფეროვნების მდგომარეობას საქართველოში, იგი საკმაოდ დიდი რისკის ქვეშ იმყოფება. საბჭოთა პერიოდში პროდუქციის გაზრდის მიზნით, ხდებოდა ადგილობრივი ჯიშების შეცვლა უცხო, უფრო პროდუქტიული და ერთგვაროვანი ჯიშებით. ხშირად ეს ხდებოდა ადგილობრივი მოსახლეობის ძალდატანებით. ზოგ შემთხვევაში, საბჭოთა პერიოდში აბორიგებულ ჯიშების გადაშენება მიზანმიმართულად, იდეოლოგიური მოსაზრებებით ხდებოდა (მაგ., ქართული ნაგახის, ან ქართული ლურჯა ცხენის შემთხვევაში, როცა ბოლო ინდივიდები ხორცის ჩაბარების გეგმას შეენირა). არაადგილობრივმა კულტურებმა, მაგალითად, ჩაიმ და ციტრუსებმა, ტრადიციული სოფლის მეურნეობის ადგილები და ბუნებრივი ეკოსისტემებიც კი დაიკავეს. შეიცვალა მთელი სოფლის მეურნეობის სისტემა და მეურნეები ფაქტიურად დაქირავებულ მუშებად გადაიქცნენ.

<sup>28</sup> კანონი “გარემოს დაცვის შესახებ”, 47-ე მუხლის მე-2 პუნქტი - საფრთხის წინაშე მყოფი ველური მცენარეებისა და გარეული ცხოველების “ნითელ ნუსხასა და საქართველოს ნითელ წიგნში შეტანილი ცხოველთა და მცენარეთა ბიოლოგიურ სახეობათა მიმართ აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა: ნადირობა, რენვა, მოპოვება, ჭრა, თიბვა (გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა), რაც იწვევს მცენარეებისა და ცხოველების რაოდენობის შემცირებას, აუარესებს მათ საბინადრო გარემოსა და არსებობის პირობებს; 53-ე მუხლის 1 პუნქტი - საქმიანობა არ უნდა იწვევდეს ბიომრავალფეროვნების შეუქცევად ხარისხობრივ და რაოდენობრივ ცვლილებებს და მის დეგრადაციას. საქართველოს კანონი “საქართველის “ნითელი ნუსხისა” და “ნითელი წიგნის” შესახებ”, მუხლი 10. “გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების დაცვის ძირითადი მოთხოვნები”, პუნქტი 2. აკრძალულია ყოველგვარი ქმედება, მათ შორის, ნადირობა, რენვა, მოპოვება (ბუნებრივი გარემოდან ამოღება), ჭრა და თიბვა, .... რომელსაც შეიძლება მოჰყვეს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების რაოდენობის შემცირება, საბინადრო გარემოსა და საარსებო პირობების გაუარესება

პოსტსაბჭოთა პერიოდში არასრულფასოვანმა მიწის რეფორმამ, მცირე დაფინანსებამ და სანედლეულო ბაზის არქონამ ფერმერები დამოკიდებული გახადა იმპორტირებულ სათესლე ნედლეულზე, რომელიც შემოდის ჰუმანიტარული მისიებით ან სამთავრობო კრედიტებით. უმეტესწილად ეს შემოტანილი მასალა დაბალხარისხოვანი და ერთგვაროვანი იყო. თესლის ბანკები და კოლექციები ფაქტიურად არ არსებობდნენ. ამ ვითარებამ მრავალი ენდემური ჯიში, მათ შორის უნიკალური ვაზისა და ხორბლის ჯიშები, გაქრობის საფრთხის წინაშე დააყენა. ქვეყანა თანდათან კარგავს კულტურული და ბიოლოგიური მემკვიდრეობის მნიშვნელოვან ნაწილს.

პრაქტიკულად არ ხორციელდება ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი. არ არსებობს ბიომრავალფეროვნების აღრიცხვის უნიფიცირებული სისტემა, რის გამოც მონაცემების შეგროვების პროცესი ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს. არ ხდება კოორდინაცია ბიომრავალფეროვნების მდგომარეობაზე პასუხისმგებელ ორგანოებს შორის, ხოლო მათ თანამშრომლებს არ გააჩნიათ სათანადო კვალიფიკაცია მონიტორინგის საწარმოებლად.

### 4.3 რეკომენდაციები

სახეობების დაცვისა და მდგრადი გამოყენებისათვის აუცილებელია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

1. სახეობების in-situ დაცვა, როგორც დაცული ტერიტორიების გაზრდით, ისე დაცული ტერიტორიების გარეთ, სახეობათა მრავალფეროვნებით გამორჩეული ჰაბიტატებისა და სამიგრაციო გზების კონსერვაციის გზით<sup>29</sup>. სახეობათა დაცვის საუკეთესო საშუალება მათი საბინადრო გარემოს დაცვაა.
2. ex-situ ღონისძიებების ხელშეწყობა, მაგალითად, გენოფონდის რეზერვატების შექმნა, რეინტროდუქციის სამუშაოების წარმოება.
3. გადამფრენ ფრინველებზე ლიცენზიების გაცემის პროცედურის დახვეწა.
4. ტრადიციული ნადირობის კონცეფციის შემუშავება და შესაბამისი ცვლილებების შეტანა კანონმდებლობაში (მათ შორის ბაზიერობა, სატროფეო ნადირობის კონცეფცია).
5. ინვაზიური სახეობების პრობლემის ასახვა კანონმდებლობაში; ინვაზიური სახეობების “შავი ნუსხის” დამტკიცება, პრობლემის შესწავლა და აქტიური მენეჯმენტის წარმოება.
6. საქართველოს აგრობიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და მისი მდგრადი გამოყენების სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავება; საკანონმდებლო ბაზის მომზადება.
7. საქართველოს აგრობიომრავალფეროვნების ინვენტარიზაცია და წითელი ნუსხის შედგენა.
8. ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის უნიფიცირებული მეთოდის შემუშავება და დანერგვა, როგორც დაცული ტერიტორიების შიგნით, ისე მის გარეთაც, მათ შორის სამეურნეო ტყის ფონდის ტერიტორიაზეც.

<sup>29</sup> ევროკავშირის კანონმდებლობა, კერძოდ “ჰაბიტატების შესახებ დირექტივა”, “ფრინველთა შესახებ დირექტივა” და ბერნის კონვენცია ავალდებულებენ ნევრ-ქვეყნებს სახეობების დასაცავად გაატარონ გარკვეული ღონისძიებები. ამ დოკუმენტების დანართებში მოცემულია სახეობათა ნუსხები და გამოყოფილია სახეობები, რომლებიც მკაცრ დაცვით ღონისძიებებს საჭიროებენ ევროკავშირის ტერიტორიაზე. ევროკავშირის დოკუმენტები ასევე რეკომენდაციებს იძლევიან სახეობათა მდგრადი გამოყენების უზრუნველსაყოფად. სპეციალური ყურადღება ეთმობა თევზჭერისა და ნადირობის საკითხებს.

## 5. ბიოსაფრთხობა

საქართველოს ბიომრავალფეროვნების წინაშე მდგარი ერთ-ერთი რისკ-ფაქტორი თანამედროვე ბიოტექნოლოგიის მეთოდებით მიღებული ცოცხალი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების გარემოში გავრცელებაა. ეს რისკი არამარტო ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაკარგვას, არამედ ადამიანის ჯანმრთელობასაც უკავშირდება. გენმოდიფიცირებული ორგანიზმები (გმო) დაკავშირებულია თანამედროვე ბიოტექნოლოგიისა და გენეტიკური ინჟინერიის განვითარებასთან.

გმო-მ ფართო გავრცელება ჰპოვა, განსაკუთრებით მცენარეული საკვები კულტურების წარმოებაში. მიუხედავად სხვადასხვა დადებითი მხარისა, ჯერ კიდევ მიმდინარეობს მეცნიერული დავა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად უსაფრთხოა ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსათვის გმო-ები. გენების გადანერგვას მოსდევს პრინციპულად ახალი ფორმების წარმოქმნა, რომელთა უჯრედებშიც შესაძლებელია მოხდეს ადამიანისთვის საშიში ნივთიერებების (ტოქსინები, ალერგენები და ა.შ.) სინთეზირება, რისი წინასწარმეტყველება და გათვლაც შეუძლებელია. გმო წარმოადგენს ახალ ორგანიზმს ახალი თვისებებით. შეიძლება ეს თვისებები საზიანო აღმოჩნდეს როგორც ადამიანისათვის (მაგალითად, ტრანსგენური მცენარის საკვებად გამოყენებისას), ისე ეკოსისტემისათვის (ტრანსგენური მცენარის მტვერით შეიძლება მოხდეს სხვა მცენარის დამტვერვა და მოხდეს ცვლილებების მთელი ჯაჭვი). გმო-ს ბუნებაში გავრცელება ბიომრავალფეროვნებისათვის შესაძლოა იგივე ეფექტი იქონიოს, რაც უცხო სახეობების ინტროდუცირებამ. ახალი ნიშან-თვისება, რომელსაც გმო-ები შეიძენენ, მათ უფრო კონკურენტუნარიანს გახდის ადგილობრივ სახეობებთან, ან კულტურულ ჯიშებთან შედარებით, რამაც შესაძლებელია სერიოზული ეკოლოგიური დარღვევები გამოიწვიოს. ტრანსგენური კულტურების დამკვიდრება ბიომრავალფეროვნების სხვა საშიშროების შემცველიცაა: გენური ინჟინერია მონოკულტურების შექმნის ტექნოლოგიაა. მონოკულტურა გენეტიკურ ერთგვაროვნებას ნიშნავს, გენეტიკურად ერთგვაროვანი კულტურების ნათესები კი ბევრად მგრძობიარენი არიან დაავადებისა თუ გარემოს არახელსაყრელი პირობების მიმართ.

ამრიგად, გმო-ს ბუნებაში გავრცელების შედეგად შესაძლებელია მოხდეს ბიომრავალფეროვნების ცვლილება ჯერ გენეტიკურ, შემდეგ კი სახეობრივ და ეკოსისტემურ დონეზე.

გენმოდიფიცირებული ორგანიზმების მარეგულირებელი კანონმდებლობა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში სათავეს ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან იღებს. ამ დროიდან ევროპაში საგრძნობლად გაიზარდა გარემოსდაცვითი ორგანიზაციების, ფერმერებისა და ასევე მოსახლეობის დიდი ნაწილის წინააღმდეგობა გენური ინჟინერიის გამოყენებით მიღებული პროდუქტების მიმართ. ევროპის ხუთმა ქვეყანამ (ავსტრია, ლუქსემბურგი, საფრანგეთი, საბერძნეთი და დიდი ბრიტანეთი) გენმოდიფიცირებულ მცენარეებზე გარკვეული აკრძალვები დააწესა. აღსანიშნავია, რომ გენმოდიფიცირებულ ორგანიზმებიდან თავისუფალი ზონების შექმნას ითვალისწინებს ევროკავშირის მთელი რიგი ქვეყნების კანონმდებლობა. თანამედროვე ბიოტექნოლოგიის მეთოდებისა და მათ შედეგად მიღებული ორგანიზმების გამოყენებისას ბიოსაფრთხოების სათანადო დონის უზრუნველყოფის მიზნით, მთელ რიგ ქვეყნებში და საერთაშორისო დონეზე შემუშავდა გენმოდიფიცირებული ორგანიზმების სამართლებრივი რეგულირების მექანიზმები. ეს მექანიზმები ძირითადად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1992 წლის რიო-დე-ჟანეიროს გარემოსა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციაზე<sup>30</sup> მიღებულ „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ კონვენციას ეფუძნება. აღნიშნული კონვენციით აღიარებულ იქნა, რომ თანამედროვე ბიოტექნოლოგიით მიღებული გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმები ახალ საფრთხეს უქმნიან ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას და მათ გამოყენებასთან დაკავშირებული რისკის მინიმუმამდე შესამცირებლად აუცილებელია სათანადო მარეგულირებელი სისტემების შექმნა. გენმოდიფიცირებული ორგანიზმების

<sup>30</sup> United Nations Conference on Environment and Development, Rio de Janeiro, 1992

რეგულირების ჩარჩოების განსაზღვრა საკმაოდ რთული აღმოჩნდა. მთავარ ამოცანას პოტენციურად მნიშვნელოვან სარგებელსა და გარემოსა და ადამიანთა ჯანმრთელობის გარანტირებულ უსაფრთხოებას შორის სათანადო ბალანსის დამყარება წარმოადგენდა. ბიოუსაფრთხოების უზრუნველყოფა და რეგულირების ეფექტური სისტემების შექმნა, განსაკუთრებით გენმოდულირებადი ორგანიზმების ტრანსსასაზღვრო გადაადგილების კონტექსტში, შეუძლებელი იქნებოდა მსოფლიოს ყველა ქვეყნის კოორდინირებული მიდგომის გარეშე. სწორედ ამ მიზნით, ბიომრავალფეროვნების კონვენციის ფარგლებში 2000 წელს შემუშავდა საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტი – ბიოუსაფრთხოების კარტახენას ოქმი, რომელიც ძალაში შევიდა 2003 წლის 11 სექტემბერს.

კარტახენის ოქმის მიზანს წარმოადგენს უსაფრთხოების სათანადო დონის დაცვა (ადამიანის ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების საფრთხის გათვალისწინებით) თანამედროვე ბიოტექნოლოგიის მეთოდებით მიღებული ისეთი გენმოდულირებადი ორგანიზმების გამოყენებისას, რომელთაც შეუძლიათ უარყოფითი ზეგავლენა იქონიონ ბიოლოგიურ მრავალფეროვნებაზე. ოქმი ძირითადად გამო-ების ტრანსსასაზღვრო გადაადგილების საკითხებს ეხება და საშუალებას აძლევს იმპორტიორს, ანუ მიმღებ ქვეყანას, დაიცვას თავისი ეკოსისტემა შესაძლო უარყოფითი ზემოქმედებისგან. კარტახენას ოქმი ადგენს წინასწარი დასაბუთებული თანხმობის (advance informed agreement) პროცედურას, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფოების უზრუნველყოფას აუცილებელი ინფორმაციით, რაც მათ ასეთი ორგანიზმების იმპორტირების, ან მისი აკრძალვის შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების საშუალებას მისცემს. ინფორმაციის წარმოდგენა ევალება ექსპორტიორს, ანუ შემომტან ქვეყანას.

პროცედურებსა და მექანიზმებს, რომლებიც ეხმარება მიმღებ სახელმწიფოს გადაწყვეტილების მიღებაში, ადგენს ოქმის მხარეთა კონფერენცია. ის ასევე შეიმუშავებს რეკომენდაციებს ნებისმიერ საკითხზე, რაც აუცილებელია ამ ოქმის განსახორციელებლად.

კარტახენას ოქმი ეფუძნება გაერო-ს 1992 წლის “გარემოსა და განვითარების რიო-დე-ჟანეიროს დეკლარაციის” მე-15 პრინციპს, რომელიც ეხება უსაფრთხოების წინასწარი ზომების მიღებას. ამ პრინციპის არსია: როდესაც არსებობს გარემოსათვის სერიოზული და შეუქცევადი ზიანის მიყენების საფრთხე, მის აღსაკვეთად მიმართული ღონისძიებების გატარების დაბრკოლების მიზეზი არ უნდა გახდეს სარწმუნო მეცნიერული მონაცემებისა და ცოდნის არარსებობა. კარტახენას ოქმი მონაწილე მხარეებს შესაძლებლობას აძლევს მოსალოდნელი უარყოფითი ზეგავლენის თავიდან აცილების ან მაქსიმალური შეზღუდვისთვის დაანესონ ოქმით დადგენილზე უფრო მკაცრი მოთხოვნები ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. ახალი მეცნიერული კვლევების შედეგების საფუძველზე, მიმღებ ქვეყანას უფლება აქვს გადახედოს თავის გადაწყვეტილებას ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმის იმპორტის (ან მისი შეზღუდვის) შესახებ და შეცვალოს ის. ოქმი ასევე ითვალისწინებს პოტენციურ მიმღებ გარემოში ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებაზე (ადამიანის ჯანმრთელობის უსაფრთხოების გათვალისწინებით) შესაძლო უარყოფითი ზეგავლენის ანალიზსა და რეგულირებას. მხარეებმა უნდა ითანამშრომლონ რისკის შეფასების სფეროში და უზრუნველყონ საჭირო ზომების მიღება იმისთვის, რომ ნებისმიერი ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმი (როგორც იმპორტირებული, ასევე ამ ქვეყანაში შექმნილი), გამოყენებამდე გადიოდეს დაკვირვებას მისი სიცოცხლის ციკლის ან რეპროდუქციის პერიოდის მანძილზე. უკანონო ტრანსსასაზღვრო გადაადგილების შემთხვევაში დაზარალებულ მხარეს შეუძლია მოსთხოვოს წარმოშობის მხარეს ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმის მისივე ხარჯით ამოღება. უნდა აღინიშნოს, რომ კარტახენის ოქმი არ ეხება იმ ცოცხალ მოდიფიცირებულ ორგანიზმებს, რომელთა გადატანა ქვეყნიდან ქვეყანაში ხდება ფარმაცევტული ან სამკურნალო დანიშნულებისთვის.

ევროკავშირის ძირითადი კანონმდებლობა გენმოდულირების შესახებ მოიცავს შემდეგ აქტებს:

- „გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების გარემოში ინტროდუქციისა და ევროგაერთიანების საბჭოს 1990 წლის 23 აპრილის №90/220/EEC დირექტივის ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე“ ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2001 წლის 12 მარტის №2001/18/EC დირექტივა;
- „გენეტიკურად მოდიფიცირებული სასურსათო და ცხოველთა საკვები პროდუქციის შესახებ“ ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2003 წლის 22 სექტემბრის №1829/2003/EC დებულება;
- „გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების მიმოქცევის კონტროლისა და მარკირების და გენეტიკურად მოდიფიცირებული სასურსათო და ცხოველთა საკვები პროდუქციის მიმოქცევის კონტროლისა და მარკირების შესახებ“ ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2003 წლის 22 სექტემბრის №1830/2003/EC დებულება;
- დირექტივა 90/219/ EC გმო-ს შემცვლელების გამოყენების თაობაზე;
- ინსტრუქცია გმო-ს ტრანსსაზღვრო გადაადგილების თაობაზე EC/1946/2003;
- გარემოზე ზემოქმედების შეფასების განხორციელების პრინციპები;
- სავალდებულო მოთხოვნები პოსტსაბაზრო მონიტორინგისთვის.

აღნიშნული კანონმდებლობა პრევენციის პრინციპითაა შექმნილი. ამასთან, კანონმდებლობა:

- აღიარებს გენმოდიფიცირებას, როგორც სარისკო ტექნოლოგიას;
- ითვალისწინებს სხვა ლეგიტიმურ ფაქტორებს;
- მარკირების დანესებით, თავისუფალ არჩევანს აძლევს ფერმერებსა და მომხმარებლებს;
- გასცემს ნებართვებს კონკრეტული შემთხვევის უსაფრთხოების შეფასების საფუძველზე;
- ითვალისწინებს სამთავრობო საექსპერტო განხილვის აუცილებლობას;
- უზრუნველყოფს სახელმწიფო რეესტრის გამჭვირვალობას (გმო პროდუქტების კომერციალიზაციაზე ნებართვების გაცემა საჯარო ხდება ინტერნეტის მეშვეობით (<http://gmoinfo.jrc.it>). ასევე საჯარო ეროვნული მმართველობის ორგანოს შეფასების ანგარიში და ევროპის კვების უსაფრთხოების სამსახურის (EFSA) დასკვნა (<http://efsa.eu.int>). ამასთან, საზოგადოებას ეძლევა, ორივე შემთხვევაში, კომენტარის გაკეთების საშუალება).

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა არც კანონის და არც კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების დონეზე არ არეგულირებს გენმოდიფიცირებულ ორგანიზმებთან დაკავშირებულ საკითხებს (გარდა "ბიოლოგიური აგრონარმოების განხორციელების შესახებ" საქართველოს კანონისა – III თავი, მუხლი 8 – რომელიც კრძალავს ცხოველთა საკვები დანამატების სახით გენმოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათი პროდუქტების გამოყენებას). საქართველოს ტერიტორიაზე გენმოდიფიცირებული ორგანიზმების მოხვედრის ძირითად წყაროს ტრანსსაზღვრო გადაადგილება წარმოადგენს. არ არსებობს ცოცხალი გმო ტრანსსაზღვრო გადაადგილების, შექმნის, გამოყენებისა და ბუნებაში გამოთავისუფლების რეგულირების კანონმდებლობა. ასევე, არ არსებობს ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმების სფეროში საზოგადოების უფლებებისა და მოვალეობების დეტალურად განმსაზღვრელი სამართლებრივი ბაზა.

ცნობილია, რომ საქართველოში ადგილი ჰქონდა გმო იმპორტისა და გავრცელების რამოდენიმე ფაქტს. მონიტორინგისა და სამეცნიერო კვლევების არ არსებობის გამო, უცნობია მათი გავრცელების შესახებ ინფორმაცია, უცნობია ეკოსისტემებზე ზემოქმედების დონე და ხარისხი.

კარტახენას ოქმი მომზადდა რატიფიცირებისათვის საქართველოს პარლანენტში, გაიარა საკომიტეტო მოსმენებიც, მაგრამ პლენარულ სხდომაზე კეჭისყრისას საკითხი ჩავარდა. რაც შეეხება სპეციალურ კანონს, მისი პროექტიც მომზადდა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით 2004-2005 წლებში, მაგრამ მიღება არ მოხერხდა სხვადასხვა მიზეზის გამო. ამ მიზეზებს შორისაა "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" კანონის მიღება, რომელმაც მთლიანად შეცვალა ამ სფეროში თამაშის წესები და ხშირად ვერ უთავსდება საერთაშორისო აქტებს.



## რეკომენდაციები

ბიოუსაფრთხოების სფეროში საქართველოში გასატარებელი ღონისძიებებია:

1. ბიოუსაფრთხოების კარტახენას ოქმის რატიფიცირება;
2. ბიოუსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ კანონპროექტთა პაკეტის მომზადება, მისი საზოგადოებრივი განხილვა და საბოლოო ტექსტის შეთანხმება;
3. სახელმწიფო კონტროლის მექანიზმის შემუშავება და შესაბამისი მაკონტროლებელი სტრუქტურის ჩამოყალიბება საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით;
4. გენმოდულირებული ორგანიზმების რეგულირებისათვის ქვეყანაში შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება და კადრების მომზადება;
5. ბიოუსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხების შეტანა საგანმანათლებლო პროგრამებში, საზოგადოებრივი მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბება.

## 7. დასკვნა

როგორც წარმოდგენილი კვლევიდან ჩანს, საქართველოს ბიომრავალფეროვნება — ეკოსისტემურ, სახეობრივ და გენეტიკურ დონეზე, საკმაო პრობლემებისა და საფრთხის წინაშე დგას.

ქვეყანაში არსებობს გარკვეული საკანონმდებლო ბაზა, რომელსაც საფუძველი დაედო კონსტიტუციის მიღების (1995) შემდგომ. მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო 1994 წელს ქვეყნის მიერ ბიომრავალფეროვნების კონვენციის რატიფიცირება, რასაც მოჰყვა ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებულ სხვა კონვენციებთან და საერთაშორისო შეთანხმებებთან საქართველოს მიერთება. მიუხედავად ამისა, დღემდე რჩება სფეროები, რომლებიც ან საერთოდ არ რეგულირდება კანონებით (ბიოუსაფრთხოება, აგრობიომრავალფეროვნება), ან რეგულირდება არასრულფასოვნად. კანონების დიდი ნაწილი დეკლარატიული ხასიათისაა და განხორციელების მექანიზმები გაუმართავია. დროის სხვადასხვა პერიოდში მიღებულ კანონებს შორის არსებობს სერიოზული შეუსაბამობები. განსაკუთრებით, ეს იგრძნობა 2005 წელს “ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” კანონის მიღების შემდგომ. ეკონომიკური საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით მიღებულმა ამ კანონმა დაარღვია მეტნაკლებად არსებული ბალანსი, ერთის მხრივ, გარემოს დაცვასა და მეორეს მხრივ, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობასა და გარემოზე ზემოქმედებასთან დაკავშირებულ საქმიანობებს შორის; შეიზღუდა საზოგადოების უფლება მიიღოს მონაწილეობა გარემოსთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ყოველივე ამან უახლოეს მომავალში შესაძლებელია გააძლიეროს ბიომრავალფეროვნების მოქმედი სხვადასხვა საფრთხეები, როგორებიცაა გარემოს დაბინძურება და ჭარბი მოპოვება.

შეიძლება ითქვას, რომ რეალურად, ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და საერთოდ გარემოს დაცვა, არასოდეს ყოფილა პრიორიტეტი საქართველოში და მხოლოდ დეკლარირება ხდებოდა სხვადასხვა პოლიტიკური განცხადებების დროს. როგორც წესი, ბიომრავალფეროვნების დაცვა მეორე პლანზე იწევდა, როდესაც დღის წესრიგში დგებოდა რაიმე ეკონომიკური განვითარების პროექტი (მაგალითად, ყულევის ტერმინალის მშენებლობა, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი, წიაღის მოპოვება, ინფრასტრუქტურის მშენებლობა და სხვ.). სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველთვის მწირი დაფინანსება იყო გამოყოფილი ბიომრავალფეროვნების კონსერვაციაზე. ერთ-ერთი მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი კი იყო პასუხისმგებელი უწყებების არაკოორდინირებული და არათანამიმდევრული ქმედებები. წლების მანძილზე თვალსაჩინოა კანონდარღვლების მექანიზმების არაეფექტურობა. ამ

მიზეზით უკანონო მოპოვებამ (ტყის ჭრა, ბრაკონიერობა) კატასტროფული მასშტაბები მიიღო. კანონებს შორის შეუსაბამობები და არათანამიმდევრულობა კი ნაყოფიერ ნიადაგს ქმნიდა კორუფციისათვის.

2005 წელს დაგვიანებით, მაგრამ მაინც დამტკიცდა “საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა”. გარდა იმისა, რომ ამ დოკუმენტის მიღება კონვენციის ვალდებულების შესრულებას წარმოადგენს, ის აყალიბებს მთავრობის ერთიან ხედვას ბიომრავალფეროვნების კონსერვაციასა და მდგრადი გამოყენების საკითხებში.

საქართველოს მთავრობის 2004-2009 წლების პროგრამაში (რომლის დევიზია: “ერთიანი და ძლიერი საქართველოსათვის ეკონომიკური ზრდის, გრძელვადიანი სტაბილურობისა და ევროინტეგრაციის გზით”) ერთ-ერთ პირველ მიზნად მიჩნეულია საქართველოს სრული ინტეგრაცია ევროპულ და ევროატლანტიკურ სივრცეში. რეფორმების მიმართულებებში პირდაპირაა აღნიშნული დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარების და ბიოლოგიური მრავალფეროვნების (განსაკუთრებით ტყის, ფლორისა და ფაუნის იშვიათი სახეობების) დაცვის ხელშეწყობა.

ამრიგად, დღეს ბიომრავალფეროვნების კონსერვაციასთან დაკავშირებით სტრატეგიების, მთავრობის გეგმებისა და პოლიტიკური განცხადებების დონეზე თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ მათი ცხოვრებაში გატარება არ ხდება. სამწუხაროდ, მრავალი საერთაშორისო შეთანხმებით, დეკლარაციით, კონვენციითა თუ ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებები მხოლოდ ქაღალდზე რჩება. ამის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორებია:

- დაბალი პოლიტიკური ნება და საკითხის არაპრიორიტეტულობა;
- არაჰარმონიზებული კანონმდებლობა და რეგულაციების სისუსტე;
- გაუმართავი ინსტიტუციური მოწყობა;
- გამჭვირვალობის დაბალი დონე და მოსახლეობის ჩაურთველობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- მწირი დაფინანსება და შეზღუდული შესაძლებლობები;
- თანამედროვე კვალიფიკაციის კადრების არყოფა;

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ეროვნული სტრატეგიებისა და საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება ხდება არასრულყოფილად და ფორმალურად. თუ გადავხედავთ არსებულ მდგომარეობასა და ტენდენციებს ბიომრავალფეროვნების სხვადასხვა მიმართულებაში (სატყეო მეურნეობის რეფორმის მიმდინარეობა და მოდელი, დაცული ტერიტორიების მენეჯმენტი, CITES-ის დანართებში შეტანილი სახეობებით ვაჭრობა, “წითელი ნუსხის” სახეობების დაცვა და სხვ.), ვნახავთ, რომ მათ არაფერი აქვთ საერთო ევროპულ გამოცდილებასა და ევროკავშირის დირექტივებთან.

“ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის სტრატეგიული გეგმა” პრიორიტეტულად მიიჩნევს სწორედ “გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხების სტრატეგიულ დაგეგმვასა და კოორდინირებას შესაბამის სუბიექტებს შორის”. ანუ იმას, რაც ბიომრავალფეროვნების დარგში მოიცავს ზემოთ აღნიშნული “საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა”. ამ დოკუმენტის თანამიმდევრული შესრულება ხელს შეუწყობდა საქართველოში ბიომრავალფეროვნების წინაშე არსებული პრობლემების გადაჭრას და საფრთხეების გაუვნებელყოფას.

საქართველო არაა ევროკავშირის წევრი ქვეყანა და არ არის ვალდებული შეასრულოს ყველა დირექტივა. წევრობის შემთხვევაშიც კი, არ არის მიზანშეწონილი რომელიმე ქვეყნის მოდელის პირდაპირი გადმოღება. მაგრამ, ჯერ ერთი, წევრობისათვის მზადება ნიშნავს იმას, რომ გარკვეულად მოამზადო შენი სტრუქტურები ამ გაერთიანებაში შესასვლელად. მეორეც, დირექტივების შესრულება მხოლოდ წევრად გახდომისათვის კი არ არის საჭირო, არამედ იმისათვის, რომ უზრუნველყო ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნება.

ევროკავშირის ქვეყნებმა გააცნობიერეს ამის საჭიროება და საკუთარი პასუხისმგებლობა, ხოლო დირექტივები და სხვა რეგულაციები უბრალოდ არის ინსტრუმენტები ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და მდგრადი გამოყენებისათვის. ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნების გაზიარება ხელს შეუწყობდა, ერთის მხრივ მთავრობის მიზნის მიღწევას ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში, ხოლო მეორეს მხრივ, ქვეყნის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებასა და მდგრად გამოყენებას. თუნდაც NATURA 2000 ქსელის კანდიდატი ტერიტორიების წინასწარი შერჩევა და “ზურმუხტოვან ქსელში” (Emerald Network) ჩართვა (რამაც ევროპის ქვეყნებში უდიდესი პოზიტიური შედეგი გამოიღო ეკოსისტემების, განსაკუთრებით ტყეების შენარჩუნების თვალსაზრისით), CITES-ისა და ბიოუსაფრთხოების შესახებ ეროვნული კანონმდებლობის მიღება, მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნებოდა ამ მიმართულებით.

## **გამოყენებული ტერმინები**

**ბიომი:** ფლორისა და ფაუნის ერთიანობა, რომელსაც ახასიათებს გარკვეული გეოგრაფიული გავრცელება.

**ბიომრავალფეროვნების ცხელი წერტილი:** ბიოგეოგრაფიული რეგიონი, რომელიც წარმოადგენს ბიომრავალფეროვნების მნიშვნელოვან რეზერვუარს და ამავე დროს ემუქრება განადგურების საფრთხე.

**ეკოსისტემა:** მცენარეების, ცხოველებისა და მიკროორგანიზმების თანასაზოგადოებათა და მათი არაცოცხალი გარემოს დინამიური კომპლექსი, რომლებიც ერთობლივად ფუნქციონირებს.

**ენდემი:** ბერძ. “ენდემოს” — ადგილობრივი; ტაქსონომიური ერთეული (სახეობა, ქვესახეობა), რომელიც ბუნებრივად ბინადრობს მხოლოდ მოცემულ ტერიტორიაზე ან გეოგრაფიული რეგიონის შიგნით. მაგალითად, დასავლეთ კავკასიური ჯიხვი, ბინადრობს მხოლოდ კავკასიონის ქედის დასავლეთ ნაწილში და სხვაგან არსად მსოფლიოში.

**რელიქტი:** ლათ. “რელიქტუს” — დარჩენილი; ორგანიზმი, რომელიც წარსულ ეპოქებში ფართოდ იყო გავრცელებული, მაგრამ ახლა შემორჩენილია ერთ ან რამდენიმე მცირე ტერიტორიაზე.

**რეფუგიუმი:** ლათ. თავშესაფარი; მცირე ტერიტორია, სადაც შემორჩენილია ერთ დროს ფართოდ გავრცელებული რელიქტური ორგანიზმები.

**ჰაბიტატი:** საბინადრო გარემო, ადგილი სადაც ბინადრობს ცოცხალი ორგანიზმი.

## ბამოყენებული ლიტერატურა:

1. ნ. ზაზანაშვილი, გ. სანადირაძე, საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემა XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე, კრებულში - საქართველოს ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნება, 2000, თბილისი, ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის საქართველოს ოფისის გამოცემა, 312 გვ.
2. ნ. კოპალიანი, 2002 შესავალი კონსერვაციულ ბიოლოგიაში, თბილისი, NACRES, 157 გვ.
3. საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა, 2005, თბილისი, გვ. 89.
4. მაჭარაშვილი ნ. გუჯარაიძე, 2006. ტყის უკანონო ჭრასთან ბრძოლისა და მონიტორინგის მეთოდები, სახელმძღვანელო საქართველოს მოქალაქეებისათვის თბილისი, მწვანე ალტერნატივა, 72 გვ.
5. საქართველოს სატყეო სექტორის მარეგულირებელი კანონმდებლობის ანალიზი და რეკომენდაციები, 2006, რედ. ი. მაჭარაშვილი, ასოციაცია მწვანე ალტერნატივა, თბილისი, 84 გვ.
6. ქ. გუჯარაიძე, გარემოსდაცვითი მმართველობა საქართველოში და ევროკავშირის როლი მის გაძლიერებაში, 2006. მწვანე ალტერნატივა, 84 გვ.
7. საქართველოს სატყეო მეურნეობის ყოველწლიური სტატისტიკური ბროშურა, 2006, თბილისი
8. ბიომრავალფეროვნება, გენური ინჟინერია და მათი სამართლებრივი რეგულირება, 2007, საქართველოს პარლამენტის კვლევითი დეპარტამენტის საინფორმაციო-ანალიტიკური მიმოხილვა, [www.parliament.ge](http://www.parliament.ge)
9. Underlying causes of deforestation and forest degradation, 1998, World Rainforest Movement, WRM's bulletin N° 9, <http://www.wrm.org.uy/bulletin/9/IFF.html>
10. Underlying Causes of Deforestation and Forest Degradation, 1999, World Rainforest Movement, <http://www.wrm.org.uy/deforestation/Europebackground.html>
11. Globalization and WTO promote forests destruction, 1999, World Rainforest Movement, WRM's bulletin N° 21, <http://www.wrm.org.uy/bulletin/21/WTO.html>
12. G. Tyler Miller, Jr. 2000, Living in the Environment: principles, connections and solutions, Brooks/Cole publishing Company
13. Latvia National Report, European Forestry Commission/Timber Committee session, 2000, Rome <http://www.unece.org/trade/timber/docs/tc-58/efc-reports/latvia.htm>
14. Mountain Forest Policy in Austria: A Historical Policy Analysis on Regulating a Natural Resource, Gerhard Weiss, THE WHITE HORSE PRESS, UK, Environment and History 7(2001): 335-355
15. Jacques ROBERT, Models for the financing of regional infrastructure and development projects, with a particular attention to the countries of Central and Eastern Europe Public-private partnerships in spatial development policy, 2001, European regional planning (CEMAT), No. 63 Council of Europe Publishing.
16. A Cross-National Comparison Of Protected Natural Area Systems Russia and the Baltic states: diverging systems ten years after the fall of the Soviet Union, David Ostergen, Crossing Boundaries in Park Management: Proceedings of the 11-th Conference on research and resource Management in Parks and Public Lands, ed. by David Harmor (Hancock, Michigan: The Geoght Society, 2001).
17. Improved Pan-European Indicators for Sustainable Forest Management as adopted by the MCPFE Expert Level Meeting 7-8 October 2002, Vienna, Austria, Ministerial Conference on the Protection of Forests in Europe Liaison Unit Vienna, [www.mcpfe.org](http://www.mcpfe.org)
18. Public participation in forestry in Europe and North America, 2002, joint FAO/ECE/ILO committee on forest technology, management and training team of specialists on participation in forestry , Published by Ministerial Conference on the Protection of Forests in Europe Liaison Unit Vienna, [www.mcpfe.org](http://www.mcpfe.org)
19. State of Europe's Forests 2003 – The MCPFE Report on Sustainable Forest Management in Europe, MCPFE Liaison Unit Vienna & UNECE/FAO, Vienna, 2003, MCPFE Paper 2, April 2002
20. Vienna Declaration and Vienna Resolutions. 2003. Adopted at the Fourth Ministerial Conference

- on the Protection of Forests in Europe. <http://www.mcpfe.org>
21. Ewald Rametsteiner, Florian Kraxner Europeans and Their Forests What Do Europeans Think About Forests and Sustainable Forest Management? A Review of Representative Public Opinion Surveys in Europe, Vienna, 2003, Published by Ministerial Conference on the Protection of Forests in Europe Liaison Unit Vienna, [www.mcpfe.org](http://www.mcpfe.org)
  22. Protected Forests in Europe, Edited and published by the MCPFE Liaison Unit Vienna publisher, April 2003
  23. Biennial Report of the Federal Institute for Geosciences and Natural Resources 2003-2004
  24. NATURA 2000, EUROPEAN COMMISSION DG ENV NATURE NEWSLETTER Issue 17 • January 2004
  25. Final Message From Malahide Halting The Decline Of Biodiversity-Priority Objectives And Targets For 2010 Stakeholders' Conference Biodiversity and the EU - Sustaining Life, Sustaining Livelihoods, Malahide, Ireland 25-27 May 2004
  26. MCPFE 2004. Minutes of the workshop: "Exchanging country's experiences in the NFP processes on the practical application of the MCPFE Approach to the NFPS in Europe."  
<http://www.mcpfe.org/documents/minutes/arcdoc/work/>
  27. Forestry and Our Cultural Heritage, 2005, Sunne, Sweden Published and edited by Ministerial Conference on the Protection of Forests in Europe Liaison Unit Warsaw, [www.mcpfe.org](http://www.mcpfe.org)
  28. MCPFE Work Programme Pan-European Follow-up of the Fourth Ministerial Conference on the Protection of Forests in Europe Updated edition – October, 2005 Published by Ministerial Conference on the Protection of Forests in Europe Liaison Unit Warsaw, [www.mcpfe.org](http://www.mcpfe.org)
  29. National Forest programmes in Europe, Warsaw, 2005, Published by Ministerial Conference on the Protection of Forests in Europe Liaison Unit Warsaw, [www.mcpfe.org](http://www.mcpfe.org)
  30. Introduction to LIFE-Nature projects 2006 IP/06/1428 Luxembourg: Office for Official Publications of the European Communities, 2006 [http://ec.europa.eu/environment/life/infoproducts/lifenatcompilation\\_06.pdf](http://ec.europa.eu/environment/life/infoproducts/lifenatcompilation_06.pdf) <http://ec.europa.eu/environment/life/project/index.htm>;  
<http://ec.europa.eu/environment/nature/home.htm>
  31. Memo/06/212 Brussels 22 May 2006, Questions And Answers About EU Biodiversity Policy
  32. Joint position of the MCPFE and the EfE/PEBLDS on The Pan-European Understanding Of The Linkage Between The Ecosystem Approach and Sustainable Forest Management, 2006, Geneva-Warsaw, Published by Ministerial Conference on the Protection of Forests in Europe Liaison Unit Warsaw, [www.mcpfe.org](http://www.mcpfe.org)
  33. Forests of Estonia, May 2006, Jaan Parn, Estonian Green Movement,  
[http://www.fern.org/media/documents/document\\_3671\\_3672.pdf](http://www.fern.org/media/documents/document_3671_3672.pdf)
  34. Can Europe's forests satisfy the increasing demand for raw material and energy under sustainable forest management? Joint press release issued with the Liaison Unit Warsaw of the Ministerial Conference on the Protection of Forests in Europe (MCPFE) and the Confederation of European Paper Industries (CEPI), *Geneva, 23 January 2007* UN Economic Commission for Europe/Food and Agriculture Organization, UNECE Trade and Timber Division,  
[http://www.unece.org/press/pr2007/07tim\\_p01e.htm](http://www.unece.org/press/pr2007/07tim_p01e.htm)
  35. Can Protected Areas Contribute to Poverty Reduction? Opportunities and Limitations, Lea M. Scherl, Alison Wilson, Robert Wild, Jill Blockhus, Phil Franks, Jeffrey A. McNeely and Thomas O. McShane, <http://www.iucn.org/dbtw-wpd/html/PAs-contribute-poverty/cover.html>
  36. Communication of the European Commission to Council and the Parliament on a European community Biodiversity Strategy
  37. Forest Policy in Austria: Policy Making by the Sector for the Sector *by Michael Pregernig and Gerhard Weiss*
  38. OECD/EEA database on instruments used for environmental policy and natural resources management , <http://www2.oecd.org/eoinst/queries/index.htm>
  39. The Nature-GIS Newsletter, a European thematic network for Protected Areas/ Nature Preservation and Geographical Information, <http://www.gisig.it/nature-gis/>
  40. Guidance document on the strict protection of animal species of Community interest under the Habitats Directive 92/43/EEC,  
[http://circa.europa.eu/Public/irc/env/species\\_protection/library?l=/commission\\_guidance/final-completepdf/\\_EN\\_1.0\\_&a=d](http://circa.europa.eu/Public/irc/env/species_protection/library?l=/commission_guidance/final-completepdf/_EN_1.0_&a=d)

41. Millennium Ecosystem Assessment Findings, [www.maweb.org](http://www.maweb.org)
42. Estonian Fund for nature, <http://vana.elfond.ee/index.php?keel=inglise>
43. Financing of Protected Areas,  
<http://www.iucn.org/bookstore/HTML-books/BP5-financingprotectedareas/partb3.html>
44. U.S. Environmental Protection Agency, <http://www.epa.gov/>
45. State forest management centre (RMK) Estonia, <http://www.rmk.ee/>
46. ვებ გვერდი ავსტრიის სახელმწიფო სატყეო კომპანია - Österreichische Bundesforste AG (ÖBf AG) <http://www.bundesforste.at/>
47. EU Nature and biodiversity homepage <http://ec.europa.eu/environment/nature/home.htm>
48. World Database on Protected Areas <http://www.unep-wcmc.org/wdpa/>
49. The Emerald Network , Council of Europe homepage, [http://www.coe.int/t/e/cultural\\_co-operation/environment/nature\\_and\\_biological\\_diversity/ecological\\_networks/The\\_Emerald\\_Network/](http://www.coe.int/t/e/cultural_co-operation/environment/nature_and_biological_diversity/ecological_networks/The_Emerald_Network/)

საქართველო, თბილისი, 0162  
ყიფშიძის ქ. 5ა. მკ-4 საღარბ. მკ-7 სართ.  
ტელ: (+995 32) 221604; ფაქსი: (+995 32) 223874  
ელ. ფოსტა: [greenalt@wanex.net](mailto:greenalt@wanex.net)  
ვებ გვერდი: [www.greenalt.org](http://www.greenalt.org)

